"მარიხუანა" - კუბდარის შესაბამებლად თუ...? A2

საბანკო მონიტორინგი A8

პრეზიდენტს რომ შევხვედროდი, ვეტყოდი... B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 9 ნოემბერი, 2004 წელი. №266 (815)

ფასი 50 თეთრი

# სასწაულებს არ ელოდოთ

მაგრამ მთავრობას შეცდომებზე მიუთითეთ და მათი გამოსწორებისკენ მოუწოდეთ



შეცდომებზე სწავლობენ და გვინდა, თქვენს ქვეყანას ეს შეცდომები ავაცილოთ. გვინდა, გამოვიყენოთ გამოცდილება, რათა საქართველომ ეს გზა უკეთ გაიაროს.

ბესო გულაშვილის ფოტო

B1

## "ეს არ იყო ზემოდან ზეწოლა"

ვერიკო თევზაძე

*გუშინ პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. დახურული შეხვედრის მონაწილეებს მოგვიანებით პრემიერ-მინისტრიც შეუერთდა.*

**"ჩვენ ვმსჯელობდით მუხლებს შორის ნიუანსებზე... პრინციპი იგივე დარჩა, დეტალები შეიცვალა,"** - ასეთი იყო დეპუტატების ზოგადი კომენტარი "საფინანსო ამნისტიის" კანონპროექტის ირგვლივ მსჯელობის შემდეგ.

**"ჩემი აზრით, კამათში გამოჩნდა, რომ ერთნაირად არ გვესმოდა ამ კანონში არსებული ნორმები. პრეზიდენტმა ამის შესახებ ყველას მისცა ახსნა-განმარტება და მე მგონი, მიიღეს ეს ახსნა-განმარტებანი"**, - ასე შეაფასა შეხვედრის შედეგები ზურაბ ცქიტიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ პრესას არც პირდაპირი და არც ირიბი ფორმით ამის შესახებ შეკითხვა არ დაუსვამს, ბატონმა ცქიტიშვილმა საგანგებოდ განმარტა: **"ეს არ იყო ზემოდან ზეწოლა ან რაღაც მსგავსი..."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# საკანონმდებლო რინგზე მწვავე ბრძოლებს ელიან



პარლამენტის თავმჯდომარეს ეჭვი ეპარება, რომ დღეს კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება მოხერხდება. თუ ასე მოხდება, ნინო ბურჯანაძის თქმით, "ეს იდეალური ვარიანტი იქნება".

იური ლობოდინის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იწყება ე.წ "ფინანსური ამნისტიის" შესახებ კანონპროექტის განხილვა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხი თავად საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, საკანონმდებლო ორგანოში მწვავე დისკუსიაა მოსალოდნელი. პოზიციების დაზუსტების მიზნით, სახელისუფლებო ფრაქცია გუშინ საღამოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გადიოდა კონსულტაციებს, მაგრამ საერთო მიდგომის შემუშავების შემთხვევაშიც კი, დღევანდელი სხდომა უხმაუროდ მაინც ვერ ჩაივლის: კანონპროექტის ზოგიერთი მუხლის წინააღმდეგ გალაშქრებას "მრეწველები" აპირებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის კონსერვატორული სიახლე

გიორგი ასანიშვილი

*იუსტიციის სამინისტროში დღეისათვის 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული. როგორც ირკვევა, კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა ამ უკიდეგანო პარტიულ სივრცეშიც კი ვერ იპოვეს ადგილი და ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს.*

მისი სახელწოდება - კონსერვატიული პარტია - არცთუ ორიგინალურია: ამჟამად ფუნქციონირებს რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ანალოგიურ დასახელებას ატარებს. ესენია: კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია, რომელსაც თემურ ჟორჟოლიანი უდგას სათავეში; ქრისტიან-კონსერვატიული პარტია (თავმჯდომარე შოთა მალაშხია); ნეოკონსერვატიული პარტია და სხვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დიზაინერის დაუდევარი სტილი



B3

გუგა კოტეტიშვილმა დამთვალიერებელს სიურპრიზი მოუწყო: მსურველებს შეეძლოთ მისი საავტორო შარფები საჩუქრად მიეღოთ.

იური ლობოდინის ფოტო

## ოპოზიციონერთა "პატარა ეშმაკობები"

კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის გუშინდელი პრესკონფერენცია პარლამენტის უმრავლესობის რიგებში მცირე არეულობას ნამდვილად გამოიწვევს. სახელისუფლებო გუნდი არასერიოზულად ნამდვილად არ მიუდგება განცხადებას, რომლის თანახმადაც, ნოემბრის ბოლომდე საქართველოს პარლამენტში ახალი ფრაქცია "კონსერვატორები" ჩამოყალიბდება და მასში, სხვა ოპოზიციონერ პარლამენტარებთან ერთად, უმრავლესობის წევრებიც გაერთიანდებიან.

საგულისხმოა, რომ სხვა პარლამენტარი ოპოზიციონერები ძიძიგურისა და დავითაშვილის განცხადებას ოდნავ არასერიოზულად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ნოემბრის ბოლომდე ახალი ფრაქციის შესაქმნელად კონსერვატორებს არც დრო და არც "ადამიანური რესურსი" არ ეყოფათ. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება - განცხადება გაკეთებულია.

გაგრძელება A2 გვერდზე

### ეკონომიკა

## ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ახალ ბანკნოტებს უშვებს



ხვალ 50 და 100 ლარიან ბანკნოტებზე განთავსებულია დამატებითი დამცავი ნიშნები ლარის გაყალბების თავიდან აცილების მიზნით.

A4

### უცხოეთი

## აჰმედ კურეიმ და მაჰმუდ აბასმა არაფატის უფლებამოსილებები გადაინაწილეს



არაფატის მეუღლე მათ ძალაუფლების უზურპაციაში ადანაშაულებს

A5

### სამართალი

## ქართული პენიტენციური სისტემა მონანიების ადგილი არ არის



რა ხდება ქართულ ციხეში - როგორ ათავისუფლებენ პატიმრებს ვადაზე ადრე? კვლავ არის თუ არა კორუფცია საპატიმრო ადგილებში? - ამ და სხვა კითხვებს პასუხობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა კლდიაშვილი.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

### ამინდი

| | 9/11 | 10/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 16 |
| ქუთაისი | 22 | 23 |
| ბათუმი | 24 | 24 |
| სოხუმი | 22 | 22 |
| ფოთი | 24 | 24 |
| თელავი | 16 | 13 |
| ზუგდიდი | 23 | 24 |
| გორი | 14 | 14 |
| ჭიათურა | 18 | 19 |
| გაგრა | 21 | 21 |
| სამტრედია | 23 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8050 |
| ევრო | 2.3382 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3513 |
| რუბლი | 0.0630 |

A2 ამბები · A4 ეკონომიკა · A5 უცხოეთი · A6 საზოგადოება · A7 სამართალი · A8 საბანკო მონიტორინგი

B2 რევიუ · B3 რევიუ · B4 სპორტი · B5 სპორტი · B6 ფოსტა · B7 სხვადასხვა · B8 სხვადასხვა

# ოპოზიციონერთა "პატარა ეშმაკობები"

პირველი გვერდიდან

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უახლოეს მომავალში უმრავლესობის ოფიციალური თუ არაფორმალური ლიდერები საკუთარ რიგებში ერთგვარ პროფილაქტიკურ-პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას გეგმავენ. ისინი შეეცდებიან გარკვიონ, არიან თუ არა მათ რიგებში იმდენად უკმაყოფილო რიგითი დეპუტატები, რომლებიც, ცნობილი სახეების ჩრდილში ყოფნას, ოპოზიციონერობას ამჯობინებენ. თანაც, რა ოფიციალური კომენტარებიც არ უნდა კეთდებოდეს, ფაქტი სახეზეა - ბოლო დროს პრეზიდენტის მხარდამჭერ გუნდში ერთსულოვნება ნამდვილად არ არის. ეს თუნდაც ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვის დროს გამოჩნდა, როდესაც უმრავლესობის დახურულ სხდომებზე არაერთი ურთიერთბრალდება და საყვედური გაისმა.

თანაც, ამ ბოლო დროს სულ უფრო აქტიურად გამოითქმის ვარაუდები, ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელების მიერ ახალი ფრაქციის ჩამოყალიბების თაობაზე. ამის შესახებ განცხადებებს ოპოზიციონერები აკეთებენ. თავად ბურჯანაძის გუნდელები კი დუმან, ანუ გავრცელებულ ინფორმაციას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

შესაბამისად, იმის გარკვევა, ვინ რას ფიქრობს ან რას გეგმავს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებისთვის საჭიროა (პირად საუბრებში პარლამენტარები ამას ღიად აცხადებენ). ამავე დროს, აზრთა სხვადასხვაობის არსებობას ოფიციალურად ყველა უარყოფს, რადგან სრულიად ცხადად ჩანს, რომ საქართველოს პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს არ სურთ, თუნდაც მცირე დაპირისპირება საჯარო მსჯელობის საგანი გახდეს.

ბუნებრივია, ეს ფაქტი ოპოზიციონერებისთვისაც ცნობილია. ამიტომაც იყო, რომ კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა ასეთი განცხადება წორედ გუშინ - საპარლამენტო უმრავლესობის პრეზიდენტთან შეხვედრის წინ გააკეთეს.

*24 საათი*

# კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის კონსერვატორული სიახლე



*"დღეს არსებული ყველა პარტია ავტორიტარიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული, ჩვენი გაერთიანება კი დემოკრატიულ საწყისებზე აიგება."*

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

სახელწოდების ორიგინალობაზე არა, მაგრამ კობა დავითაშვილსა და ზვიად ძიძიგურს იმაზე კი ნამდვილად აქვთ პრეტენზია, რომ მათი პარტიული პირმშო გამორჩეული და ერთადერთია. **"დღეს არსებული ყველა პარტია ავტორიტარიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული, ჩვენი გაერთიანება კი დემოკრატიულ საწყისებზე აიგება,"** - სიამაყით აღნიშნავდნენ ისინი გუშინ გამართულ პარტიული წესდების პრეზენტაციაზე, რომელიც, რატომღაც, პარლამენტში მოეწყო.

კობა დავითაშვილის თქმით, პარტიულ თანამდებობაზე პერსონების შერჩევა მხოლოდ შიდაპარტიული არჩევნების გზით მოხდება. ამავე მეთოდით გადაწყვეტენ რაიონული ორგანიზაციები, თუ ვინ უნდა დასახელდეს მაჟორიტარი დეპუტატობის ან გამგებლობის კანდიდატად. უპრობლემოდ ჩაივლის 120-კაციანი საარჩევნო სიის შედგენაც: მასში პირველ 40 ადგილს კონსერვატიული პარტიის ცენტრალური მმართველი ორგანოს წარმომადგენლები მიიღებენ, დანარჩენ 80-ს კი - რაიონულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ნავარაუდევია, რომ თავდაპირველად ადგილობრივი ორგანიზაციები ჩამოყალიბდება, მომავალი წლის გაზაფხულზე კი ჩატარდება პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, რომელზეც გაირკვევა, თუ ვინ იქნება პარტიის ლიდერი.

**"მეც და ზვიად ძიძიგურიც ვაპირებთ, კენჭი ვიყაროთ ამ პოსტზე. იგივეს გაკეთება მათაც შეეძლებათ, ვინც ხუთი რაიონული ორგანიზაციის მხარდაჭერით ისარგებლებს,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი.

მისი მტკიცებით, უკვე ამჟამად პარტიის წევრთა რაოდენობა 8 ათასს აღემატება. კონსერვატორები, პირობითად, ორ "ნაწილად" დაიყოფიან: პარტიის წევრებად და მხარდამჭერებად. საწევროს მხოლოდ პარტიის წევრები გადაიხდიან. იგი დიფერენცირებული იქნება და მისი ოდენობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ადგილი უკავია პიროვნებას პარტიულ იერარქიაში. წინასაარჩევნო პერიოდში თანხების მოზიდვა მოხდება ისეთი აპრობირებული ხერხებით, როგორიც არის, მაგალითად, კონცერტების გამართვა ცნობილ ხელოვანთა მონაწილეობით.

კობა დავითაშვილის განცხადებით, პარტიის ჩამოყალიბების თაობაზე კონსულტაციებს ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან გადიოდა და შესაბამისად, კონსერვატიული პარტიის სტრუქტურა აშშ-ს რესპუბლიკურ პარტიასთან არის მიახლოებული. მისივე თქმით, თავის დროზე სურდა, რომ "ნაციონალური მოძრაობაც" დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულიყო, მაგრამ მისმა ლიდერებმა ეს არ ისურვეს.

კონსერვატორები უახლოეს მომავალში საპარლამენტო ფრაქციის შექმნასაც გეგმავენ. მისი სახელწოდება პარტიის დასახელებას უკავშირდება და "კონსერვატორები" ერქმევა. ჯერ არშობილი ფრაქციის ექვსი წევრის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენი არიან: კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა, გოდერძი ბუკია, ბიძინა გუჯაბიძე და გიორგი ცანავა.

დანარჩენი დეპუტატების ვინაობას დავითაშვილი და ძიძიგური მკაცრად ასაიდუმლოებენ, რადგან შიშობენ, რომ მმართველი ძალა მათზე ზემოქმედებას მოახდენს და "გაკონსერვატორობაზე" ხელს აალებინებს. ზვიად ძიძიგური მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ "კონსერვატორებში" წარმოდგენილი იქნება პარლამენტში დღეს არსებული ყველა პოლიტიკური ძალა - "ნაციონალები", "ახლები", "მაჟორიტარები"...

# "ივერიასთან" ერთად რესპუბლიკის მოედანიც განახლდება



*შეფუთული "ივერია"*

ბესო გულაშვილის ფოტო

რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის იდეა კომპანია "სილქ როუდ ჯგუფს" გასჩენია. ეს ის კომპანიაა, რომელმაც სასტუმრო "ივერია" შეიძინა. განახლებული სასტუმრო განახლებულ მოედანზე უნდა იდგესო, - "სილქ როუდ ჯგუფის" ამ წინადადებას ქალაქის მერიაც სიამოვნებით დაეთანხმა და გუშინ "რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდიც" შეიქმნა. ამ ფონდის დამფუძნებლები არიან: მერია, "სილქ როუდ ჯგუფი" და "კომპანია "ჯი-ერ-დი-სი". როგორც "სილქ როუდ ჯგუფის" წარმომადგენელი კონსტანტინე მხეიძე განმარტავს, რეკონსტრუქცია მოედანზე თითქმის ყველაფრის - კომუნიკაციის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის მოძრაობისა და დიზაინის შეცლას გულისხმობს.

იმის დაკონკრეტება, თუ როგორ შეიცვლება მოედანი, ჯერ ადრეა, რადგან გამოკვეთილი არათუ პროექტი, დამპროექტებელი კომპანიაც არ არის. საერთაშორისო ქალაქგეგმარებითი კონკურსი მხოლოდ გუშინ გამოცხადდა. ცნობილია, რომ ე.წ. "ანდროპოვის ყურები" ამ რეკონსტრუქციას შეეწირება. კონსტანტინე მხეიძის თქმით, რეკონსტუქციის პროექტი მომავალი წლის აპრილისთვის იქნება მზად. სხვათა შორის, რესპუბლიკის მოედნის განახლებას ვერც ის შეუშლის ხელს, რომ ქალაქის გენერალური გეგმა ვერა და ვერ დასრულდა. **"ქალაქის გენგეგმის დასრულებას ერთი-ორი წელიწადი მაინც დასჭირდება. ჩვენ კი ამდენ ხანს ვერ მოვიცდით. მოედნის მიკრო გენგეგმა ცალკე გაკეთდება და შემდგომ ქალაქის გენგეგმა ამის მიხედვით აეწყობა,"** - აცხადებენ მოედნის რესტრუქტურიზაციის ფონდის დამფუძნებლები.

რაც შეეხება სასტუმრო "ივერიას", "სილქ როუდ ჯგუფს" შენობის მარკეტინგული კვლევის საბოლოო ვარიანტი უკვე მზად აქვს, ოღონდ, ჯერ, ოფიციალური პროცედურების დასრულებამდე, ინფორმაციის დაკონკრეტებას ერიდება. "ივერიის" ბედის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას "24 საათი" უახლოეს მომავალში მოგაწვდით. ჯერჯერობით კი, იმისი თქმა შეიძლება, რომ სასტუმროს ახლანდელი შენობა დაინგრევა, რადგან კომპანიას მისი შიდა რემონტი ახალი შენობის აშენებაზე ძვირი დაუჯდება.

*ნანა ქადაგიშვილი*

# საკანონმდებლო რინგზე მწვავე ბრძოლებს ელიან

პირველი გვერდიდან

ზურაბ ტყემალაძეს განსაკუთრებით ის გარემოება აღიზიანებს, რომ ფინანსური ამნისტია არ ვრცელდება მათზე, ვის წინააღმდეგაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ ამნისტიის შედეგად პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდებიან სახელმწიფო მოხელეები, ვისი "წყალობითაც" შეიქმნა დანაშაულებრივი ქმედებების "წამახალისებელი" ბიზნესგარემო.

ასეთ ვითარებაში პარლამენტის თავმჯდომარეს ეჭვი ეპარება, რომ დღეს კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება მოხერხდება. თუ ასე მოხდება, ნინო ბურჯანაძის თქმით, "ეს იდეალური ვარიანტი იქნება". ამ შემთხვევაში, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ხვალ კონსულტაციები გაიმართება, რათა ხუთშაბათს და პარასკევს კანონპროექტი მეორე და მესამე მოსმენითაც იქნას მხარდაჭერილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის ირგვლივაც მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის შეხედულებები უნისონში ვერ მოდის, საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების გზებს შეეხება. მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია ბიუჯეტში შესული საგასახადო შემოსავლებიდან დაფინანსდეს, როგორც ამას "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტი ითვალისწინებს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საუბარი შეეხო კიდევ ერთ საკითხს, რომელიც ახლო მომავალში პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში მოექცევა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის ინიციატივით, იგეგმება ცვლილებების შეტანა საარჩევნო კოდექსში, რომელიც საარჩევნო ადმინისტრიციების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას ითვალისწინებს.

ეს ამბავი ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. ზურაბ ტყემალაძის თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციების საკითხის "ნაუცბათევად განხილვა" დაუშვებელია და ჯერ უნდა შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ კანონპროექტზე იმუშავებს.

ტყემალაძის მოსაზრებას არ ეთანხმება ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომლის მტკიცებითაც, "ეს საკითხი უკვე გადაღეჭილია და დამატებით განხილვას არ საჭიროებს".

**"ჩვენ ადრე შევპირდით საზოგადოებას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას დავუჭერდით მხარს. ეს სიტყვა უკან არ მოგვაქვს და მას საქმედ ვაქცევთ,"** - აცხადებს მაჭავარიანი.

ბიუროს სხდომაზე პარლამენტარებმა უკმაყოფილება გამოთქვეს უკრაინასა და საფრანგეთში საქართველოს საელჩოების მისამართით. მაია ნადირაძისა და გიორგი ხევიაშვილის თქმით, აღნიშნული საელჩოების ხელმძღვანელებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ ქვეყნებში სტუმრად მყოფ ქართველ დეპუტატებს.

**"საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჰქონდათ მიღებული შესაბამისი მითითება,"** - ეს რეპლიკა პარლამენტის თავმჯდომარემ გააპროტესტა და "თემის განხილვაც" ამით დასრულდა.

ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ და მაია ნადირაძემ კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის მიერ კონსერვატიული პარტიის დაფუძნების შესახებ გააკეთეს კომენტარი. პარლამენტის სპიკერი და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჯანსაღი ოპოზიციის არსებობას ყოველთვის მიესალმებიან, მაგრამ კონსერვატიული პარტიის სახით "ნაციონალური მოძრაობის" კონკურენტს ვერ ხედავენ.

# "მარიხუანა" - კუბდარის შესაგემებლად თუ...?

სვანეთიდან თეთრიწყაროს რაიონში საცხოვრებლად ჩამობარგებული 70 წლის რობინზონ ჩხვიმიანი ქვემო ქართლის პოლიციამ პირველივე ღამეს დააკავა. როგორც პოლიციაში აცხადებენ, მათ მიღებული ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩხვიმიანის ბარგში იარაღი და ნარკოტიკები ინახებოდა.

"მაზ"-ის ტიპის დიდი სატვირთო მანქანის გადმოტვირთვას სამართალდამცველები კარგა ხანს მოუნდნენ. ჩხრეკისას მათ აღმოაჩინეს უნებართვო იარაღი - კარაბინი და სანადირო თოფი, მათი ტყვია-წამალი, ასევე ნახევარი კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა", იგივე "პლანი".

ჩხვიმიანმა პოლიციელებს თავიდანვე უთხრა, რომ, როგორც ყველა ჭეშმარიტ სვანს, მასაც ჰქონდა იარაღი, რადგან ნადირობა მისი საყვარელი საქმიანობა იყო. ის და მისი ოჯახი მესტიის რაიონის სოფელ კიჩხულდაში ცხოვრობდნენ, სადაც ამჟამად მხოლოდ 8 ოჯახიღაა დარჩენილი. რაც შეეხება ნარკოტიკულ ნივთიერება "მარიხუანას" წარმომავლობას, მცენარე, რომლისგანაც იგი მზადდება, სვანეთში საკმაოდ ბევრგან იზრდება. უფრო მეტიც, ადგილობრივები მას კუბდარსა და სხვა სვანურ კერძებში სუნელადაც კი იყენებენ.

ამჟამად რობინზონ ჩხვიმიანი თეთრიწყაროს პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მის წინააღმდეგ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომლის მიხედვითაც მას 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ჯერჯერობით უცნობია, ჰყავს თუ არა დაკავებულს ადვოკატი, რადგან მისი ოჯახის დანარჩენი წევრები თეთრიწყაროში ჯერ არ ჩასულან.

ეს ამბავი, შესაძლოა, სხვა მსგავსი ამბების დასაწყისი გახდეს. ცნობილია, რომ სვანეთში მეწყერით დაზარალებულ ოჯახებს ქვემო ქართლში შესთავაზეს ჩასახლება და ეს პროცესი, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო. როგორც ქვემო ქართლის პოლიციაში აცხადებენ, მკაცრად შემოწმდება ყველა ჩამოსახლებული და უნებართვო იარაღის არც ერთი ერთეული მხარეში არ შევა.

*მაია მოსიაშვილი*

# "ეს არ იყო ზემოდან ზეწოლა"

პირველი გვერდიდან

არაოფიციალური ინფორმაციით, გუშინდელ შეხვედრაზე საკმაოდ მწვავე კამათი გაიმართა ზურაბ ჟვანიას მომხრეებსა და გიგა ბოკერიას შენიშვნების მხარდამჭერებს შორის. ჟვანიას პოზიციების დაცვა თავიდან ბატონ რომან გოცირიძეს უხდებოდა, მოგვიანებით კი, როგორც უკვე გითხარით, თავად პრემიერი მიიწვიეს შეხვედრაზე. ბოკერიას და მისი მომხრეების აზრით, ამნისტიის პროექტი ჩინოვნიკებისთვის ზედმეტი ინდულგენციაა. ჟვანია კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ (გუშინ გააკეთა პრესასთან კომენტარი), **"ფართო ამნისტიის"** მომხრეა.

მიუხედავად დეპუტატების განმარტებისა, რომ პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება მოხდა, მათ კომენტარი არ გააკეთეს, კონკრეტულად რა საკითხზე შეთანხმდნენ. პარლამენტარმა შოთა გვენეტაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ **"შეთანხმება იქნა მიღწეული მესამე მუხლის მეორე პუნქტზე"**. დღეს საკანონმდებლო ორგანომ ამნისტიის შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით უნდა განიხილოს. ხვალ იგი საკომიტეტო სხდომაზე იურიდიულად დაიხვეწება.

მიხეილ მაჭავარიანის ინფორმაციით, გუშინდელ შეხვედრაზე იმსჯელეს ნაციონალური მოძრაობის მომავალ ყრილობაზე. **"გადაწყდა, რომ ყრილობა 22 ნოემბერს გაიმართება,"** - განუცხადა მაჭავარიანმა "24 საათს".

გუშინ კანცელარიაში პრესასთან კომენტარისას თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა 30 ათასი კაციდან 17 ათასამდე შემცირდება. სამაგიეროდ, გაიზრდება ხელფასები და ქართული ჯარი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაიწვრთნება.

## მოკლედ

### რუს სარდალს მიხეილ ქარელის ქმედებები არ მოსწონს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს მიხეილ ქარელს კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვაში ადანაშაულებს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმს" კულახმეტოვმა განუცხადა, რეგიონში ხშირია სამგზავრო და სატვირთო ავტომანქანების დაკავების ფაქტები, ელემენტარული, საყოფაცხოვრებო მიზეზით იკეტება გზები, რაც ქარელის ბრძანებით ხდება. "მე არა ერთხელ ვუთხარი გუბერნატორს, რომ მეზობლებს შორის კონფლიქტის გამო გზის გადაკეტვა არ შეიძლება, რადგან ეს კონფლიქტის ზონაში პოლიტიკურ ელფერს იძენს", - აცხადებს სამშვიდობოთა სარდალი და დასძენს, რომ მიხეილ ქარელი ყოვლისშემძლე არ არის, მაგრამ მის უკან სერიოზული ძალა დგას. **მედია-ნიუსი**

### ქართველი სამშვიდობოები ერაყში გაემგზავრნენ

რვა ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ალექსეევკის შვეულმფრენთა ბაზიდან კომანდოს ბატალიონის ორი ასეული, სამშვიდობო მისიის შესასრულებლად, ერაყში გაემგზავრა. ასეულს კომანდოს ბატალიონის შტაბის უფროსი სოსო ნიკოლაიშვილი უხელმძღვანელებს. გაცილების ცერემონია დილის რვა საათზე დაიწყო და მას თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, სამშვიდობოების მშობლები და ახლობლები ესწრებოდნენ. "მე ამაყი ვარ, როცა ვხედავ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც მზად არიან თვალებში ჩახედონ იმ საფრთხეს, რაც მათ შორეულ ერაყში ელოდებათ", - განაცხადა გაცილების ცერემონიაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. ასეულებს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვთ სამთვიანი მომზადება, შემდეგ მათ სამშვიდობო ოპერაციის განსახორციელებლად ერთთვიანი სპეციალური გადამზადება გაიარეს. უშუალოდ ერაყში ჩასვლამდე კი ისინი ორი კვირის მანძილზე კუვეითში მოემზადებიან. ერაყში ქართული სამშვიდობო მისიის ამოცანა იქნება აშშ სამხედრო ძალებთან ერთად დასახლებულ პუნქტებში პატრულირება, რეიდებში მონაწილეობა, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების დაპატიმრება. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი**. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ მაილსი 2004 წლის "რობერტ ფრეიზერის სახელობის ჯილდოს" მფლობელი გახდა.

აშშ-ს საელჩოს ცნობით, ეს ჯილდო ენიჭება პიროვნებებს, რომელთა საქმიანობა საუკეთესო მაგალითია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების, ასევე დაძაბულ პოლიტიკურ გარემოში მშვიდობის დამყარების საქმეში. საელჩოს განცხადებით, მაილსის შერჩევა განაპირობა მისმა ერთგულებამ დიპლომატიის პრინციპებისადმი საქართველოში დემოკრატიული ძვრების რთულ პერიოდში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ პარტია დატოვა. მშრომელთა პარტიის ერთ-ერთმა სახემ პარტიიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადებით შალვა ნათელაშვილს გასულ პარასკევს მიმართა, ამ უკანასკნელმა კი განცხადებას გუშინ მოაწერა ხელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინაში 21 ნოემბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს დამკვირვებლის სტატუსით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები კვლავ დაესწრებიან. ცესკო-ს აპარატის უფროსის ნუგზარ კუპრეიშვილის განცხადებით, საქართველოდან ჩასული დამკვირვებლების ნაწილს უკრაინის მხარე აფინანსებდა, ნაწილს კი - საქართველოს ბიუჯეტი. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი**. რვა ნოემბერს ბათუმში, კერძოდ, სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუქტზე, საზეიმოდ გაიხსნა ქართველი მესაზღვრეების წვრთნის სპეციალური პროგრამა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აფინანსებს. ერთი კვირის განმავლობაში ოთხი ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი ბათუმისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სასაზღვრო სამსახურების 15 ოფიცერს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს ჩაუტარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი მოძრაობა "დაბრუნება" აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას დაუშვებლად მიიჩნევს და სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობის სასარგებლოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებას "აფხაზეთის საკითხში რუსეთის წინაშე სრულ კაპიტულაციად" აფასებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

**საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის** **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის**

**საქართველოს გადამხდელთა კავშირის** **საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის**

# ინიციატივა
# სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობისათვის

მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოება ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ბოლო პერიოდში საქართველოში იგეგმება და იდგმევა რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ამ პრობლემის გადაწყვეტაში სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა უალტერნატივოა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ამ ყველასათვის ცნობილი გარემოების სახელმწიფო პოლიტიკაში და შესაბამის ქმედებებში ასახვა.

გამოვდივართ ინიციატივით, კონკრეტულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე) მოხდეს პროფესიული და საზოგადოებრივი შეთანხმება შემდეგ საკითხებზე:

- შემუშავდეს ჯანდაცვის დაფინანსების მოდელი, რომელიც მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომს გახდის სამედიცინო მომსახურებას;
- მომზადდეს საპენსიო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქის ღირსეულ სიბერეს და განსაზღვრავს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის გზებს და რესურსებს;
- შემუშავდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შრომითი კანონმდებლობა, რომელიც არ იქნება ბარიერი შრომითი ურთიერთობების ლეგალიზაციისათვის, რის წინაპირობასაც ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ქმნის.

ამისათვის შეიქმნას ერთობლივი სამოქმედო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც მოხდება აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის მომზადება და საჯარო განხილვა. თანამშრომლობის ეს ფორმა მოგვცემს საშუალებას ეფექტურად გამოვიყენოთ სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული რესურსები, მოვიზიდოთ საჭირო საერთაშორისო ექსპერტიზა და დავნერგოთ სოციალური უსაფრთხოების ნოვატორული მიდგომები საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე.

წინამდებარე გეგმის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოციალურ სტაბილურობას და მისცემს დამატებით იმპულსს საფინანსო მომსახურების და კაპიტალის ბაზრის განვითარებას. საქართველოს ეკონომიკა გახდება მიმზიდველი უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის და ქვეყანაში გაჩნდება შიდა ინვესტიციების სერიოზული რესურსი.

დევი ხეჩინაშვილი
საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია

ჯემალ ინაიშვილი
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

გიორგი ისაკაძე
საქართველოს გადამხდელთა კავშირი

გია ბაზღაძე
ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში

4.11.2004

## "Invest in Georgia" ანუ დააბანდეთ საქართველოში

*საქართველო დაჟინებით აცხადებს, რომ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინვესტიციებს და მათ მისაღებად ქვეყნისკენ მომავალ ყველა კარს გააღებს. ამჯერად საქართველოს მთავრობამ ტრიბუნად დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონი აირჩია. როგორც ჩანს, იქედან უფრო ადვილი იქნება ინვესტორებისთვის ხმის მიწვდენა.*

დიანა ჩაჩუა

11 ნოემბერს EBRD-ის და საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ლონდონში საერთაშორისო კონფერენცია "ინვესტირება საქართველოში" გაიმართება. პირველი მასშტაბური ქართული ფორუმის მიზნები ნათელია - საერთაშორისო ბიზნესწრეებისთვის საქართველოს პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს დახასიათება, ეკონომიკური და ფინანსური რეფორმების მიმდინარეობის გაცნობა და, ასევე, ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის ნდობისა და საქმიანი კონტაქტების ჩამოყალიბება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მიიღებს, რომელიც EBRD-ის პრეზიდენტთან ერთად უშუალოდ გახსნის კონფერენციას.

ლონდონში სრული შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი ქვეყნის ეკონომიკური გუნდი, ასევე ბათუმისა და ფოთის პორტების ხელმძღვანელები, "საქართველოს ბანკის", "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის", სს "ბაგრატიონის", სს "თბილღვინოსა" და სხვა ქართული საწარმოების წარმომადგენლები.

საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს კი გაეცნობიან ინვესტორები აშშ-დან, ინგლისიდან, რუსეთიდან, ავსტრიიდან და იმ საერთაშორისო კომპანიებიდან, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე არიან ორიენტირებულნი.

აღსანიშნავია, რომ ლონდონში დაგეგმილი კონფერენციის ანალოგიური კონფერენციების ჩატარება მომავალშიც იგეგმება. საქართველოს დელეგაციას მიმდინარე წლის ნოემბერში იტალიაში, მომავალი წლის გაზაფხულზე აშშ-ში, თებერვალში კი გერმანიასა და საბერძნეთში უმასპინძლებენ.

## საქართველოს ხე-ტყის ინდუსტრიის განვითარებისთვის

*დღეს საქართველოს ხე-ტყის გადამამუშავებელი ინდუსტრიის მაქსიმუმი ფიცრების ექსპორტია, თუმცა საქართველოს აქვს პოტენციალი, ფიცრების ექსპორტს გაცილებით მეტი ღირებულების პროდუქცია - ავეჯისა და ავეჯის დეტალების ექსპორტი ჩაანაცვლოს. ასეთი ცვლილება კი მომგებიანი იქნება არა მარტო ამ დარგისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნისათვის.*

ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებისათვის და ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, ოქტომბერ-ნოემბერში საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრმა (სერმამ) სემინარი ჩაატარა, რომელშიც ამ დარგის მაღალკვალიფიციური გერმანელი, ბრიტანელი და ქართველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

**"ამ სემინარებზე კიდევ ერთხელ გაგვახსენდა მივიწყებული პრაქტიკა, რომელიც საქართველოს ავეჯის წარმოებაში იყო დანერგილი. სერმა ამ სემინარებით დაგვეხმარა, გავცნობოდით მსოფლიოში ცნობილი ფირმების საქმიანობას, იმ სიახლეებს, რაც დღეს ამ დარგშია. დამწყები სპეციალისტებისთვის სერმა დიდ საქმეს აკეთებს. კანონმდებლობის მოუწესრიგებლობამ ხე-ტყის ინდუსტრიის განვითარება შეაფერხა, ნედლეულის მიმწოდებლად გვაქცია, ამიტომ საჭიროა ხე-ტყის ინდუსტრიის განვითარება,"** - აღნიშნა შპს "რიონი-პლასტის" სპეციალისტმა თამაზ ბოჭოიძემ.

სემინარის მიზანი იყო, მორის დახერხვის, ფიცრის გაორთქვლის, შრობის და ხე-ტყის პროდუქციის დიზაინის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ მსოფლიოში არსებული სრულყოფილი ინფორმაციები მიეწოდებინათ საქართველოში ამ სფეროში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის. თბილისის გარდა, ერთი სემინარი ქუთაისშიც ჩატარდა. *24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ენერგეტიკის სამინისტრომ "ხადორჰესის" ჩართვასთან დაკავშირებული პრობლემა დროებით მოაგვარა. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის მიერ ჩინელ ინვესტორებთან ნოემბრის დასაწყისში გაფორმებული შეთანხმება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმოქმედებს. შეთანხმებით ინვესტორები მთავრობასთან მხოლოდ ერთწლიან კომპრომისზე წავიდნენ, ამიტომ ჯერჯერობით უცნობია, იმუშავებს თუ არა პანკისის ხეობაში ჩინური ინვესტიციით აშენებული "ხადორჰესი" მომავალ წელს. ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია მზად არის, "ხადორჰესს" ტარიფი ინვესტორებთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში დაუმტკიცოს. წინასწარი ინფორმაციით, სემეკი ტარიფს პარასკევს დაამტკიცებს და იმავე დღეს "ხადორჰესს" წარმოების ლიცენზიასაც მისცემს. ჰესის ტარიფი 3,5 ცენტით განისაზღვრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ბანკირის პროფესიული დღის აღსანიშნავად დღეს ქუთაისში გამართულ დარბაზობაზე ბანკების საუკეთესო ფილიალები და წარმატებული მუშაკები დააჯილდოვეს. შეხვედრაზე, რომელზეც საქართველოში მოქმედი ყველა ბანკის დასავლეთ საქართველოს ფილიალები იყო წარმოდგენილი, საუკეთესო ბანკად "თიბისი ბანკის" ქუთაისის ფილიალი დასახელდა. სხვადასხვა ნომინაციებში ასევე "საქართველოს ბანკის", "პროკრედიტბანკის" და "გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალებმა გაიმარჯვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ლონდონში ინვესტორებთან დაგეგმილი შეხვედრის შედეგიანობაში დარწმუნებულია და მიაჩნია, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციით დაინტერესდებიან. ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ინვესტორებს ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოს გააცნობენ და შეეცდებიან, საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე დაითანხმონ. "რამდენიმე კონკრეტული ინიციატივა უკვე არსებობს, თუმცა ამის შესახებ დეტალურად ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ ვისაუბრებთ" - განაცხადა ნოღაიდელმა. **ინტერ-პრესი**


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**წინასაკვალიფიკაციო შერჩევა**

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი საერთაშორისო განვითარების სააგენტოსაგან, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამ განცხადებით სსიფ იწვევს ყველა დაინტერესებულ კერძო, ლიცენზირებულ საპროექტო ორგანიზაციებს წინასაკვალიფიკაციო შერჩევისათვის. საკვალიფიკაციო ფორმების მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი 380079, საქართველო,**
**გიორგი ბაჯელიძე. შესყიდვების მენეჯერი**
**ტელ: (995 32) 23 07 79, 25 04 42, 25 04 43;**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**
**ელ ფოსტა: gsif@gsif.ge , gbajelidze@gsif.ge**

**2004 წლის 10 ნოემბრიდან, 10-დან 17 საათამდე.**
**საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა**
**2004 წლის 24 ნოემბრამდე.**


# ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ახალ ბანკნოტებს უშვებს

მარიამ ჭაჭვაძე

*საქართველოს ეროვნული ბანკი დღეიდან 50 და 100 ლარის ნომინალის ახალ ბანკნოტებს გაუშვებს მიმოქცევაში. გუშინ ეროვნულ ბანკში ამ კუპიურების პრეზენტაცია გაიმართა. ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტების პრეზენტაციის დღე რამდენიმე ღირსშესანიშნავ თარიღს დაემთხვა.*



იური ლობოდინის ფოტო

*ახალ 50 და 100 ლარიან ბანკნოტებზე განთავსებულია დამატებითი დამცავი ნიშნები, ლარის გაყალბების თავიდან აცილების მიზნით.*

საქართველოს დამოუკიდებელი საბაკო სისტემა 15 წლის გახდა, 10 წელი შეუსრულდა საქართველოს ბანკების ასოციაციას, 130 წელი გავიდა საადგილმამულო ბანკის დაარსების შემდეგ. საქართველო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს ზეიმობს, ხოლო ბანკირები ბოლო 5 წელია, ამავე დღეს პროფესიულ თარიღს - "ბანკირის დღეს" აღნიშნავენ.

ახალ 50 და 100 ლარიან ბანკნოტებზე განთავსებულია დამატებითი დამცავი ნიშნები, ლარის გაყალბების თავიდან აცილების მიზნით.

ქვეყნის ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ფულადი ნიშნების მოდიფიცირება, დიზაინის, დამცავი მექანიზმისა და ხარისხის სრულყოფა, დაზიანებული და გაცვეთილი ბანკნოტების ახლით ჩანაცვლება. აღნიშნული პრაქტიკა მთელ მსოფლიოშია აპრობირებული და ის არ გულისხმობს ფულადი მასის დამატებით ემისიას. ეს ღონისძიება ემსახურება მოსახლეობის ინტერესების დაცვას ვალუტის გაყალბებისაგან და ნაღდი ანგარიშსწორების პრობლემების თავიდან აცილებას.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის ბანკნოტები ხარისხისა და დაცულობის თვალსაზრისით სრულიად შეესაბამება ფულის საერთაშორისო სტანდარტებს. 50 და 100 ლარიანი ბანკნოტების დიზაინშიც შესულია გარკვეული ცვლილებები, რომელიც, ირაკლი მანაგაძის შეფასებით, მიმზიდველია ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

1, 2, 5, 10 და 20 ნომინალის ლარის ახალი მოდიფიცირებული ბანკნოტები მიმოქცევაში 2002 წლიდან გავიდა. აღნიშნული ფულის ნიშნები სრულყოფილად ასრულებენ ფულის მიმოქცევის ფუნქციას. დღეიდან კი საქარველოს ეროვნული ბანკი ბრუნვაში უშვებს 50 და 100 ლარის ნომინალის შესაბამის ფულად ნიშნებს, რომლებიც ქვეყნის ფულის მიმოქცევის თავისებურებისა და ძველი ბანკნოტების ბრუნვის პროცესში მათთვის დამახასიათებელი ხარვეზების გათვალისწინებით, გაცილებით მაღალი სიმკვრივისა და ხარისხის ქაღალდზე დამზადდა, დაიფარა დაბინძურების საწინააღმდეგო გამჭვირვალე, მიკროსკოპული სისქის ლაქით, რომელიც ამაღლებს ბანკნოტის ხარისხსა და მნიშვნელოვნად ზრდის მიმოქცევაში მათი ბრუნვის ხანგრძლივობას.

50 და 100 ლარის მოდიფიცირებული ბანკნოტების გამოშვების მიზანია მიმოქცევაში არსებული ბანკნოტების ისეთი ბანკნოტებით შეცვლა, რომელთა ხარისხი და დამცავ მექანიზმებში შეტანილი ცვლილებები ხელს შეუწყობს როგორც ქვეყანაში ყალბი ფულის გავრცელების შესაძლებლობის შემცირებასა და ამ მხრივ მოსახლეობის ინტერესების დაცვას, ისე მიმოქცევაში მათი ყოფნის ხანგრძლივობის რამდენადმე გაზრდას.

50 და 100 ლარის ბანკნოტების დიზაინში დაიხვეწა შრიფტი, ფიგურირებს ინტენსიური ფერები, სრულყოფა განიცადა მხატვრულმა გამოსახულებებმა, ორნამენტულმა ბადეებმა და ფონებმა, შეიცვალა გამოშვების წელი და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა. ამის შედეგად ლარის ახალი ბანკნოტები, ძველთან შედარებით, ვიზუალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით მეტად სრულყოფილი გახდა. გაყალბებისაგან დაცვის თვალსაზრისით ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტებისათვის შეირჩა ისეთი ახალი პროგრესული დაცვის საშუალებები, როგორიცაა: ჰოლოგრამა - შეიცავს გაყალბებისაგან დაცვის საიმედო მექანიზმს - აქვს მეტალის მბზინავი ეფექტი, ახასიათებს ფერთა ცვალებადობა, დატანებული გამოსახულების სივრცითი აღქმა და წარმოადგენს საუკეთესო დაცვას კოპირებით გაყალბებისაგან.

ოპტიკურად ცვალებადი მელანი - სალებავის უნიკალური მახასიათებელი, რომელსაც აქვს ფერების ცვალებადობის ეფექტი და წარმოადგენს ბარიერს ყალბის მქნელებისათვის.

ირისისებური ზოლი - ბანკნოტის უკანა მხარეს ქაღალდის ზედაპირზე მოთავსებული გამჭვირვალე, სადაფისებური ეფექტის მრავალფერიანი ზოლი წარწერით - "GEL".

გარდა ამისა, დაცვის მექანიზმი გაუმჯობესდა იმ ნაწილშიც, რომელიც, ძირითადად, განკუთვნილია საბანკო და ნაღდ ფულთან მომუშავე სპეციალისტებისათვის, რაც აუცილებლად გაზრდის ყალბი ბანკნოტების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

# რა აზარალებს საქართველოს რკინიგზას?!

*საგარეო თუ საშინაო ვალები, ქაოტური ბუღალტერია, მოძველებული და ამორტიზებული სარკინიგზო პარკი, ბალანსზე რიცხული ასობით არაპროფილური ობიექტი - ეს პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რისი გადაჭრაც "საქართველოს რკინიგზისთვის" სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მომგებიან საწარმოდ იქცეს. ამ ეტაპზე საწარმოს ხელმძღვანელობისთვის მორიგი მტკივნეული საკითხი ზარალიანი განშტოებები და სამგზავრო გადაზიდვების სიიაფეა. ზუსტად რამდენი სჭირდება საქართველოს რკინიგზას გაჯანსაღებისა და გამართულად მუშაობისთვის, დღეს ამ უწყებაში არავინ იცის.*

სოფიკო ოხანაშვილი

სამგზავრო გადაზიდვების სიიაფის გამო, "საქართველოს რკინიგზა" ყოველწლიურად 40 მილიონ ლარზე მეტს კარგავს. ცალსახაა, რომ სამგზავრო გადაზიდვები "საქართველოს რკინიგზისთვის" წამგებიანია. ამ მხრივ, განსაკუთრებით ზარალიანია სარკინიგზო განშტოებები (თბილისი-კახეთის მიმართულება, ქუთაისი-ტყიბული, ქუთაისი-წყალტუბო, ჭიათურის მიმართულება და ა.შ.), მიზეზად კი ის სახელდება, რომ ბილეთების ფასი ძალიან დაბალია და რეალურად არ შეესაბამება გაწეულ ხარჯებს. ხშირია შემთხვევები, როცა ბილეთის ფასი იმდენად მიზერულია, რომ რეალურ ფასს ოცჯერაც კი ჩამოუვარდება. **"ეს ხაზები დასახურია, რეალურად ეს ხაზები არ უნდა არსებობდეს",** - დასკვნა ცალსახაა. მაგრამ, ამ დასკვნის განხორციელებისგან - როგორც ბილეთების ფასის რადიკალური გაზრდისგან, ასევე განშტოებების დახურვისგან - რკინიგზაში, ჯერჯერობით, თავს იკავებენ. მიზეზად კი, სოციალური პრობლემების გათვალისწინებას ასახელებენ. თუმცა, "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელი იქვე იმასაც აღიარებს, რომ შესაძლებელია, ხარისხიან სერვისზე ფასი ნაწილობრივ გაიზარდოს, რკინიგზაში იმასაც აღიარებენ, რომ ადრე თუ გვიან წამგებიანი განშტოებების დახურვაც გარდაუვალი გახდება. გამოსავალი არსებობს: ბილეთების გაძვირება, განშტოებების დახურვა. ასეთი მიდგომით, რკინიგზა მომგებიანი საწარმო გახდება, მაგრამ იზარალებს მოსახლეობა, მეორე მხრივ, თუ ასე ცოტა ხანსაც გაგრძელდა, **"რკინიგზა ამას ვერ გაუძლებს და როგორც საწარმო, რამდენიმე წელში აღარ იარსებებს".**

წამგებიანი განშტოებებისგან გათავისუფლების საკითხი რკინიგზის ხელმძღვანელობამ მთავრობასთან ერთად უნდა განიხილოს და ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ: დახურონ წამგებიანი მიმართულებები თუ რამდენიმე განშტოების სუბსიდირებას სახელმწიფო აიღებს თავის თავზე. არსებობს მესამე ალტერნატივაც - რკინიგზამ ინვესტორის მოძიება უნდა დაიწყოს, რასაც "საქართველოს რკინიგზაში" ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვლად მიიჩნევენ.

ეს მომავლის საქმეა, ახლა კი დავით ონოფრიშვილის განცხადებით, საქართველოს რკინიგზას საკმაოდ რთულ პირობებში უწევს მუშაობა: ამ დროისთვის თითქმის მთლიანად მოძველებულია სარკინიგზო პარკი, ამორტიზებულია ათასობით ვაგონი, ლოკომოტივი, ელმავალი. ონოფრიშვილის შეფასებით, დაახლოებით, 10 წელიწადში არც ერთი ვაგონი აღარ იქნება, იმიტომ, რომ თავის მუშაობის ვადას ამოწურავენ. რკინიგზას კი ახლის ყიდვის ფინანსები არ აქვს. **"20-30-იც რომ იყიდო, ეს საქმეს არ შველის, იმიტომ, რომ ამის პარალელურად, წყობიდან ათასობით ვაგონი გამოდის. ზოგს უკვე კაპიტალური შეკეთების ვადაც ეწურება და მეტს ველარ შეაკეთებ, უნდა ჩამოწერო და ჯართში წავიდეს",** - აცხადებს ონოფრიშვილი.

არსებული პრობლემების პარალელურად კი, რკინიგზისთვის კვლავ აქტუალურია დივიდენდების პრობლემა, რომელზეც "24 საათი" უკვე წერდა. რკინიგზის ხელმძღვანელობა თანახმაა, სხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, დივიდენდების 10 პროცენტი გადაიხადოს. დივიდენდების 90 პროცენტის საწარმოში დატოვება კი საწარმოსთვის მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში ონოფრიშვილი დარწმუნებულია, რომ თუ ასე გაგრძელდა, ოთხი-ხუთი წლის შემდეგ რკინიგზა აღარ იარსებებს. **"თუ მიდგომა ველური კაპიტალისტური გახდება, მაშინ უნდა ავწიოთ ფასი, უნდა დავხუროთ განშტოებები, მაშინ, კი ბატონო, წაიღონ დივიდენდიც. ეს არავის არ არგებს - არც ქვეყანას და არც იმ ხალხს, ვინც ამ რკინიგზას იყენებს",** - აცახდებს ონოფრიშვილი.

# "ყაზბეგი" ისევ მსოფლიო ათეულშია

**მწარმოებელი კომპანიის დასახელების დროს პირველი რომელი კომპანიის სახელი გახსენდებათ? ასეთი შეკითხვით მიმართეს ევრაზიის 10 ქვეყნის 12 429 რესპონდენტს.** ევრაზიის მარკეტინგული კვლევების ასოციაციამ **EMRA** კომპანიების ცნობადობის რეიტინგის დასადგენად რაოდენობრივი კვლევა 10 ქვეყანაში : უნგრეთი, რუსეთი, სერბეთი, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბულგარეთი, ხორვატია, საქართველო. რესპონდენტების მიერ დასახელებული 10 კომპანიიდან 7 მულტინაციონალური კომპანიაა.

**"ყაზბეგი"** ერთადერთი ადგილობრივი კომპანიაა, რომელიც მეორე წელია, ათეულში ინარჩებს ადგილს. **"ყაზბეგი"** ათეულშია ისეთ კომპანიებთან ერთად, როგორიცაა **Coca-Cola, Samsung, Nestle, Sony, Procter&Gamble, Oriflame, LG.**

SPONTANEOUS COMPANY AWARENESS - TOTAL

| # | 2002 | % | 2003 | % | 2004 | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Coca-Cola | 35% | Coca-Cola | 18% | Coca-cola | 18% |
| 2 | Oriflame | 9% | Sony | 9% | Samsung | 9% |
| 3 | Gillette | 9% | Samsung | 9% | Nestle | 9% |
| 4 | Nestle | 9% | Procter&Gamble | 9% | Sony | 7% |
| 5 | Sony | 8% | Oriflame | 7% | Procter&Gamble | 5% |
| 6 | PepsiCola | 7% | Kazbegi | 6% | Kazbegi | 5% |
| 7 | Samsung | 6% | Nestle | 5% | Oriflame | 5% |
| 8 | Procter&Gamble | 6% | LG | 5% | M Tel | 4% |
| 9 | L'Oreal | 6% | Panasonic | 4% | LG | 4% |
| 10 | Mc'Donalds | 5% | Mercedes | 4% | Kras | 3% |
| - | რესპონდენტთა რაოდენობა-13'322 | - | რესპონდენტთა რაოდენობა-12'125 | - | რესპონდენტთა რაოდენობა-12'429 | - |

**საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის IPM დირექტორი გოჩა ცქიტიშვილი:**

მსოფლიოში სწრაფად რეალიზებადი პროდუქტის მწარმოებელ კომპანიებს უკვე აღელვებთ თავიანთი კომპანიის ცნობადობის საკითხი. ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის საკითხი სხვაგვარად დგას, მათთვის ამ რეიტინგში მოხვედრა არ ნიშნავს რომელიმე ერთ ქვეყანაში გამარჯვებას, ეს ნიშნავს ბევრ ქვეყანაში გამარჯვებას ერთად. ასე მაგალითად, კოკა-კოლასთვის ან ნესტლესთვის არ შეიძლება საქართველო ან უნგრეთი გახდეს ამ რეიტინგის განსაზღვრის მიზეზი. იმისათვის რომ ისინი სარეიტინგო პირველ ათეულში მოხვდნენ, საჭიროა, მათ ბევრ ქვეყანაში გაიმარჯვონ. იმიტომ, რომ სპონტანური გახსენებისას არც ერთ ქვეყანაში რესპოდენტი ერთი და იგივე კომპანიას არ ასახელებს. რა შანსი აქვთ ლოკალურ კომპანიებს სარეიტინგო ათეულში მოხვდნენ? იმისათვის რომ ცნობადობის რეიტინგში მაღალი ადგილი დაიკავოს ადგილობრივმა კომპანიამ, აუცილებელი ხდება, საკუთარ ქვეყანაში მოიგოს ძალიან სერიოზულად და არა უბრალოდ მოუგოს რომელიმე მულტინაციონალურ კომპანიას. ასეთი რამ აღმოსავლეთ ევროპისა და თანამეგობრობის სივრცეში მხოლოდ 3 ადგილობრივმა კომპანიამ მოახერხა "ყაზბეგმა", **M Tel, Kras.**

ამ კომპანიებს თავის ქვენებში მინიმუმ 40-50 პროცენტიანი ცნობადობა აქვთ. "ყაზბეგს" აქვს საქართველოში სპონტანური ცნობადობის ძალიან მაღალი პარამეტრი-**50** პროცენტი. ეს ნიშნავს , რომ მიუხედავად იმისა, რომ სხვა არც ერთ ქვეყანაში არც ერთ ადამიანს პირველ რიგში **"ყაზბეგი"** არ დაუსახელებია, საქართველოს შედეგებმა-ძალიან მაღალმა ცნობადობამ გამოიწვია ის, რომ საერთო ჯამში 2003 და 2004 წლებში "ყაზბეგი" ცნობადობის რეიტინგებში პირველ ათეულში მულტინაციონალურ კომპანიებთან ერთად გვერდიგვერდ მოხვდა.

ბიზნესი არის დროისა და ადგილის სწორად შერჩევა. კომპანია "ყაზბეგი" მოხვდა ძალიან სწორ დროს სწორ ადგილას. გახსოვთ, როდესაც "ყაზბეგი" გამოჩნდა, საქართველოში უხარისხო ლუდის ნამდვილი ექსპანსია იყო, ეს იყო თავისი ღირებულებით და თავის ხარისხით ძალიან იაფფასიანი ლუდი. ამ დროს როგორც არასდროს ყვაოდა ნაციონალური იდეა. იმ პერიოდში ქართული პროდუქციის გამოშვება, რომელმაც მოკლა უხარისხო იმპორტი, ეს ნიშნავდა გამარჯვებას და იმას, რომ ეს კომპანია თავის დროს თავის ადგილზე მოხვდა. სტარტი იყო ძალიან კარგი. ამას გარდა, კომპანიის სახელწოდება და მის მიერ წარმოებული წამყვანი ბრენდის სახელწოდება ერთმანეთს ემთხვევა, "ყაზბეგს" აქაც გაუმართლა. როცა მომხმარებელს, სწრაფრეალიზებადი პროდუქტის სახელი მუდმივად მეხსიერებაში აქვს, ეს არის წინაპირობა იმისა, რომ პროდუქტი გაყიდვადი იქნება, სხვა შემთხვევაში ოპერატიულ მეხსიერებაში ის არ შეიძლება არსებობდეს. ოპერატიულ მეხსიერებაში არსებობს მხოლოდ ის ბრენდი, რომელსაც სულ ხედავ, რომელსაც მოიხმარ და რომლის შესახებაც გესმის.



# აჰმედ კურეიმ და მაჰმუდ აბასმა არაფატის უფლებამოსილებები გადაინაწილეს

## არაფატის მეუღლე მათ ძალაუფლების უზურპაციაში ადანაშაულებს

ლევან გელაშვილი

უკანასკნელ დღეებში იასირ არაფატის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო, პალესტინის ავტონომიის მეთაურის უფლებამოსილებები კვირას მთლიანად პრემიერ-მინისტრ აჰმედ კურეის გადაეცა. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის (პგო) გენერალური მდივანი მაჰმუდ აბასი იასირ არაფატის მოვალეობებს პგო-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის რანგში შეასრულებს. ლიდერის ავადმყოფობის შემდეგ პალესტინის ნაციონალურმა ადმინისტრაციამ ამის შესახებ ღია განცხადება პირველად გააკეთა.

პალესტინის ავტონომიის გენერალურმა მდივანმა ტაიებ აბდელ რაჰიმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში პოლიტიკური ვაკუუმის თავიდან ასაცილებლად იქნა მიღებული.

ისრაელის ხელისუფლება, ისევე, როგორც ისრაელის ოპოზიცია პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობაში მაჰმუდ აბასისა და აჰმედ კურეის დაბრუნებას მიესალმა. ისრაელს იმედი აქვს, რომ შესაძლებელი გახდება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე მოლაპარაკებათა განახლება. ეს ინფორმაცია ქნესეთის დეპუტატმა, ისრაელის "დემოკრატიული არჩევანის" პარტიის ლიდერმა რომან ბრონფანმა გაავრცელა. მისი თქმით, კურეი და აბასი გაცილებით პრაგმატული ლიდერები არიან, ვიდრე იასირ არაფატია.

უნდა აღინიშნოს, რომ პალესტინის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა პარიზიდან წამოსული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იასირ არაფატი კომაში იმყოფება და მისი მდგომარეობა, ფაქტობრივად, უიმედოა. ამდენად, პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ უუნარობის გამო მისი უფლებამოსილებების სხვა ლიდერებისათვის გადაცემა აუცილებლობად მიიჩნია.

მოვლენათა უეცარმა განვითარებამ დამკვირვებელთა მთელი ყურადღება ჯერ არცთუ ცნობილმა ფიგურამ, 75 წლის ლიდერის მეუღლემ სუჰა არაფატმა მიიქცია. იგი პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობასთან ღია კონფლიქტში ჩაება.

აღნიშნული კონფლიქტი მას შემდეგ გაღვივდა, რაც მაჰმუდ აბასმა, აჰმედ კურეიმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ შაასმა პარიზთან მდებარე პერსის სამხედრო ჰოსპიტალში ჩასვლა გადაწყვიტეს, რათა არაფატის ჯანმრთელობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში პირადად დარწმუნებულიყვნენ.

პარიზში პალესტინური წყაროების თანახმად, პალესტინის ხელმძღვანელობა სუჰა არაფატს ადანაშაულებს იმაში, რომ მან ქმრის მდგომარეობაზე ინფორმაციის პრაქტიკულად მონოპოლიზება მოახდინა. ამის გამო, არაფატის უახლოესი გარემოცვაც კი გაურკვევლობაში იმყოფება.

პასუხად, პალესტინის ლიდერის მეუღლე პალესტინის ხელმძღვანელობის მიმართ მძაფრი კრიტიკით გამოვიდა. ყატარის სატელიტური ტელეარხის "ალ-ჯაზირას" ეთერით გამოსვლისას, სუჰა არაფტმა მისი მეუღლის გარემოცვას ძალაუფლების უზურპაციაში დასდო ბრალი.

"მე თქვენ მოგმართავთ, რათა შეთქმულების მასშტაბების შესახებ იცოდეთ. ისინი აბუ ამმარის (არაფტის ფსევდონიმი) ცოცხლად დამარხვას ცდილობენ. ის თავს კარგად გრძნობს და სამშობლოში დაბრუნდება", - განაცხადა მან. 29 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც იასირ არაფატი პარიზის მახლობლად, პერსის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სუჰა ავადმყოფი მეუღლის სარეცელს არ მოშორებია.

გაღვივებულმა კონფლიქტმა პრესა აიძულა, რომ 41 წლის სუჰა არაფატის პიროვნებისთვის უფრო დიდი ყურადღება დაეთმოთ.

როგორც ფრანგული პრესა იუწყება, სუჰა ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა და განათლება საფრანგეთში მიიღო, თუმცა, მოგვიანებით, არაფატზე დაქორწინების შემდეგ, ისლამს ეზიარა.

მათი შეხვედრა დაახლოებით ოცი წლის წინ მოხდა, როდესაც იასირ არაფატმა ახალგაზრდა ქალბატონი პგო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურში სამუშაოდ მიიწვია. მოგვიანებით სუჰა არაფატის ეკონომიკური მრჩეველიც გახდა. 1990 წელს ისინი ფარულად შეუღლდნენ, 1995 წელს კი ქალიშვილი შეეძინათ.

სულ მალე, ფრანგული პრესის ცნობით, არაფატების ოჯახი პრაქტიკულად დაიშალა. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე სუჰა არაფატი თავის ქალიშვილთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. თავად იასირ არაფატი პალესტინის ტერიტორიაზე დარჩა, ხოლო ბოლო სამი წლის მანძილზე იგი რამალაში, საკუთარ რეზიდენციაში შინაპატიმრობაში იმყოფება.

იმავდროულად, პირად ინტერვიუებში სუჰა არაფატი უარყოფდა ჭორებს გაყრის თაობაზე და მეუღლეს "ქმრის მორის უბედნიერეს-ად" მოიხსენიებდა. თითქმის ნახევარი წლის წინ მან განაცხადა, რომ "თუ საჭირო გახდებოდა, ნებისმიერ მომენტში" მზად იყო პალესტინის ტერიტორიებზე დაბრუნებულიყო.

როგორც ფრანგული მასმედია იუწყება, წინა წლების სუჰას კომფორტული ცხოვრების მიმართ აშკარა მიდრეკილება და მისი თავშეუკავებელი საჯარო განცხადებები, არცთუ იშვიათად სკანდალის საფუძველი გამხდარა. ამჯერად, განვითარებული კონფლიქტის წყალობით აგორდა ჭორები საიდუმლო საბანკო ანგარიშების შესახებაც, რომელიც, ვითომდა, არაფატს ეკუთვნის და რომლებზეც ასობით მილიონი თუ მილიარდი დოლარი ირიცხება.

გასულ წელს საფრანგეთში კერძო გამოძიებაც კი ჩატარდა, რომელიც პარიზში სუჰა არაფატის საბანკო ანგარიშებზე მსხვილი თანხების გადმორიცხვას უკავშირდებოდა. აღნიშნული თანხები მსოფლიოს სხვადასხვა მსხვილი ბანკებიდან მოედინებოდა, რის გამოც მათმა წარმოშობამ გარკვეული ეჭვები აღძრა.

მართალია, მაშინ გამოძიების მიჩქმალვა მოხერხდა, თუმცა პრესა ახლა კვლავ ლაპარაკობს იმაზე, რომ არაფატის მეუღლესა და პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობას შორის განვითარებული კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, სწორედ ის საბანკო ანგარიშები იყოს, რომლებზეც უზარმაზარი თანხები ინახება.




# "ჩეჩნური პონტი"

## სააკაშვილისა და კადიროვის სიტყვიერი "შეხლა-შემოხლა კომუნალურ სამზარეულოში ორი დიასახლისის ანგარიშსწორებას დაემსგავსა"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის რამზან კადიროვის განცხადება, პანკისში საკუთარი ძალებით წესრიგის დამყარებისათვის მზადყოფნაზე, რუსულმა პრესამ დიდი ენთუზიაზმით გაავრცელა. ეს ფაქტი შემაშფოთებელია იმითაც, რომ უმცროსი კადიროვი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა არ არის და შეიძლება, მის ნებისმიერ განცხადებას კრემლის უხილავი მრჩევლის მითითება უძღოდეს წინ. თუმცა, ამ მოსაზრებას "24 საათთან" საუბარში არ იზიარებს მოსკოველი ექსპერტი, გაზეთ "მოსკოვსკიე ნოვოსტ"-ის პოლიტიკური მიმომხილველი **სანობარ შერმატოვა**.

**-რა გეგმები აქვს კრემლს უახლოეს მომავალში საქართველოსა და კერძოდ, პანკისის ხეობისადმი? მიიჩნევთ თუ არა, რომ რამზან კადიროვის განცხადება ამ გეგმის ერთი ნაწილია?**

- არა მგონია, რამზან კადიროვის განცხადების მიღმა კრემლის წინასწარგანზრახული პოლიტიკური ინტრიგა იმალებოდეს. მე მას კარგად ვიცნობ და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასე მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ლაპარაკობს. ეს მხოლოდ მისი ფრაზაა და არა პანკისში წესრიგის დამყარებაზე კრემლის მზადყოფნის უვერტიურა. ეს არის რამზან კადიროვის ჩვეულებრივი კავკასიური, "ჩეჩნური პონტი". საერთოდ, რამზანი ნაკლებგანათლებული ახალგაზრდაა და მას არ აქვს ისეთი პოლიტიკური გამოცდილება, როგორიც მამამისს ჰქონდა. დარწუნებული ვარ, რომ პანკისზე მის განცხადებას კრემლში თანაავტორები არ ჰყავს.

**-მაგრამ, რამზან კადროვი ხომ პანკისში "შევარდნაზე" მზადყოფნაში ძალიან წააგავს იმ რუს სამხედროებსა და რუსეთის პირველ პირებს, რომლებიც ხეობაზე პრევენციული დარტყმებისათვის დიდი ხანია, სერიოზულ განცხადებებს აკეთებენ. ლოგიკურ კავშირს ვერ ხედავთ, მაგალითად, თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვისა და რამზან კადიროვის განცხადებებს შორის?**

- გეთანხმებით, ყველა რუსი სამხედრო ოცნებობს პანკისში საკუთარი ძალებით, ანუ დაბომბვებით წესრიგის დამყარებაზე, მათ შორის მინისტრებიც, მაგრამ ჯერ რუსეთმა საკუთარ სახლში უნდა დაამყაროს წესრიგი და მერე იოცნებოს სხვა სახელწიფოში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე.

**-იგივე აზრი გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმაც, როცა მან რამზან კადიროვის განცხადებას გაუკეთა კომენტარი.**

- მე ძალიან არ მომწონს, რომ მიხეილ სააკაშვილისა და რამზან კადიროვის სიტყვიერმა შეხლა-შემოხლამ კომიკური ელფერი შეიძინა. მათი სიტყვიერი პაექრობა უკვე კომუნალურ სამზარეულოში ორი დიასახლისის ანგარიშსწორებას დაემსგავსა. ეს არ არის სერიოზული საუბარი.

**-თქვენ არც რამზან კადიროვის განცხადება მიგაჩნიათ სერიოზულად.**

- იცით, მე პანკისის ხეობასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი მაქვს და იგი ასეთია: სანამ პანკისში საერთაშორისო ტერორისტთა ბაზებს მოვნიშნავდეთ, რუსეთის ხელისუფლებამ მთელი პრეტენზიები საკუთარი მესაზღვრეების მიმართ უნდა მიმართოს. თუ მათ იციან, რომ პანკისში ტერორისტთა ბაზებია, მაშინ მათ უნდა ვკითხოთ: როგორ ხდება, რომ ტერორისტები ასე წყნარად გადადიან ჩრდილოეთ ოსეთიდან ინგუშეთსა და ჩეჩნეთში? ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს საკუთარ სახლში წესრიგი აქვს დასამყარებელი და მთელი პრეტენზიები რუსი მესაზღვრეების მისამართითაა. თუ არის ზუსტი ინფორმაცია პანკისში ტერორისტთა ბაზებზე, მაშინ სხვა ღონისძიებების გატარებაა საჭირო. არავის დაუმტკიცებია, რომ შამილ ბასაევი პანკისში ზის და ტერაქტებს ამზადებს - ეს ასე ნამდვილად არ არის. ამიტომ, როცა სააკაშვილი კადიროვს ბანდიტს უწოდებს, ამ ფორმით წესრიგი არ მყარდება. ეს არ არის სერიოზული საუბარი.

**-როგორ კომენტარს გაუკეთებთ იგივე კადიროვის განცხადებას, თითქოს ასლან მასხადოვი იარაღის დასაყრელად და რუსებთან მოსალაპარაკებლად არის მზად?**

- ეს ინფორმაცია დასტურდება. ამ შემთხვევაში რამზანი სწორადაა ინფორმირებული. საქმე ის არის, რომ ასლან მასხადოვი მართლაც სერიოზულად ემზადება ჩეჩნური კვანძის გასახსნელად ერთი მიზნით, რომ ბოლო მოუღოს ჩეჩენი ხალხის ტერორიზმში დადანაშაულებას, თავიდან აგვაცილოს ახალი ტერორისტული აქტები. იგი ამ ნაბიჯს დგამს, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანი.

**-გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასხადოვი კრემლთან დიალოგისათვის მზადყოფნას აცხადებს და შუამავლად რომელიღაც რუსი გუბერნატორი დაუდგება. ხომ არ იცით, ვინ იგულისხმება?**

- ბესლანის ტრაგედიამდე ვიფიქრებდი, რომ ასეთი კაცი ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ძასოხოვია, მაგრამ ბესლანის მოვლენების შემდეგ ამ შეკითხვაზე პასუხი გამიჭირდება. ასეთი კაცი შეიძლება ყოფილიყო ინგუშეთის პრეზიდენტი მურად ზიაზიკოვი, მაგრამ იგი ბესლანის შემდეგ შეურაცხყოფილია და ჩეჩნეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზეც არ წასულა. შეიძლება შუამავლის როლში მაგამედ ალი მაგამედოვიც გამოდგეს, ან შეიძლება სულაც ლაპარაკი მიდის არა ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერზე, არამედ რუსეთის სუბიექტების რომელიმე წარმომადგენელზე, მაგალითად, სტავროპოლის ან კრასნოდარის მხარის გუბერნატორებზე.

# კუბა აშშ დოლარს ბოიკოტს უცხადებს

კუბაზე აშშ დოლარი აღარ იქნება თავისუფალ მიმოქცევაში. ეს გადაწყვეტილება უკვე მეორე დღეა, რაც ძალაში შევიდა. ამერიკული ვალუტა სავალუტო მომსახურებისას უკვე აღარ იქნება ნაღდი ანგარიშსწორების საშუალება. იგი შეცვალეს ე.წ. კონვერტირებადი პესოთი, რომელიც კუნძულზევე იბეჭდება.

თავისუფალ მიმოქცევაში აშშ დოლარის აკრძალვის მიზეზად, ჯერ კიდევ გასულ თვეში კუბის ხელისუფლებამ კარიბის რესპუბლიკის მიმართ აშშ-ს გამკაცრებული პოლიტიკა დაასახელა. ფიდელ კასტროს მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ვაშინგტონმა გააძლიერა "ეკონომიკური ბრძოლა" ჰავანის წინააღმდეგ, რაც ქვეყნისკენ ვალუტის ნაკადის "სისტემატურ ხელის შეშლაში" გამოიხატება. იმ ფერად კუპიურებს კი, რომლებიც მიმოქცევაში შემოვიდა და ხელისუფლებამ აშშ დოლარს გაუთანაბრა, კუბის საზღვრებს გარეთ არავითარი ფასი არ გააჩნია. 14 ნოემბრიდან კი აშშ-ს დოლარის გაცვლით ოპერაციებზე 10 პროცენტიანი გადასახადი იქნება შემოღებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ზომები სხვა ქვეყნების მყარ ვალუტას არ შეხებია.

# მაკედონიაში რეფერენდუმი ჩავარდა

მაკედონიელი ალბანელებით კომპაქტურად დასახლებული რაიონებისთვის გაფართოებული ავტონომიის მინიჭების შესახებ კანონის გადადებასთან დაკავშირებით დაგეგმილი რეფერენდუმი მოსახლეობის დაბალი აქტივობის გამო არ შედგა. მაკედონიის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელ დამკვირვებელთა განცხადებით, აქტივობა მხოლოდ 26.5 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როცა რეფერენდუმის ჩატარებულად მიჩნევისათვის საჭირო იყო 50 პროცენტზე მეტი. ამომრჩეველს პლებისციტის ბოიკოტირებისკენ კი თვით ხელისუფლება და უცხოურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოუწოდებდნენ.

მაკედონიის გაწევრიანება ევროკავშირსა და ნატო-ში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული აღნიშნულ რეფერენდუმთან, რომელიც ქვეყანაში ეთნიკური ნიშნით მოტივირებული ძალადობის მზარდი საფრთხის ფონზე მიმდინარეობდა. თავდაცვის მინისტრის ვლადო ბუკოვსკის თქმით, მაკედონიელებმა ევროკავშირსა და ნატო-ს "ნათლად აგრძნობინეს" თუ როგორი მომავალი სურთ თავიანთი ქვეყნისათვის. მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა მაკედონიის ხელისუფლებაში ალბანური პარტიის წარმომადგენელმაც, კერძოდ კი, "ხალხმა აჩვენა, რომ სურს იცხოვროს მრავალეროვნულ სახელმწიფოში, რომელიც პატივს სცემს ევროპულ ფასეულობებსა და მიდგომებს". დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა დენის მაკშეინმა, თავის მხრივ, მაკედონიელებს "მომავალში ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის შესაძლებლობის შენარჩუნების ბრძნული გადაწყვეტილება" მიულოცა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალისტებმა აღიარეს დამარცხება, ასე ადვილად შეგუებას ისინი მაინც არ აპირებენ. მათი ლიდერის ნიკოლა გრუევსკის განცხადებით, ხელისუფლება მაინც გადახედავს კანონს, რადგან 500 000 ადამიანი (1.7 მლნ ხმის უფლების მქონეთაგან) სწორედ ამას მოითხოვს. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა იმისათვის, რათა მმართველმა პარტიამ "ხალხის ხმა შეისმინოს და კანონი შეცვალოს", აღნიშნა გრუევსკიმ. ზოგიერთი ნაციონალისტის აზრით კი, ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებსაც. "ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტზე ხმის მისაცემად უბნები საერთოდ არც გახსნილა. სწორედ ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ, უმაღლესმა სასამართლომ შედეგები არალეგიტიმურად გამოაცხადოს,"- განაცხადა მსოფლიო მაკედონიის კონგრესის წარმომადგენელმა ტოდორ პეტროვმა.

რეფერენდუმზე გატანილი საკითხი კანონის გადახედვას ეხებოდა, რომლის თანახმადაც, ალბანელები იმ რეგიონებში, სადაც ცხოვრობენ, მნიშვნელოვან უფლებებს მოიპოვებენ. აგვისტოში მიღებულმა შესწორებებმა მაკედონიაში მუნიციპალიტეტთა რიცხვი შეკვეცა. ამჟამად მათი რიცხვი 84-ია, ხოლო ამათგან 16 ალბანელთა კონტროლქვეშაა, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენენ. მეტიც, ზოგიერთ რაიონში, მათ შორის სკოპიეშიც, ახალი კანონი ალბანურს, ფაქტობრივად, მეორე სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებს.

ეუთო-ს შეფასებით, მაკედონიაში 7 ნოემბრის რეფერენდუმი მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, თუმცა, დაფიქსირდა ისეთი დარღვევებიც, როგორიცაა დამკვირვებელთა შეზღუდვის ფაქტები და ხმების დათვლისას საპროცედურო დეტალებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება. "მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზები მართლაც იყო, მივესალმები იმ ფაქტს, რომ რეფერენდუმზე ადგილი არ ჰქონია რაიმე ინციდენტს,"- აღნიშნა ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა, ელჩმა ფრიდრიხ ბაუერმა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელის ზეკერია აკამის თქმით, კი რეფერენდუმი იყო ამ ქვეყნის მოსახლეობის შესაძლებლობა, დაემტკიცებინა მზადყოფნა და თვითრწმენა დემოკრატიის მშენებლობისათვის. "მოქალაქეების პოლიტიკური ქცევა ამტკიცებს, რომ მათ აქვთ უნარი, ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. სწორედ ამიტომ ჩვენ მოუთმენლად ველით მომავალი არჩევნებისადმი ასეთივე მიდგომას,"- დაამატა მან.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ეგვიპტე.** 33 ადამიანი დაიღუპა და 14 დაშავდა ეგვიპტეში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა კვირას საღამოს ქალაქ ელ-მინიასთან მოხდა. დიდი სისწრაფით მიმავალი სატვირთო ავტომანქანა შემხვედრ ზოლზე გადავიდა და ავტობუსს დაეჯახა, რომლითაც ეგვიპტელი მუშები საუდის არაბეთიდან შინ ბრუნდებოდნენ. დაშავებულთაგან ბევრი მძიმე მდგომარეობაშია. ეს ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეგვიპტეში მომხდარი მეორე დიდი ავტოკატასტროფაა. სამი კვირის წინ კურორტ ჰურგადის მახლობლად ავტობუსი გადაბრუნდა, რომელშიც საუდის არაბეთისკენ მიმავალი მომლოცველები იმყოფებოდნენ. მაშინ 14 ადამიანი დაიღუპა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჰოლანდია.** ნიდერლანდების სამეფოში ისლამურ სკოლასთან აფეთქება გაისმა. ორშაბათს დილით მომხდარმა აფეთქებამ ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ ეინდჰოვენში მდებარე ისლამური სკოლის შესასვლელი დაანგრია. პოლიციის ვარაუდით, ეს თავდასხმა, შესაძლოა, შურისძიება იყო გასულ კვირას რეჟისორის თეო ვან გოგის მკვლელობის გამო. შეგახსენებთ, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რეჟისორის მკვლელობა მუსლიმმა რადიკალმა ჩაიდინა. **24 საათი**

# შეხედო სამყაროს ორი თვალით...

*უკვე მეექვსე წელია, ქართველი მოსწავლეების თითო პატარა ჯგუფი ყოველწლიურად მიდის გერმანიაში, მისი წევრები სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ ოჯახებში ნაწილდებიან და ერთი წლის განმავლობაში იქაურ გიმნაზიებში სწავლობენ. იქ ეცნობიან მათსავით სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ თანატოლებს, ნაცნობთა წრეს, თვალთახედვას იფართოებენ და მერე სამშობლოს გერმანული ენისა და კულტურის უკეთ მცოდნენი, საკუთარ ქვეყანაზე უფრო შეყვარებულნი და იმ იმედით სავსენი უბრუნდებიან, რომ მათი ქვეყანა ოდესმე ისეთივე ძლიერი და მდიდარი იქნება, როგორიც გერმანიაა. ამ იმედს რწმენაც ახლავს - ასეთი ქვეყანა მათ უნდა ააშენონ... მოსწავლეთა ამ გაცვლითი პროგრამის ინიციატორი არის მსოფლიო ორგანიზაცია "ახალგაზრდები - ურთიერთგაგებისათვის" (Youth For Understanding), შემოკლებით - "YFU" ("უაი-ეფ-იუ").*

ნინო შარაშენიძე



*ქართველი მოსწავლეების მორიგი ჯგუფი გერმანიაში.*

### ორგანიზაციის ისტორია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამარცხებულ, სულიერად განადგურებულ, დაყოფილ და ოკუპირებულ გერმანიას კარგად ესმოდა, რომ მშვიდობიანი ხანა დაიწყო და ქვეყანაც ფეხზე უნდა დამდგარიყო - სხვაგვარი აზროვნება ესწავლა, სხვაგვარად ეცხოვრა, სხვაგვარი სახელმწიფო აეშენებინა. მაგრამ, ვის უნდა გაეკეთებინა ეს, ვის უნდა ჩამოეყალიბებინა დემოკრატიული საზოგადოება და აზროვნება ომის შემდეგ განადგურებულ გერმანიაში; იქნებ სწორედ იმ ახალგაზრდებს, ვისაც ნაცისტების იდეოლოგიის ზეგავლენა არ განუცდიათ, მაგრამ თავის თავზე იწვნიეს ომის საშინელება?!

პირველად დახმარების ხელი გერმანიას ამერიკის მთავრობამ გაუწოდა. ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ გერმანია თავად გერმანელ ხალხს უნდა აეშენებინა. ამიტომ, გაჩნდა იდეა, რომ ოკუპირებული გერმანიიდან და ავსტრიიდან წაეყვანათ ადამიანები, რათა მათთვის ახალი დროის შესაფერისი განათლება მიეცათ. ლოგიკურად დაიბადა აზრი, რომ ახალი და პროგრესული თვალთახედვა, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა თაობას უნდა ჩამოეყალიბებინა, ახალგაზრდებს უნდა ესწავლათ სხვაგვარი აზროვნება, ისინი უნდა გამხდარიყვნენ დემოკრატიული იდეის მესაფუძვლენი დანგრეულ ქვეყანაში.

ამ შეხედულებებზე დაყრდნობით, 1948-52 წლებში დაიწყო ჩამოყალიბება YFU-მ. 1951 წელს, ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, შეერთებულ შტატებში პირველი 75 მოსწავლე გაიგზავნა ერთი წლით. 1952 წლიდან კი პროგრამას სათავეში ჩაუდგა რეიჩელ ანდრეიზენი, ენერგიული და პერსპექტიული თვალთახედვის ამერიკელი ლედი. საინტერესოა, რომ თავად რეიჩელს რთული ცხოვრება ჰქონდა: სამი შვილის დედა 27 წლისა დაქვრივდა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია; პირიქით, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას მიჰყო ხელი. YFU-ის შესახებ მან მეორე ქმართან ერთად ევროპაში მოგზაურობისას შეიტყო.

რეიჩელის ქმარი ლანდშაფტის არქიტექტორი იყო. როცა ერთ-ერთი ახალი პარკის განათებაზე მუშაობა დაასრულა, მან ცოლს არგუნა პატივი ახალ პარკში სინათლე აენთო. რეიჩელი ჩამრთველს მიუახლოვდა, უკუნეთ სიბნელეში არაფერი ჩანდა. ჩამრთველს ხელი მოჰკიდა და უცებ განათდა ყველაფერი. ყველას გასაოცარი სინათლით მოცული სილამაზე წარუდგა თვალწინ. მაშინ უთქვამს რეიჩელს საკუთარი თავისათვის: "მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სინათლე არასოდეს ჩაქრეს." ეს პირობა მან ომგამოვლილი ახალგაზრდების განათლების პროგრამით შეასრულა. YFU-ს გერმანიის კომიტეტს, რომელიც 1957 წლის 28 ივლისს შეიქმნა, სათავეში სწორედ მისი პირველი თაობის გაცვლითი მოსწავლე, 20 წლის ულრიხ ცალტენი ჩაუდგა.

ულრიხ ცალტენი ოფისს 1997 წლამდე ხელმძღვანელობდა. იგი მეტად ერუდირებული და ენერგიული ადამიანია; არის რამდენიმე წიგნის ავტორი და YFU-ს ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ არაერთი საჯარო ლექცია აქვს წაკითხული. რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მისი აზრი იყო საინტერესო ამ ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და დღევანდელი საქმიანობის შესახებ და ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**- თქვენი აზრით, რა როლი შეასრულა ამ პროგრამამ გერმანიის უახლეს ისტორიაში?**

- ომის შემდეგ ქვეყანა სულიერმა კრიზისმა მოიცვა. საზოგადოება გათითოკაცებული იყო. პიროვნების ცნობიერება მხოლოდ პიროვნულ მიზანს ისახავდა - "მე ვარ მე და არა ქვეყანა". რა თქმა უნდა, არსებობდა ნაციონალური ერთობა, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ნაცისტი და გერმანელი გაიგივდა. პერსპექტივა იყო ერთი - გერმანიას უნდა შეეცვალა ნაციონალიზმი ეროვნულითა და დემოკრატიულით. ამერიკას მთელი სისტემა აქვს შემუშავებული, როგორ შეიცვალოს პიროვნება და როგორ გახდეს იგი დემოკრატიული აზროვნებისა. საზოგადოების განვითარების ერთი გზაა მისაღები მსოფლიოსათვის - ესაა დემოკრატიული აზროვნება. ამის მაგალითია აშშ, რომელსაც, რა თქმა უნდა, აქვს პრობლემები, მაგრამ არის ნიმუში თანამედროვე დემოკრატიისა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წამოვიდა გერმანელი ხალხის აზროვნების შეცვლის იდეა, რამაც წარმოქმნა განათლების პროგრამა. თავდაპირველად ეს იყო იმ ამერიკელების იდეა, რომლებიც გერმანიაში მუშაობდნენ. ახალგაზრდებს აქვთ პერსპექტივა, მათ უნდა ჰქონდეთ მიზანი, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ეს მიზანი კი ასე უნდა ჟღერდეს: მე გავაკეთებ ყველაფერს არა მარტო ჩემთვის, არამედ ქვეყნისთვის.

**- როგორ უნდა წარიმართოს იმ ახალგაზრდის ცხოვრება, რომელმაც ერთი წელიწადი სხვა ქვეყანაში ისწავლა?**

- უპირველეს ყოვლისა, თავის ქვეყანაში გააგრძელოს ცხოვრება. მე ვფიქრობ, არ არის კარგი, როცა ასეთი ახალგაზრდები შემდეგ უფრო მეტად ზრუნავენ თავისი, როგორც პერსონის, კარიერის შექმნაზე და შემდეგ ისევ ევროპაში მიდიან სასწავლებლად. ეს პრობლემაა. ახალი ცნობიერებითა და აზროვნებით გამდიდრებულმა ახალგაზრდამ თავის ქვეყანაში უნდა გააგრძელოს მოღვაწეობა - ესაა მისაღები და სწორი გზა.

**- რა შეცვალა თქვენს პიროვნებაში ამერიკაში გატარებულმა ერთმა წელმა?**

- ძნელიც კია იმის წარმოდგენა, რა იქნებოდა ამის გარეშე ჩემი ცხოვრება. მარტივი ხედვით, ეს ტიპური არ იყო მაშინდელი გერმანიისთვის. მე ყოველთვის მიყვარდა მოგზაურობა, მაინტერესებდა სხვა ქვეყანა, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაფერში იყო გერმანული ხედვა. რეალურად ასეა - ყველა ქვეყანა, დიდიც და პატარაც, პროვინციაა მსოფლიოსათვის, დედამიწისათვის. როცა უკან დავბრუნდი, სრულიად სხვა თვალით შევხედე ჩემს ქვეყანას. ჩვენ ვიზრდებით ჩვენს სამშობლოში, მაგრამ ესაა სამყაროსათვის ერთი თვალით შეხედვა. თუ შენ გაატარებ ერთ წელს სხვა ქვეყანაში, გახდები იმ კულტურის თანამოზიარეც და გაახელ მეორე თვალს, შეხედავ სამყაროს ორივე თვალით და დაინახავ მეტ პერსპექტივას შენი ქვეყნისათვის. ეს ერთი წელი ძალიან დამეხმარა, რომ გავმხდარიყავი თვითკრიტიკული საკუთარი შეხედულებებისადმი,სტერეოტიპებისადმი. ჩვენ ყველას გვაქვს ამგვარი სტერეოტიპი, მაგრამ ჩვენი ქმედება არ უნდა დაეფუძნოს მხოლოდ სტერეოტიპებს, უნდა მოხდეს აზროვნების განვითარება. ევროპა მულტიკულტურაა. რა თქმა უნდა, ყველა ერს აქვს თავისი ნაციონალური ხედვა, პერსპექტივაც და პრობლემაც, მაგრამ, მთავარია, რომ მოხდეს ამ ხედვათა ისე შეთანხმება და პრობლემათა ისე მოწესრიგება, რომ კონფლიქტი თავიდან ავიცილოთ. ევროპაში ცოტაა და, შეიძლება ითქვას, არცაა ისეთი ქვეყანა, რომელსაც მხოლოდ ერთი ერი ჰყავდეს თავის ტერიტორიაზე. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, როგორ ვიცხოვროთ ერთად. როცა ცნობიერებაში არსებობს დაყოფა - "ჩვენ და ისინი", ეს უკვე პრობლემაა, რადგან, ამგვარი ლოგიკით, პიროვნება, რომელიც არ ერთიანდება "ჩვენ"-ში, არაა "ჩემი" - სხვაა. ჩვენ კი ყველა ერთად ვცხოვრობთ, უნდა ვისწავლოთ ერთად ცხოვრება. საინტერესოა, რომ გაცვლითი წლის განმავლობაში უფრო მეტს ფიქრობ შენს ქვეყანაზე, ვიდრე - ჩვეულებრივ; ფიქრობ კონტრასტებზე - რა განსხვავებაა? ჩვენთან როგორაა? ხოლო, როცა უკან ბრუნდები, გაოცება გიპყრობს - ეს ძალიან განსხვავდება იმისაგან, რასაც ფიქრობდი ადრე. ეს გიღრმავებს ინტერესს შენი ქვეყნისადმი, ეს ისაა, რაც შენს მშობლიურ კულტურას უკეთ გაგებინებს.

### როგორ მუშაობს ორგანიზაცია

თავიდანვე ასე გადაწყდა: ორგანიზაციის მუშაობა ადამიანთა კეთილ ნებას უნდა დაფუძნებოდა. ეს იყო და არის დახმარების გაწევა სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ადამიანისადმი - ამ ორგანიზაციისათვის ესაა მთავარი. ორგანიზაციას მოხალისეთა დიდი შემადგენლობა ჰყავს. ესენი არიან ის პიროვნებები, რომლებიც თავად იყვნენ გაცვლითი პროგრამის მონაწილენი და ერთი წელი სხვა ქვეყანაში გაატარეს. მთელი ორგანიზაციის მუშაობა მათ ეფუძნება; მაგრამ არც ერთი მოხალისე ამაში ფულს არ იღებს; არ ფინანსდებიან არც ის ოჯახები, რომლებიც ერთი წლით იღებენ მოსწავლეს ოჯახში, მათ არც რაიმე პრივილეგიები აქვთ გადასახადების მხრივ სახელმწიფოსაგან. ბუნებრივია, დღევანდელ მსოფლიოში არაფერი არსებობს სრულიად უფასო. მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის ორგანიზებისათვის გარკვეული ფინანსებია საჭირო, რასაც მოსწავლე იხდის. ესაა, უპირველეს ყოვლისა, მგზავრობის, სამედიცინო დაზღვევის, წლის განმავლობაში გამართული რამდენიმე სემინარის, ექსკურსიებისა და ბოლოს, ევროპის ახალგაზრდული სემინარისათვის საჭირო თანხა. ორგანიზაციას გარკვეული შეღავათები აქვს დაწესებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, მათ შორის - საქართველოსთვისაც.

გაცვლით მოსწავლეს ენიშნება მეთვალყურეები (ანუ როგორც მას გერმანულად უწოდებენ "ბეთროიერი (Betreuer)"), რომელიც მოსწავლის დამხმარეა ყოველგვარი პრობლემის წარმოშობისას, სკოლაში იქნება ეს თუ ოჯახში. ისინი ხშირად ხვდებიან მოსწავლეებს და ეხმარებიან ამა თუ იმ საკითხის გარკვევაში. საჭიროების შემთხვევაში კი, საქმეში ოფისიც ერთვება. მეთვალყურეები, ძირითადად, ის სტუდენტები არიან, ვინც თავად იყვნენ გაცვლითი მოსწავლეები და სწორედ ამიტომ, ძალიან კარგად იციან ყველა ის სირთულე, რაც მოსწავლის ახალ სამყაროსთან შეგუებას ახლავს. მეთვალყურეებიც, რა თქმა უნდა, მოხალისეები არიან. ყველა ადამიანისა და მთელი ორგანიზაციის მუშაობის პრინციპი ერთია - ადამიანთა შორის უნდა არსებობდეს ურთიერთგაგება, ადამიანები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ ისე, როგორც შეუძლიათ.. ყველაფერი ერთმანეთის დახმარების სურვილს გულისხმობს. საბოლოოდ კი ეს ყოველივე კაცობრიობის ყველაზე დიდი უბედურების - ომის წინააღმდეგაა მიმართული; მსოფლიოს ომი აღარ უნდა და ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოებაა სწორედ ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ მსოფლიოში ომი აღარ იყოს.

### ქართული ოფისი

საქართველომ ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობა 1999 წელს დაამყარა გერმანული კომიტეტის მეშვეობით. ამ საქმიანობის წამომწყები იყო ჰენინგ ტაპე, რომელიც განათლების გერმანული პროგრამით მუშაობდა ჯერ თელავის მეექვსე სკოლაში, შემდეგ კი უცხო ენათა ინსტიტუტში გერმანული ენის მასწავლებლად. თავად ჰენინგი გაცვლითი მოსწავლე იყო, ერთი წელი ამერიკაში სწავლობდა. პირველ წელს გერმანიაში გასაუბრებით შერჩეული ხუთი მოსწავლე გაიგზავნა. გერმანულმა კომიტეტმა სპეციალურად გამოყო თანხები ამისათვის. გასაუბრებისათვის გერმანიიდან ჩამოვიდა კარინ ცალტენი - პიროვნება, რომელიც დღემდე სათავეში უდგას საქართველოსთან ურთიერთობას (მას შემდეგ ქალბატონი კარინი ყოველწლიურად ჩამოდის საქართველოში და მოსწავლეებს სპეციალური გასაუბრებით არჩევს გერმანიაში სასწავლებლად წასაყვანად). ორი წლის შემდეგ ჰენინგ ტაპე გერმანიაში დაბრუნდა. ქართულ მხარესთან თანამშრომლობა გააგრძელა მისმა ქართველმა მეუღლემ თამარ ბურდილაძე-ტაპემ. იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ქართველი მოსწავლეების გაცვლითი პროგრამის ორგანიზებაში. ჰენინგის ოჯახის გერმანიაში წასვლის შემდეგ საქართველოში ამ საქმეს აგრძელებდა კახა ახალაია; 2004 წელი კი ორგანიზაციის ქართული ოფისის დაარსების წელია.

### პერსპექტივები საქართველოსთვის

ძირითადი ინფორმაცია, რაც საქართველოს შესახებ მსოფლიოში აქვთ, ისაა, რომ იგი დედამიწის ერთ-ერთი ცხელი წერტილია. თითოეული გაცვლითი მოსწავლე ერთგვარი დესპანია ევროპაში, რომელიც ამცნობს იქაურებს, რომ ჩვენ რუსები არ ვართ, დიდი კულტურა გვაქვს და ვართ თანამედროვე ქვეყანა, რომელიც ვითარდება, შენდება, და რომ ყველაფერი ისე არაა, როგორც ეს შორიდან წარმოუდგენიათ. ყველაფერი ეს ჯერ ადამიანებს, თანდათანობით კი ქვეყნებს შორის კონტაქტების გაღრმავებას აჩქარებს.

ორგანიზაციის ქართული ოფისის გახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს. მომავალში, შესაძლოა, ევროპიდან ჩამოსული მოსწავლეებიც ისევე გაეცნონ და დაეუფლონ ქართულ ენასა და კულტურას, როგორც ახლა საქართველოდან წასულები ითავისებენ ევროპულს. ასე საქართველო მსოფლიო სივრცეში თავის ადგილს დაუმკვიდრებს და არა მხოლოდ მცირე რაოდენობის ინვესტორებისა და პოლიტიკოსების, რიგითი ადამიანების ინტერესის სფეროც გახდება.

ამასთან, YFU-ის მეშვეობით, ქართველ მოსწავლეებს არა მხოლოდ გერმანიაში შეუძლიათ ერთი წლით სწავლის გაგრძელება, არამედ ყველა იმ ქვეყანაში, რომელშიც ამ ორგანიზაციის ოფისია გახსნილი. ასეთ ქვეყანათა რიცხვში კი 40-ზე მეტი სახელმწიფოა ევროპასა და ამერიკაში. ახლა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ქართველი ახალგაზრდობის წინ სრულიად ახალი პერსპექტივაა - გაეცნოს, დაუახლოვდეს და გაითავისოს მსოფლიო კულტურა და მიღწევები, იცხოვროს სხვა ქვეყნის ცხოვრებით და მეტი რამ ისწავლოს თავისი ქვეყნის ასაშენებლად.

# მიიღეთ მშენებლობის ნებართვა კანონიერად

*სასიამოვნო ფაქტია, რომ თბილისში ახალი და "ევროპული სტანდარტის" სახლები შენდება, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება ხოლმე, რომ რამდენიმე წლის წინათ დაწყებული, კანონიერად მიჩნეული მშენებლობები უკანონო ყოფილა, მშენებლობის ნებართვები კი - არასწორად გაცემული. არცთუ იშვიათად საქმე სასამართლომდეც მიდის. მოსარჩელეები უკანონო მშენებლობის შეჩერებას ან უკვე აშენებულის დემონტაჟს მოითხოვენ. მშენებლობის მეპატრონეები საპირისპიროს ამტკიცებენ და მშენებლობის შეჩერების შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ. სასამართლო პროცესები ჭიანურდება. მერე, რატომაა ამდენი კანონიერი უკანონო მშენებლობა? - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა აზრით, ეს იმის გამოა, რომ მშენებლობის სფეროს მარეგულირებელი და მოქმედი თერთმეტი კანონი და მრავალი ნორმატიული აქტი ურთიერთსაწინააღმდეგოა, ბუნდოვანი და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.*

ნანა ყაველაშვილი

მათი ინფორმაციით, ნებართვის გამცემი სამსახურები ხშირად არ იცავენ კანონით დადგენილ პროცედურებს; სამშენებლო წესები და ნორმები არასრულია; ობიექტის ასაშენებლად ნებართვის მიღებისთვის თოთხმეტამდე სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული ნებართვის ხასიათის დოკუმენტია საჭირო; მშენებლობის ნებართვის მიღებისა და მის მიღებამდე საჭირო პროცედურების განხორციელებას კი, საშუალოდ, ექვსი-ცხრა თვე სჭირდება; ხშირია შემთხვევები, როცა ნებართვის გაცემის კანონით დადგენილი ვადა უკვე გასულია, ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება კი მიღებულიც არ არის. **"აუცილებელია, შეიქმნას სამშენებლო კოდექსი. ნებართვის გაცემა უნდა მოხდეს "ერთი გაჩერების" პრინციპით. მშენებლობის სფეროში ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ბარიერებზე უნდა დაწესდეს სპეციალური მინიმალური ვადები"**, - მიაჩნიათ ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლებს. ვიდრე არსებული წესები შეიცვლება, მოქმედი კანონმდებლობა მშენებლობის ნებართვის მოპოვებას შემდეგნაირად არეგულირებს:

ეტაპი პირველი - ვიდრე მშენებლობის ნებართვის მისაღებად სხვადასხვა უწყებაში ხანგრძლივ მოგზაურობას დაიწყებთ, შეამოწმეთ, მოწესრიგებული გაქვთ თუ არა მიწათმფლობელობის დოკუმენტაცია. საკუთრების შემთხვევაში, როდესაც მშენებლობის ნებართვას იღებს იურიდიული პირი ან ამხანაგობა, საჯარო რეესტრში აუცილებლად უნდა მოხდეს მიწის ნაკვეთის მათ სახელზე გადაფორმება. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოა, მაშინ საჭიროა მათთან სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმება. სასურველია, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნაც აიღოს. შეიძლება, მიწის ნაკვეთი მშენებლობისათვის არამდგრადი აღმოჩნდეს.

ეტაპი მეორე - ადგილობრივი მმართველობის არტიტექტურულ სამსახურში არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მისაღებად უნდა წარადგინოთ განცხადება, რომელსაც უნდა დაურთოთ მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საკუთრების შემთხვევაში - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; სარგებლობისას - მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება. არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში დეტალურადაა მითითებული ის ფარგლები და მოთხოვნები, რაც პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: სართულიანობა, ექსპერტიზის საჭიროება, დასკვნები სხვადასხვა უწყებიდან.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე იქმნება ასაშენებელი ობიექტის პროექტი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებით განსაზღვრულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს.

პროექტის დამკვეთმა ან მისმა წარმომადგენელმა არქიტექტორმა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებისა და სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე შექმნილი პროექტი უნდა შეათანხმოს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურთან. უნდა დაწეროთ განცხადება, რომელსაც თან დაურთავთ ასაშენებელი ობიექტის პროექტსა (შესათანხმებელი პროექტი უნდა წარადგინოთ სამ ეგზემპლარად) და საჭირო უწყებებიდან მიღებულ დასკვნებს. პროექტის შეთანხმებას, საშუალოდ, ორი კვირა სჭირდება. პროექტის შეთანხმებისას ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურმა აუცილებლად უნდა მიიწვიოს ასაშენებელი ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების მფლობელები, თუ მიაჩნია, რომ ასაშენებელი ნაგებობა მათ უფლებებს დაარღვევს. ეს პირობა, უმეტესად, არ სრულდებოდა. მშენებლობა იწყებოდა, მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი კი უკვე მიმდინარე მშენებლობისას იწყებდნენ საკუთარი უფლებების დაცვას. არქიტექტურის სამსახურთან პროექტის შეთანხმების შემდეგ უკვე შეიძლება მშენებლობის ნებართვის მისაღებად დოკუმენტაციის წარდგენა.

ეტაპი მესამე - მშენებლობის ნებართვა გაიცემა არა მხოლოდ ახალი მშენებლობისათვის, არამედ რეკონსტრუქციისა და დემონტაჟისთვისაც. მშენებლობის ნებართვას გასცემს ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახური. ნებართვის მისაღებად უნდა წარადგინოთ შესაბამისი შინაარსის განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს სანებართვო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული პროექტი (სამ ეგზემპლარად), საპროექტო დოკუმენტაცია (სამ ეგზემპლარად) და სათანადო დასკვნები და ნებართვები შესაბამისი უწყებებიდან, მათ შორის - მიწის ნაკვეთის საკადასტრო დოკუმენტაცია, გარემოსდაცვითი ნებართვა და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია, ნებართვის მიღებით დაინტერესებულ პირს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დადგენილ მოთხოვნებთან განცხადების შესაბამისობის შემოწმებიდან ერთი თვის ვადაში. მშენებლობის ნებართვა და დამოწმებული დოკუმენტაციის ერთი კომპლექტი გადმოგეცემათ თქვენ, მეორე - არქმშენინსპექციას.

ფოსტა

# დროშების აღმართვის დღე

პოლიტოლოგების განმარტებით, პოლიტიკური სიმბოლიკა - ჰიმნი, გერბი, დროშა - ეს არის პოლიტიკის ენა, მისი შინაგანი არსის, ტრადიციის, იდეოლოგიის გარეგნული გამოხატულება. სიმბოლოკის გარეშე არ არსებობს თვით პოლიტიკური სისტემა. მეორე მხრივ, ის ნათლად წარმოაჩენს პოლიტიკური ლიდერის პროგრამას, მისი მოღვაწეობის მთავარ მამოძრავებელ მიზანს თუ მისიას. **"მარად და ყველგან, ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს ყველაზე სანუკვარი; ის, რაც შენი კაცობის, ეროვნულობის, არსებობის არსია"...** (გურამ ბათიაშვილი "სახეები და სიტუაციები").

ისრაელში ხშირად ქორწილი სახელმწიფო ჰიმნით იწყება. პატივსცემის ნიშნად, ფეხზე დგებიან და მუსიკოსებთან ერთად მღერიან თავისი ქვეყნის არსებობის საგალობელს. არანაკლებ ცნობილია ამერიკელთა გამორჩეული დამოკიდებულება საკუთარი დროშის მიმართ. გავიხსენოთ, თუ რა თავგამოდებით იცავდა ქართული დროშის ღირსებას ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა რჯულის გადამთიელთა ხელყოფისაგან. **"ილია ულმობელი პოლემისტია... და თუ ეროვნულ საკითხსაც შეეხო, ილიას სტილი და სიტყვა მკაცრ და სასტიკ ელფერობას იძენს"** (არჩილ ჯორჯაძე).

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, გვაქვს კონკრეტული წინადადება - ბევრ ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო დროშის აღმართვის ოფიციალური, საზეიმო დღე, რომელსაც, როგორც წესი, მნიშვნელოვან თარიღს უკავშირებენ. მაგალითად, შვედეთში ის ნობელის დაბადების დღეს უკავშირდება. კარგი იქნება, თუ ასეთ დღეს დავაწესებთ და მას ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღს, 8 ნოემბერს დავუკავშირებთ (გავიხსენოთ, შარშან მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამ დღეს აღმართა უზარმაზარი ხუთჯვრიანი დროშა ვარდების რევოლუციის დროს). ეს უნდა იყოს საზეიმო ცერემონიალი, როცა საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტსა თუ სამხედრო შენაერთში ერთდროულად აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა.

*პატივისცემით,*
*მედეა თავდიშვილი, ეკოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი*

# ქართული პენიტენციური სისტემა მონანიების ადგილი არ არის

ინგა ალავიძე

*რა ხდება ქართულ ციხეში - როგორ ათავისუფლებენ პატიმრებს ვადაზე ადრე? კვლავ არის თუ არა კორუფცია საპატიმრო ადგილებში? რატომ ხდებოდა მასიური გაქცევები და, საერთოდ, არის თუ არა ქართული ჰ ჰ ჭ ი სისტემა დანაშაულის მონანიების ადგილი? - ამ და სხვა კითხვებს პასუხობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა კლდიაშვილი.*

**- მიუხედავად იმისა, რომ სარეფორმო სვლები დაწყებულია, ობიექტურად, პენიტენციალური სისტემა ჯერ კიდევ საბჭოურ რელსებზე დგას, თქვენ პენიტენციალური სისტემისთვის ახალი სახე ხართ, ანუ, განსხვავებით სხვა ხელმძღვანელი პირებისგან, ამ საბჭოურ სისტემასთან არ ხართ შეზრდილი. საინტერესოა, როგორია თქვენი სარეფორმო პოლიტიკა?**

- მე ამ სისტემაში სულ რამდენიმე თვეა, რაც მოვედი, არასდროს ვყოფილვარ საჯარო მოხელე, არ მიმსახურია სახელმწიფო სამსახურში და ის, რაც აქ ვნახე, მართლაც, შთამბეჭდავია. მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, რეფორმა ყველა უწყებაში დაიწყო და, რა თქმა უნდა, სასჯელაღსრულების სისტემაშიც, თუმცა, ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, თუ პენიტენციალურ სისტემაში რეფორმის ტემპი დაჩქარდება. შემიძლია, ვისაუბრო ჩემს საკურატორო სფეროზე, ეს სოციალური სფეროა, რომელიც ამ სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე კორუფციულ სფეროდ ითვლებოდა. საუბარია, პატიმართა შეწყალებებზე, ე.წ. "უდოზე", "აქტიროვკაზე", სფეროზე, სადაც ძირითადად, ფული კეთდებოდა. თავისუფლად შემიძლია, გითხრათ, რომ ამ სფეროში კორუფციის მასშტაბები მაქსიმალურად შემცირდა. მართალია, დარჩა ერთი-ორი კოლონია, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება საკადრო ცვლილებების განხორციელება და გვაქვს ინფორმაცია, რომ იქ კვლავ გრძელდება საეჭვო საქმიანობა, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ მალე ამ პრობლემასაც მოევლება. ერთობლივ მუშაობას შედეგი კვლავ მოჰყვება - კორუფციის მასშტაბები კიდევ საგრძნობლად შემცირდება.

**- ვადამდე ადრე პატიმრობიდან გათავისუფლება - ე.წ. "უდო", წლების მანძილზე სერიოზული პრობლემა იყო. ფულადი საზღაურის გარეშე პატიმარი კანონით მინიჭებულ უფლებებს ვერ იყენებდა. "უდო" კორუფციის სერიოზული წყარო იყო და ეს პრობლემა დღესაც არსებობს. თანაც, ამ მხრივ, კორუფციული ჯაჭვი ზემოდან ქვემოთ იზმებოდა, ანუ ქვედა ფენა ზედა ფენისგან დამოუკიდებლად ვერ მოქმედებდა.**

- რა თქმა უნდა, "უდო" სერიოზულ კორუფციულ ბარიერებთან იყო დაკავშირებული, გეთამხმებით, კორუფციული პირამიდა, მართლაც, არსებობდა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ზედა ეშელონებთან დამაკავშირებელი ჯაჭვი გამწყდარია. თუმცა, დარჩენილია ქვედა ეშელონების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთა აზროვნების ფორმირებაც, ჯერ, სამწუხაროდ, არ მომხდარა. ამიტომაც, ქვედა ეშელონებში ჯერ კიდევ არსებული კორუფციული ჯაჭვი უნდა გაწყდეს, ეს იუსტიციის მინისტრის და მისი გუნდის ძირითადი პროგრამაა. არაერთხელ მითქვამს პირად საუბრებში და ახლაც კატეგორიულად ვაფრთხილებ ყველას, რომ ის პირები, ვინც ჯერ კიდევ არიან კორუფციულ საქმიანობაში ჩაბმული და რომელთა გამოვლენაც გარკვეული მიზეზების გამო ამდენ ხანს ვერ მოხერხდა, მკაცრად დაისჯებიან. დაზუსტებით ვიცი, რომ ეს პირები ძალიან დაფარული მეთოდებით კვლავ აგრძელებენ ძველ საქმიანობას. სხვათა შორის, ძალიან რთულია საპყრობილის ტერიტორიაზე მოახდინო მსგავსი ფაქტების გამოვლენა, მაგრამ ამასაც მალე მივაღწევთ - კორუფციაში ჩაბმულები მართლაც უმკაცრესად დაისჯებიან.



*"საპატიმროებში არიან ავადმყოფი, ინვალიდი პატიმრები, რომლებიც მართლა იმსახურებენ "აქტიროვკას", მაგრამ მათი გათავისუფლება ვერ ხერხდება."*

იური ლობოდინის ფოტო

**- სერიოზული კორუფციის წყარო იყო "აქტიროვკაც" და ეს პრობლემა დღესაც არსებობს.**

- მართალია, ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა. აი, აგერ მაქვს საქმეები, სადაც რუსთავის სასამართლოს მოსამართლემ თითქოს ექსპერტიზის ყალბი დასკვნებით, ანუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 19 ადამიანი გაათავისუფლა პატიმრობიდან. გარიგებაში მოსამართლე, პროკურორი და ადვოკატი ერთად მონაწილეობდნენ, არადა, გათავისუფლებულ პატიმართა უმრავლესობა ისეთივე ავადმყოფია, როგორც მე და თქვენ. საპატიმროებში, მართლაც, არიან ავადმყოფი, ინვალიდი პატიმრები, რომლებიც მართლა იმსახურებენ "აქტიროვკას", მაგრამ მათი გათავისუფლება ვერ ხერხდება. ამის მიზეზია არსებული ძველი სტანდარტები, რომელთა შეცვლაც აქამდე ვერ მოხერხდა. ამდენ ხანს ეს პროცესი გაყინული იყო და აუცილებელია, რომ ის დაიძრას. ამის ინიციატორი, იუსტიციის მინისტრთან ერთად, მეც ვარ და არავის გვეშინია, რადგან საქმის კეთების და ადამიანთა დახმარების უზარმაზარი სურვილი გვამოძრავებს. შეიძლება, ვინმემ არ იცოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, საპატიმრო ადგილებში გვყავს უმძიმესი ავადმყოფები, ადამიანები, რომელთა იქ ყოფნაც არ შეიძლება. არადა, დღეისთვის არსებული სტანდარტებით "აქტიროვკით" თავისუფლდებიან მხოლოდ ის პატიმრები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. ანუ, მათ, ფაქტობრივად, მხოლოდ სახლში სიკვდილის უფლებას ვაძლევთ. სტანდარტები ისეთია, რომ ავადმყოფთა უმეტესობა ვერ აღწევს "აქტიროვკამდე". მაგალითად, "აქტიროვკა" ტუბერკულოზის მესამე კატეგორიას ეხება, არადა, ეს ის შემთხვევაა, როცა ავადმყოფობა უკვე მკურნალობას აღარ ექვემდებარება. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა პატიმარი მანამდე გარდაცვლილა, სანამ მისი დაავადება ამ კატეგორიას მიაღწევს. ამიტომაც, იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტთან ერთად ვმუშაობთ "აქტიროვკის" სტანდარტების დახვეწაზე. ვთვლი, რომ ჩვენ ამ საქმის ლოკომოტივები უნდა ვიყოთ, რადგან ადამიანები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც მძიმეა, პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდნენ. შეიძლება, ცოტა უხერხულად ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ "აქტიროვკა" მხოლოდ სიკვდილის პირას მყოფ პატიმარს არ უნდა ეხებოდეს.

**- ამ პრობლემის გაგრძელებაა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვედრა. საუბარია, "რესბალნიცაზე", რომელიც, ასევე, ფულის წყარო იყო და მხოლოდ ელიტარული პატიმრებისთვის განკუთვნილი, რეალურად ავადმყოფები იქ ვერ ხვდებოდნენ.**

- კორუფციის დონე "რესბალნიცაზე", მართლაც, საგრძნობლად შემცირდა, გულწრფელად შემიძლია გითხრათ, ის, რაც ადრე ხდებოდა, ახლა აღარ ხდება. ყველა შეტყობინებაზე ხდება რეაგირება. ჩვენი პოზიცია ასეთია, ავადმყოფი პატიმარი არ უნდა დაიჩაგროს, ამიტომაც, პირადად ჩემი და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ტელეფონები მუდმივად ჩართულია და მიმდინარეობს მუდმივი კონტროლი, რომ ავადმყოფი პატიმარი უყურადღებოდ არ დარჩეს. თუმცა, ვერ მოგატყუებთ და გეტყვით, რომ შიგნით, ალბათ, მაინც არის კორუფცია, თუმცა, მას მასშტაბური ხასიათი აღარ აქვს.

**- ცოტა ხნის წინ საპატიმრო ადგილები მასშტაბურმა გაქცევებმა "აილო", ამის მიზეზად პოლიტიკურ სარჩულს ასახელებდნენ. სხვათა შორის, ადამიანები, რომლებიც ამ გაქცევების ორგანიზატორები იყვნენ, დღესაც პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელი პირები არიან. შემიძლია დაუფიქრებლად ჩამოგითვალოთ რამდენიმე პირი, რომლებიც საკმაოდ გახმაურებულ საქმეებთან იყვნენ დაკავშირებული, მაგრამ დღესაც თანამდებობებზე არიან. არ უნდა გაიწმინდოს ეს სისტემა "ძველი" საბჭოური კადრებისგან?**

- ძველსაც უნდა მიეცეს ახლებურად მუშაობის საშუალება. მართალია, ზოგი კორუფციაში სერიოზულად იყო ჩართული, ზოგი მსხვერპლი იყო სისტემის, ზოგი უშუალოდ მონაწილეობდა იმ ყველაფერში, რაც ხდებოდა, მაგრამ თუ მათი აზროვნების დეფორმაცია მოხდება, თუ შეძლებენ, რომ ფეხი აუწყონ რეფორმას, მათი გამოცდილება სისტემას სჭირდება. სხვა შემთხვევაში, ისინი აქ ვერ დარჩებიან. პენიტენციურ სისტემაში სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა, ახალი სახეა რუსთავის კოლონიის უფროსი, ორთაჭალის საპყრობილის დირექტორი და სხვები, რომლებიც გადაბმულად ღამეებს ათენებენ, საპატიმრო დაწესებულების დირექტორები და მისი მოადგილეები რამდენიმე თვეა, სახლში არ ყოფილან, დაუღალავად მუშაობენ. მე ვიცი, რა ხდება ევროპის ციხეებში, ჩემთვის ეს სტანდარტებია მისაღები და ამ სტანდარტებს ჩვენ ძალიან მალე უნდა მივუახლოვდეთ.

რაც შეეხება გაქცევებს, ეს იყო ყველაზე რთული მომენტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საქმიანობის ისტორიაში. ამას ბევრი რამე განაპირობებდა, მაგრამ, პირველ რიგში, ის, რომ არ იყო პროფესიონალი კადრები, არ არსებობდა დაცვის სამსახური, საგუშაგოები, ფაქტობრივად, უპატრონოდ იყო მიტოვებული. ამჟამად, თითო ობიექტს 50-60 კაცი იცავს, მათ ხელფასები მოუმატეთ ასი პროცენტით, დავურიგეთ ფორმები, ანუ, სახელმწიფო ზრუნავს მათზე და ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

გეგუთის გაქცევა ეს იყო ბოლო გაქცევა. მაშინ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაუშვა შეცდომა - მათ ხელთ არსებული ინფორმაცია არ გადაამოწმეს. ამჟამად, გადაკეტილია ყველა "ზონა", დაცულია ყველა საპატიმროს უსაფრთხოება და გაქცევებს მასიური ხასიათი ნამდვილად ველარ ექნება.

**- დღევანდელ ციხეს ყვარყვარეს ციხეს ადარებენ, ის იმდენადაა გადატვირთული, რომ პატიმრისთვის საწამებელ ადგილად იქცა.**

- მართლაც, საშინელებაა, ყოველდღიურ შევსებას ვლებულობთ და რომ არა იუსტიციის მინისტრის ჯადოქრული მიდგომა, შესაძლოა, გაუთვალისწინებელ სიტუაციებს ჰქონდეს ადგილი, იმ ფონზე, როცა 20-კაციან საკანში 40 და მეტი პატიმარია, რაც ადამიანის უფლებების დარღვევაცაა. არადა, ჩვენ გვსურს პატიმრის პირობების დაცვა და მათთვის ადამიანური პირობების შექმნა, ამიტომაც ვეძებთ გამოსავალს. ქუთაისში შენდება ახალი საპატიმრო, რომელიც გაზაფხულისთვის დასრულდება; მარტისთვის დასრულდება ქალთა საპყრობილის მშენებლობა; რუსთავის ციხეც უახლოეს მომავალში ამოქმედდება და ეს ყველაფერი ორთაჭალის საპყრობილის განტვირთვას გამოიწვევს. ისე, ალბათ, დამეთანხმებით, ახალი ციხეების აშენებას პატიმრების რაოდენობის შემცირება სჯობს.

**- აქტუალურია უკანონო პატიმრობის თემაც...**

- იცით, არიან ძველი კადრები, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ თუ კონკრეტული დანაშაულისთვის დაჭერილ ადამიანს პატიმრობის ვადა გადაუცდა, მათი გათავისუფლება შეიძლება, მათი ფსიქიკა ასეა მოწყობილი. არადა, კანონი სულ სხვა რამეს ითვალისწინებს, ვადის გადაცდენის შემთხვევაში პროცესუალური ვალდებულებაა გათავისუფლდეს უკანონო პატიმარი. მთავარი კანონია და არა ვიღაცის შინაგანი რწმენა. ამ პრობლემაზე სერიოზული კონტროლია დაწესებული და სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ ასეთ ფაქტს ადგილი აღარ ექნება. თუმცა, აუცილებელია, საზოგადოების მხრიდან დახმარებაც, მათ მსგავსი ფაქტები უნდა შეგვატყობინონ უშუალოდ მე, იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. მათი დახმარებით ჩვენთვის ცნობილი უნდა გახდეს ნებისმიერი შემთხვევა და თუ რეაგირება არ მოხდება, იმ პატიმრების ადგილს ჩვენ დავიკავებთ. საერთოდ კი, მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოში აღკვეთის ღონისძიების ერთადერთი სახე დაპატიმრება აღარ იქნება. მინდა გითხრათ, რომ 500-ზე მეტი ადამიანი ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვისაა დაპატიმრებული და შესაძლებელი იყო მათ წინააღმდეგ სხვა, გაცილებით მსუბუქი სანქცია გამოეყენებინათ. არადა, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების შეკვეთა ნამდვილად არ არის ასეთი, ეს ცალკეული სამართალდამცველების გადაწყვეტილებაა, რათა ქულა ჩაიწერონ. გამიჩნდა სურვილი, რომ მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ექსკურსია მოვაწყოთ - მოვიდნენ ციხეში და ნახონ, რა ხდება აქ, როგორი უმძიმესი პირობებისთვის იმეტებენ ხალხს. ალბათ, გასაგებია, არ ვსაუბრობ ადამიანებზე, რომელთაც ისეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, რომ მათი საზოგადოებისგან იზოლაციაც აუცილებელია.

**- ბატონო ლაშა, იმ ფონზე, როცა საპატიმროებში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იქ გატარებული ერთი დღე ორმაგი სასჯელის ტოლფასია, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ქართული ციხე დანაშაულის მონანიების ადგილი? შეიძლება ციხეში პატიმრის გამოსწორება?**

- მე რეალისტი ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ციხე, საპატიმრო დაწესებულებები დამნაშავის გამოსწორების ადგილია. რა თქმა უნდა, არიან კონკრეტული ადამიანები, რომელთაც ეს სისტემა არ ეხებათ, არ ითქვიფებიან მასში, მაგრამ ასეთები მხოლოდ ერთეულები არიან. პატიმრები საზოგადოებას ძირითადად, აგრესიულები, გაბოროტებულები უბრუნდებიან და ეს საზოგადოებას ბუმერანგივით უბრუნდება.

თუმცა, როცა საპყრობილეში არ არის დასაწოლი ადგილი, ძნელია პატიმართა რეაბილიტაციაზე საუბარი, მაგრამ ახალი საპყრობილეების შექმნის შემდეგ, ეს პროექტი განხორციელდება და ჩვენ აუცილებლად ვიზრუნებთ რეაბილიტირებულ პატიმართა საზოგადოებაში დაბრუნებაზე.


უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ................................................

საკონტაქტო ტელეფონი ................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge


სოფიკო ჩხაიძის სვეტი

## წვრილი დანაშაული, რომელმაც ჯერ მხოლოდ ხალხი შეაწუხა

რაც მართალი, მართალია - ცხოვრება არასოდეს არის დალხინებული - ადამიანს პრობლემებს რა გამოულევს, მით უმეტეს, საქართველოში. სულ ახლახან კი, უფრო კონკრეტულად, ოქტომბრის ბოლოდან, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ თუ საქვეყნო პრობლემათა რიგს, პირადად ჩემთვის, კიდევ ერთი დაემატა. ჩვენთვის მისაბაძი დასავლეთ ევროპის დროის სარტყელის გათანაბრებასთან დაკავშირებული დღის სინათლის ხანგრძლივობის შემცირება ვისაც აწუხებს, ის გამიგებს - ახირება ნამდვილად არ გახლავთ, უბრალოდ, საღამოს სიბნელე, იქნებ 90-იანი წლების დასაწყისის ასოციაციის ბრალია, მაგრამ ჩემში უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს და ბნელში სიარული, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მარწმუნებენ, დრო შეიცვალაო, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ მსიამოვნებს. არადა, სამსახური სამსახურია და მზის ჩასვლამდე შინ წასვლა არა და არ გამომდის. თუმცა, ეგ არის, ბოლო ხანებში ისეთებს მიყვებიან, დასამშვიდებლად, მართალია, არ გამოდგება, მაგრამ სიბნელისადმი ფრთხილი დამოკიდებულება ნამდვილად გამიქრა - გინდ გაფრთხილდი, გინდ შეეგუე, გინდ ბნელში იარე, გინდ სინათლეში, ქუჩებს გინდ სერავდეს საპატრულო პოლიცია და გინდ არა - ხიფათს გადაყრა სხვა არაფერზეა დამოკიდებული, თუ არა ბედისწერასა და ცოტათი იმაზეც, სამარშრუტო ტაქსის რომელი ნომრით გიწევს მეტწილად მგზავრობა.

არავითარი მანიაკი! ძვირფასო დედაქალაქის მაცხოვრებლებო, უკვე სასიამოვნოა იმის შეტყობა, რომ ყელის გამოღადრვის არ უნდა გეშინოდეთ. ის შემთხვევა, რომელმაც თბილისის ქუჩებში მანიაკის თარეშის შესახებ ჭორი ააგორა, ერთადერთი, მართალია, დღემდე გაუხსნელ-გამოუძიებელი, მაგრამ მაინც გამონაკლისი გახლავთ, რომელიც მანიაკის არსებობის სამტკიცებლად ნამდვილად არ გამოდგება. ასე რომ, მშვიდად იძინეთ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ბინის კარისა და ფანჯრების საკეტი საამისოდ მყარ გარანტიებს გიქმნით - ეს ხომ თავდაცვის ის საშუალებებია, რომლებზეც თავად უნდა იზრუნოთ. ისე კი, მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად ქვეყანაში რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები არსებობს, ამ ფაქტს, ძალიანაც რომ გინდოდეთ, ვერ დაივიწყებთ - ჯერ ერთი, რომ ქუჩაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე საპატრულო პოლიციის მანქანა გხვდებათ, თუმცა სახლიდან რომ არც გამოხვიდეთ, იმავე პატრულის ტელეიმიჯმეიკერები არ დაგავიწყებენ, რომ მთვრალი მძღოლებისგან (მით უმეტეს, თუ ისინი რომელიმე სახელმწიფო უწყების თანამშრომლები აღმოჩნდებიან), ოჯახური დებოშირებისგან თუ სახლის გზის ვერგამგნები მოქეიფეებისგან, სხვა ვინ, თუ არა საპატრულო პოლიციელები კიდეც დაგიცავენ და მერე თავსაც მოიწონებენ ცისფერი ეკრანიდან.

მაგრამ ვინ დაგვიცავს ყაჩაღებისგან - უკვე რამდენი ხანია, ეს შეკითხვა უპასუხოდ რჩება.

დღეს საქართველოში, მეტად კი თბილისში, ყველაზე გავრცელებულ კრიმინალს, წვრილ დანაშაულს უწოდებენ. ხშირად ასეთი დანაშაულის გამოძიებისთვის თანხების დახარჯვაც კი ენანებათ, დამნაშავეები კი, ალბათ, უსაფრთხოებისა და მატერიალური მოგების შეჯერების შედეგად, როგორც ჩანს, ამჯობინებენ, სწორედ ამ საქმეს მისდიონ. და ასე მომრავლდა საღამოობით თბილისის სადარბაზოებსა და დღისით-მზისით კი სამარშრუტო ტაქსებში დაყაჩაღებულთა რიცხვი. აღარ დავწვრილმანდები და აღარ მოვყვები მარტო "24 საათის" რედაქციის რამდენი თანამშრომელი შეიქნა სამარშრუტო ყაჩაღების მსხვერპლი. მარტო ჩემს ახლობლებს შორის, სადარბაზოში შესულს რამდენს დააკარგვინა გონება მძარცველის უეცრად მოხვედრილმა მუშტმა.

ამ გზით მომხდარი ყაჩაღობების მსხვერპლთა სტატისტიკური მონაცემების მოყვანას აზრი არ აქვს. მეტიც, ეს საზოგადოების პრობლემაა, მაგრამ ფაქტია, რომ მათი უმეტესობა პოლიციას საერთოდ არ მიმართავს - ბოროტმოქმედის მოძებნის ნაცვლად სწორედ მათ ატარებენ პოლიციის განყოფილებაში და, ერთი ჩემი ნაცნობის არ იყოს, აქეთ მოუწევთ მტკიცება, რომ არაფერი დაუშავებიათ.

გუშინ, ამ წერილის წერისას პოლიციისთვის არ მიგვიმართავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გვიამბობდნენ, ყაჩაღების რამდენი ჯგუფი დააკავეს და რამდენის დაკავება აქვთ გეგმაში. ჩვენ ეს რიცხვები არ გვაინტერესებს, რადგან, რაც არ უნდა თქვან, ხვალ ან ზეგ, რომელიმე ჩვენი თანამშრომელი გოგონა კვლავ მოვა ატირებული და მოყვება, როგორ წაართვეს სამარშრუტო ტაქსში, იარაღის მუქარით, მობილური ტელეფონი.

გვესმის, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გაცილებით მძიმე და სერიოზული საკითხებით არის დაკავებული, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეთა ობივატელური პრობლემებია. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შავბნელ, გაურკვეველ მოვლენებში გარკვევა და მორიგი, ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება, რომლისგანაც სულ ცოტა ასეულ ათასობით დოლარის მოგების მოტანა შეიძლება ქვეყნის ბიუჯეტისთვის, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემთვის თუ თქვენთვის, ან სულაც ვიღაც მესამისთვის მობილურისა თუ საფულის წართმევა, თუნდაც, ყველაზე უარეს შემთხვევაში, რომელიღაც "წვრილი ყაჩაღის" მუშტის გემოს გაგება. ჩვენ ყველანი, ანუ, საქართველოს რიგითი მოქალაქეები ხომ უკვე დიდი ხანია შევეჩვიეთ, რომ არ უნდა დავწვრილმანდეთ და "ქვეყნის ჭირი გვაჩნდეს ჭირად", მაგრამ მაინც ადამიანები ვართ და ჩვენიც რომ გვტკივა?!

მოკლედ

### ქართველ მძევალს კვლავ უშედეგოდ ეძებენ

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ქართველი სამართალდამცავების, რუსი და ოსი სამშვიდობოებისაგან დაკომპლექტებული ასკაციანი ჯგუფი, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ კეხვიდან გატაცებულ 23 წლის ელდარ კახნიაშვილს ეძებდა. თუმცა, ძებნა კვლავ უშედეგო აღმოჩნდა. "სამძებრო სმუშაოები გამნაღმველების თანხლებით მიმდინარეობდა. შერეულმა ჯგუფმა ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ყველა სახის სამძებრო ღონისძიება ჩაატარა, თუმცა კახნიაშვილის კვალს ვერ მიაგნო, რის შემდეგაც ძებნა ოსური მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაიწყო" , - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა..

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალმა კულახმეტოვმა ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართველი ჟურნალისტების, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებისა და პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის შეშვებაზე გუშინ უარი განაცხადა. რის გამოც, სამძებრო ღონისძიებებში, რომლებიც ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფლებში - მონასტერსა და ძარში მიმდინარეობდა, მხოლოდ ოსი ძალოვანები, რუსი სამშვიდობოები და დაკარგულის ოჯახის წევრები მონაწილეობენ. ჩვენი ინფორმაციით, მოგვიანებით, მათ თავად კულახმეტოვიც შეუერთდა.

"კახნიაშვილი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ იმყოფება და ოსმა ძალოვანებმა და სამშვიდობო ძალების სარდლობამ მისი კვალი ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა ეძებონ" , - ასეთი განცხადებები გაკეთდა ერთობლივი ძებნის შემდეგ, დღის ბოლოს ქართული მხარის მიერ.

*24 საათი*

### ვინ გადაეკიდა მე-6 გიმნაზიას?

ანონიმური სატელეფონო ზარის შემდეგ სასწავლო პროცესი გუშინ კიდევ ერთხელ შეწყდა თბილისის მე-6 ქართულ-გერმანულ გიმნაზიაში. უკვე მეოთხედ სკოლა 24 საათით დაილუქა. როგორც წინა შემთხვევების დროს, ამჯერადაც ანონიმური სატელეფონო ზარი საპატრულო პოლიციაში განხორციელდა. დილის ცხრა საათზე სკოლასთან უკვე მობილიზებული იყო პოლიცია და უშიშროების შესაბამისი სამსახურები. ნახევარსაათიანი ძებნის შემდეგ გამნაღმველებმა სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობა კვლავ ვერც აღმოაჩინეს.

მე-6 ქართულ-გერმანული გიმნაზიის პედაგოგებს ვერ გაუგიათ, რა ნიშნის მიხედვით ამოირჩია სატელეფონო ტერორისტმა ეს სკოლა, რომელიც უკვე ორი კვირაა სატელეფონო ტერორის ქვეშაა. მშობლებს უკვე ეშინიათ და ბავშვების სკოლაში გამოშვებისგან თავს იკავებენ. ძალიან დაძაბულები ვართ, არ ვიცით, როდემდე გაგრძელდება განგაში ჩვენს გიმნაზიაში", - აცხადებენ უკვე დაშინებული მასწავლებლები.

როგორც ირკვევა, ოთხივე შემთხვევაში ანონიმური ზარის ავტორი, სავარაუდოდ, ბავშვია, თუმცა უშიშროების სამსახური, ჯერჯერობით, ვერ აფიქსირებს იმ ტელეფონის ნომერს, საიდანაც ანონიმი რეკავს.

*24 საათი*

## საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია

მის: ჭავჭავაძის გამზ. 74
ტელ: 23 57 89
ელ. ფოსტა: info@youngbankers.com

# ეროვნული ბანკი



*გიორგი ასათიანი, ირაკლი მანაგაძე, ავთო გოგოლი.*

| [illegible] | 1.10.03 | 1.10.04 |
|---|---|---|
| [illegible] | 23 | 21 |
| [illegible] | 13 | 13 |
| [illegible] | 202* | 201* |
| [illegible] | 218,924 | 240,042 |
| [illegible] | 335,582 | 347,435 |

* [illegible]

| [illegible] | 1.10.03 | 1.10.04 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| [illegible] | 91,368 | 121,090 | 33% |
| [illegible] | 326,135 | 329,669 | 1% |
| [illegible] | 4 | 100 | 2454% |
| [illegible] | 39,109 | 60,714 | 55% |
| [illegible] | 714,910 | 823,170 | 15% |
| [illegible] | 11,319 | 723 | -94% |
| [illegible] | 736,715 | 843,305 | 14% |
| [illegible] | 14,713 | 31,949 | 117% |
| [illegible] | 47,837 | 52,807 | 10% |
| [illegible] | 19,632 | 17,348 | -12% |
| [illegible] | 11,956 | 13,886 | 16% |
| [illegible] | 99,177 | 114,034 | 15% |
| [illegible] | 55,463 | 54,911 | -1% |
| [illegible] | **1,357,755** | **1,534,923** | **13%** |
| | | | |
| [illegible] | 24,075 | 15,147 | -37% |
| [illegible] | 757,920 | 869,110 | 15% |
| [illegible] | 310,139 | 429,051 | 38% |
| [illegible] | 66,019 | 69,905 | 6% |
| [illegible] | 297,275 | 329,908 | 11% |
| [illegible] | 84,486 | 40,246 | -52% |
| [illegible] | 9,672 | 10,302 | 7% |
| [illegible] | 192,800 | 248,229 | 29% |
| [illegible] | 37,706 | 44,700 | 19% |
| [illegible] | **1,022,173** | **1,187,488** | **16%** |
| | | | |
| [illegible] | 188,672 | 201,620 | 7% |
| [illegible] | 58,480 | 52,140 | -11% |
| [illegible] | 88,430 | 93,675 | 6% |
| [illegible] | **335,582** | **347,435** | **4%** |
| [illegible] | **1,357,755** | **1,534,923** | **13%** |

*საბანკო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციის კითხვებს პასუხობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი ირაკლი მანაგაძე:*

**- ბატონო ირაკლი, რა ფაქტორების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილურობის შესახებ?**

- ყველა ქვეყანაში საბანკო სისტემის სტაბილურობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს მაკრო და მიკრო ფაქტორებად. ამასთანავე, მაკრო და მიკრო ფაქტორები გარკვეულწილად ერთმანეთთან არიან ურთიერთკავშირში და მათი გაუარესება ან გაუმჯობესება სხვადასხვა დონითა და ხარისხით აისახება ქვეყნის ეკონომიკის, მათ შორის, რა თქმა უნდა, საბანკო სისტემის მდგომარეობაზე და განვითარების ტემპებზე.

საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის დადებითი გავლენა იქონია ისეთი მაკროფაქტორების გაუმჯობესებამ, როგორიცაა მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, საინვესტიციო გარემოს გარკვეული გაუმჯობესება, ბიზნეს გააქტიურება, საბანკო სექტორის ინსტიტუციური რეფორმა, რომლის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საქართველოში დაიწყო 1995 წლიდან.

მიკრო ფაქტორებთან დაკავშირებით სისტემურ ჭრილში სტაბილურობისათვის აუცილებელი იყო კომერციული ბანკების მიერ საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების ადეკვატური მართვა, რომელიც წამყვანი ქართული ბანკების მიერ თანდათანობით იქნა ათვისებული. დღესაც მიმდინარეობს რისკების მართვის მეთოდებისა და მექანიზმების სრულყოფა და გაუმჯობესება, რომელიც, თავისთავად, მუდმივი პროცესია.

საბანკო სისტემის სტაბილურობაზე მეტყველებს ისიც, რომ განვლილ წლებში ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკაში არსებული პრობლემების, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს განვითარებაში გამოვლენილი შეფერხებებისა და 1998 წლის სავალუტო კრიზისის მიუხედავად, საქართველოში ადგილი არ ჰქონდა საბანკო კრიზისს, ბანკები მიმზიდველი იყო უცხოელი ინვესტორებისათვის და მათი განვითარება და ზრდა ატარებდა შეუქცევად ხასიათს.

**- რამდენად გამჭვირვალეა საბანკო სისტემა საქართველოში და თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს გამჭვირვალობის დონის ამაღლებისათვის?**

- ვინაიდან ბანკები განაგებენ საზოგადოების ფულად დანაზოგებს, საერთაშორისო პრაქტიკაში მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა და ბანკების მიერ წარმოებული აღრიცხვიანობის დონე ყველაზე მაღალი და მკაცრია სხვა მეწარმე სუბიექტებთან შედარებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წესებითაც ანალოგიური მიდგომაა გათვალისწინებული. საბანკო სისტემაში გამჭვირვალობის საკითხი ძირითადად გამოიხატება ბანკების ძირითადი ფინანსური მონაცემებისა და შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობაში და ბანკების მიერ კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვაში. საბანკო სისტემის გამჭვირვალობის დონის ამაღლებას ხელს შეუწყობს ბანკების მიერ კორპორაციული მართვის პრინციპების სრულყოფილად დანერგვა და დაცვა, საფონდო ბირჟაზე ბანკების აქციების კოტირებების გააქტიურება და ქვეყანაში დამოუკიდებლი სარეიტინგო სააგენტოს ფუნქციონირება.

**- თვითრეგულირება, რომელსაც როგორც წესი ბანკები მათ მიერვე შექმნილი სხვადასხვა ასოციაციებისა თუ კავშირების სახით ანხორციელებენ, რამდენად წარმატებულია საქართველოში და რამდენად მნიშვნელოვანია ის საქართველოს საბანკო სისტემისათვის?**

- საბანკო სექტორში ასოციაციების მეშვეობით თვითრეგულირების საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია თუ რის თვითრეგულირებაზეა საუბარი, საჯარო ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხებზე თუ ბანკების კომპეტენციაში არსებულ საკითხებზე. საქართველოში საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ფუნქციების თვითრეგულირება არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. რაც შეეხება ბანკების კომპეტენციაში არსებული საკითხების თვითრეგულირებას, მისი ინიციატივა და თემატიკა, უპირველეს ყოვლისა, თვით კომერციული ბანკებიდან უნდა მოდიოდეს. საქართველოში დიდი ხანია, კომერციული ბანკების მიერ დაფუძნებულია ბანკების ასოციაცია, რომლის ფუნქცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, არის თვითრეგულირებაც, რაც მოიცავს ბანკების კერძო ბიზნესთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების ასოციაციის ეგიდით განხილვას, გადაწყვეტას და კოორდინაციას.

ამასთანავე უმჯობესია, რომ ბანკებმა უფრო მეტად და აქტიურად გამოიყენონ ბანკების ასოციაციის შესაძლებლობები, რისთვისაც რეგულარულად, რაოდენობრივად და თვისობრივად უნდა გააუმჯობესონ ასოციაციის მხარდაჭერა მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსებით. ასეთ შემთხვევაში ბანკების ასოციაციას უფრო მეტად შეეძლება კომერციული ბანკების მაკრო და მიკრო ინტერესების სისტემატიზაცია და კოორდინირება, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს საბანკო სისტემის სრულყოფასა და განვითარებას.

**- თქვენი აზრით, რამდენად აუცილებელია ბანკების კონსოლიდაციის პროცესი საქართველოში და რატომ? რა ფაქტორებია საჭირო ამ პროცესის ხელშეწყობისათვის?**

- თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის ტენდენციების ზრდის შედეგად, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში აქტუალური გახდა მსხვილ კომპანიებს შორის შერწყმა-გაერთიანება, რამაც თავისი გავლენა იქონია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში კომპანიათა კონსოლიდაციის პროცესის გააქტიურებაზეც. კონსოლიდაციის პროცესების აქტიურად და ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება-გაუმჯობესებისადმი ორიენტირებული საინვესტიციო და ბიზნეს გარემო. გარდა იმისა, რომ კომპანიათა კონსოლიდაცია ზოგადად დადებითი ფაქტია, საქართველოს საბანკო სექტორისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან საქართველოში ფუნქციონირებდა ნაკლებად კაპიტალიზირებული 200-ზე მეტი ბანკი, რის გამოც საბანკო სექტორი საკმაოდ დანაწევრებული და ქაოტური იყო, რომლის პირობებშიც საკმაოდ გაძნელდებოდა ინსტიტუციური რეფორმების გატარება, ხელი შეეშლებოდა სისტემის დინამიურ განვითარებას და სტაბილურობის უზრუნველყოფას. ეროვნული ბანკის მიერ ბანკებისათვის მინიმალური კაპიტალის სტანდარტის ეტაპობრივი ზრდის მოთხოვნამ, საბანკო სექტორში კონსოლიდაციის პროცესების ინიცირება გამოიწვია, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ბანკების რაოდენობა, საბანკო სექტორში ძირეულად შეიცვალა ძალთა განლაგება და სტრუქტურა.

2003 წელს ეროვნულმა ბანკმა საქართველოში ბანკების მინიმალური კაპიტალის ოდენობად ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრა 12 მლნ ლარი, რომელიც ძირითადად პატარა ბანკებს ეხება და ითვალისწინებს მათი კაპიტალიზაციის გაუმჯობესებასა და კონსოლიდაციისადმი ინტერესების ზრდას. გარდა ამისა, დღეისათვის კონსოლიდაციის პროცესით დიდ ბანკებიც არიან დაინტერესებული, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია, თითოეულმა ბანკმა იზრუნოს თავისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე, საბანკო ბაზარის ათვისებული სეგმენტების შენარჩუნებასა და ახალის ათვისებაზე. ამას მოწმობს გასულ კვირას დიდი ბანკის "საქართველოს ბანკის" მიერ საშუალო ბანკის "თბილუნივერსალბანკის" შესყიდვის მეშვეობით გაერთიანების გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გააქტიურებს საბანკო სექტორის კონსოლიდაციის პროცესს. თუმცა ყურადღებაა გასამახვილებელი, რომ ბანკები ძალიან არ "გაერთონ" კონსოლიდაციით, ვინაიდან ეროვნული ბანკი, როგორც მოქმედი კანონმდებლობით საბანკო სისტემაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გამტარებელი, არ დაუშვებს საბანკო ბაზრის მონოპოლიზირებას ერთი ბანკის მიერ.

**- თქვენი აზრით, რამდენი ბანკია საკმარისი საქართველოს დღევანდელი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების მართვისათვის?**

- საბანკო აქტივების მართვისათვის საკმარისი ბანკების რაოდენობა არ არის სისტემისათვის მთავარი განმსაზღვრელი საკითხი. საქართველოში, ისევე როგორც ყველა ქვეყნის საბანკო სექტორში, არსებობენ დიდი, საშუალო და პატარა ბანკები. ბანკების ზომის მიუხედავად, საქართველოში ყველა ზომის ბანკს აქვს მუშაობის უფლება, თუ მათ ფუნქციონირებისათვის აქვთ საკმარისი კაპიტალი, იცავენ დადგენილ პრუდენციულ ნორმებს და სტანდარტებს, ადეკვატურად მართავენ საბანკო რისკებს, აქტიურად მუშაობენ სადეპოზიტო და სასესხო ბაზარზე, საზოდაგოებისათვის დროულად და ხარისხიანად ასრულებენ ფინანსურ შუამავლობის ფუნქციას. საქართველოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე და სამომავლო ტენდეციების გათვალისწინებით, შეიძლება, დასახელდეს ბანკების ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბს და საჭიროებას, მაგრამ ზემოაღნიშნულის გამო ეს ციფრი, ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება პირობითი.

დღეისათვის საქართველოს საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები შეადგენს 1.5 მილიარდ ლარს, რომლის მართვას ახორციელებს 22 ბანკი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფუნქციონირებს 22 ბანკი, საბანკო სექტორში არსებული კონცენტრაციის გათვალისწინებით, საბანკო აქტივებისა და დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულია დიდ ბანკებში. კერძოდ, საბანკო აქტივების 80% და დეპოზიტების 85% მართავს 6 დიდი ბანკი, რის გამოც ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ "სისტემაშემქმნელ" ბანკებს. ქვეყნის ეკონომიკაში, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოში მიმდინარე დადებითი ცვლილებებისა და განვითარების ტენდეციების გათვალისწინებით, შესაძლებელია კიდევ უფრო სწრაფად გაიზარდოს საბანკო აქტივები.

**- ყველა განვითარებული მცირე ზომის ქვეყნებში ძალიან ძლიერად არიან წარმოდგენილი რეგიონალური ბანკები, მაგ. შვეიცარია, ლუქსემბურგი და ა.შ. რამდენად პერსპექტიულია საქართველოში რეგიონალური ბანკების წარმოქმნა და მათი განვითარება?**

- დღეისათვის საქართველოში ბიზნესი ფიკუსირებულია თბილისში, ყველა ბანკის სათავო დაწესებულება და საბანკო საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია დედაქალაქში, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს საფინანსო ცენტრს წარმოადგენს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ყველა ქვეყნის საფინანსო ცენტრში დომინირებენ ადგილობრივი თუ უცხოური კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ბანკები და სხვადასხვა საფინანსო კომპანიები. როცა საფინანსო ცენტრები გადატვირთულია ბანკებით, ამ დროს აქტუალური ხდება რეგიონალური ბანკების არსებობა, რომლთა შექმნის პერსპექტივა თავის მხრივ დამოკიდებულია თვით რეგიონებში ბიზნეს აქტივობაზე და იქ დასაქმებულ ბიზნესმენთა ადგილობრივი ბანკით დაინტერესებაზე. ბიზნესი რეგიონებში არ განიცდის საბანკო მომსახურების სიმცირეს, ვინაიდან რეგიონებში ფუნქციონირებენ თბილისში არსებული ბანკის ფილიალები. რეგიონებში ამ ფილიალების რაოდენობა და საქმიანობის აქტიურობა კი დამოკიდებულია ისევ და ისევ რეგიონებში ბიზნესის აქტივობაზე და საბანკო მომსახურების მოთხოვნაზე. რეგიონალური ბანკების არსებობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ბანკის შექმნას სჭირდება სერიოზული კაპიტალი, რომელიც აქციონერთა ბიზნეს ინტერესებიდან უნდა იყოს თავისუფალი, ანუ აქციონერებს უნდა ჰქონდეთ სხვა ბიზნესიდან თავისუფალი ჭარბი კაპიტალი ან მათი კაპიტალი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ საბანკო საქმიანობას. ვინაიდან დღესათვის საქართველის რეგიონები განიცდიან არასაბანკო ბიზნესიდან თავისუფალი ჭარბი კაპიტალის სიმცირეს, ნაკლებ სავარაუდოა რეგიონალური ბანკების ჩამოყალიბება თუ არ იქნა უცხოურ ინვესტორთა დაინტერესება. სხვა მხრივ საქართველოში რეგიონალური ბანკების ჩამოყალიბებაზე შეზღუდვები არ არსებობს.

**- განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ძალიან დაბალია ფულის მიმოქცევა საბანკო არხების მეშვეობით, რაც ქვეყნის მოსახლეობის ბანკებისადმი ჯერ კიდევ არასაკმარის ნდობაზე მიგვითითებს. რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლემის თანმიმდევრული მოგვარებისათვის?**

- ამას თავის მიზეზები აქვს, რომელიც ძირითადად 90-იანი წლების დასაწყისიდან მოდის. ასეთი მასშტაბური და სისტემური საკითხის მოგვარება მოკლე ვადებში ნაკლებად რეალური იყო, ვინაიდან იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში განვითარებული მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემის ერთობლიობით იქნა წარმოშობილი. ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მასშტაბი და შესაბამისად არასრულყოფილი აღრიცხვიანობა, მეწარმე სუბიექტებს შორის ნაღდი ანგარიშსწორების მნიშვნელოვანი უპირატესობა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების კუთხით არსებული პრობლემები, პირდაპირ თუ ირიბად უარყოფით გავლენას ახდენდნენ ფულის საბანკო არხებით მიმოქცევაზე. გარდა ამისა ჰიპერინფლაციური პროცესებისა და საფინანსო სექტორის არასტაბილურობის შედეგად სერიოზულად შეირყა საზოგადოების ნდობა ბანკებისადმი.

კომერციულ ბანკებში დეპოზიტების ყოველწლიურად 20%-იანი მატების მიუხედავად, რაც თავისთავად ბანკებისადმი ნდობის ზრდაზე მეტყველებს, იგი ჯერ კიდევ შორს არის სასურველი დონისაგან. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლები ძირითადად სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებებისთვის იხარჯება და ამდენად, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ბანკების სადეპოზიტო მომსახურებით. ამდენად, საზოგადოებაში ფულადი დანაზოგების სიმცირის პირობებში, ბანკებისადმი ნდობის რეალური დონის დაფიქსირება ძნელია.

ფულის საბანკო არხებში მოქცევის ზრდის ხელშეწყობისათვის აუცილებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის შემცირება და მეწარმეთა მიერ აღრიცხვიანობის მოწესრიგება, რაც დღეისათვის უკვე შესაძლებელია, ვინაიდან ამ პრობლემების მოსაგვარებლად ქვეყანაში აქტიურად განიხილება გადასახადების ლიბერალიზაციისა და ბიზნესის ლეგალიზაციის საკითხები. ბიზნეს გარემოსა და საბიუჯეტო წესრიგის გაუმჯობესება დამატებით ბიძგს მისცემს ხელფასებისა და პენსიების ზრდის მეშვეობით მოსახლეობაში ფულადი მასის ზრდას.

რაც შეეხება საბანკო სისტემას, იგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული, საკმარისად სტაბილური სექტორია და მზადაა, სრულყოფილად შეასრულოს თავისი ფუნქცია. ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის ზრდისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნა და ამოქმედება. ამ საკითხზე მუშაობს ეროვნული ბანკი, უცხოელ ექსპერტებთან ერთად.

**- როგორია თქვენი პოზიცია, უნდა დაველოდოთ სუსტი ბანკების ბაზრიდან განდევნას და შემდეგ შემოვიღოთ დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სისტემა, თუ ამის გაკეთება მიმდინარე ეტაპზეც არის შესაძლებელი?**

- დეპოზიტების დაზღვევის ძირითადი მიზანია ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მცირე თანხის მქონე დეპოზიტარების დაცვა ფინანსური დანაკარგებისაგან, რაც ჩვენს პირობებში ბანკებისადმი ნდობის ზრდას და ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ვინაიდან სუსტ ბანკებს ზოგადად ახასიათებთ გაკოტრების მაღალი ალბათობა, საწყის ეტაპზე დეპოზიტების დაზღვევის სავალდებულო სისტემაში ისინი ვერ მოხვდებიან. ამასთანავე დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება არ არის დამოკიდებული მხოლოდ ბაზრიდან სუსტი ბანკების განდევნაზე, ვინაიდან აქ საკითხთა მთელი კომპლექსია ერთობლიობაში განსახილველი და გადასაწყვეტი. თვით დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საკმაოდ რთული მექანიზმია, მოითხოვს სერიოზულ მუშაობას, ხოლო მისი ნაჩქარევად მიღება და ამოქმედება, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არაგონივრული იქნება. მიუხედავად იმისა, რომ დეპოზიტების დაზღვევის მთავარი პრინციპი ყველა ქვეყანაში ერთია, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებობს დეპოზიტების დაზღვევის მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოდელები. საქართველოს შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დეპოზიტების დაზღვევის სწორი მოდელის შერჩევა.

**- რა ღონისძიებებია გასატარებელი ქვეყანაში არსებული დოლარიზაციის ძალიან მაღალი დონის შესამცირებლად? ფაქტია, რომ დოლართან მიმართებაში ლარის გაძვირებამ დოლარიზაციაზე ძალიან უმნიშვნელო გავლენა იქონია?**

- საქართველოში არსებული დოლარიზაციის მაღალი დონის გამომწვევი მიზეზები 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარეობს, რომელთაგან განსაკუთრებით ჰიპერინფლაციურმა პროცესებმა მოახდინა გავლენა. ამის შესაბამისად საზოგადოებამ აქცენტი გააკეთა მყარ ვალუტაზე და ფულის მიმოქცევისა და დაგროვების კუთხით ძირითადად უპირატესობა მიანიჭა ამერიკულ დოლარს. ამ პერიოდიდან საზოგადოების მენტალიტეტში საკმაოდ მყარად დამკვიდრდა ყველანაირი ფასის დოლარებში გააზრება და ფულის შენახვასაც ახორციელებენ ამ ვალუტაში. ლარის მიმოქცევაში გამოშვების შემდგომ დოლარიზაციის დონე ნელ-ნელა, მაგრამ ეტაპობრივად მცირდება. ამ მხრივ განსაკთრებული პროგრესი შეინიშნება მიმდინარე წელს, ბანკებში განთავსებული დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 86%-დან შემცირდა 75%-მდე, რაც ლარის კურსის გამყარებითაა გამოწვეული.

იმისათვის, რომ ქვეყანაში დოლარზაცია კიდევ უფრო შემცირდეს, აუცილებელია, შენარჩუნებული იქნეს დაბალი ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს ფასების სტაბილურობა. ამ პროცესის მხარდაჭერისათვის ეროვნული ბანკი თავის მხრივ ატარებს დამატებით ღონისძიებებს, რისთვისაც შემცირდა მინიმალური სარეზევრო მოთხოვნების ნორმა ბანკების მიერ ლარებში მოზიდულ სახსრებზე, რაც ბანკებისათვის აიაფებს ლარში სახსრების მოზიდვას და სტიმულს აძლევს ლარებში ფინანსური შუამავლობის გააქტიურებას. გარდა ამისა, სხვადასხვა ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს პირვლად და მეორად ბაზარზე ლარებში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების გააქტიურებას და განვითარებას.

**- უკანასკნელ პერიოდში დოლარის გაიაფებამ რა ეფექტი იქონია საბანკო სექტორზე?**

- როცა ქვეყანაში დოლარიზაცია მაღალია, გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობა ბიზნესისათვის არ არის სასურველი. იგი ასევე ცალსახად ხელსაყრელი არ არის საბანკო სისტემისათვის, ვინაიდან ბანკებს უმცირდებათ ლარებში გამოსახული საპროცენტო შემოსავლები დოლარებში დენომინირებული სესხებიდან, რადგანაც ბანკების საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი დოლარებშია ფორმირებული. თუმცა, საბანკო აქტივების და სხვა ფინანსური პარამეტრების წლების განმავლობაში დამკვდრებული ზრდადი ტენდენციის ფონზე, კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლიანობა საკმარისად მდგრადია იმისათვის, რომ დოლარის გაიაფებით გამოწვეული მიმდინარე შემოსავლების კლების მიუხედავად უზრუნველყონ ხარჯების გასტუმრება და გარკვეული მოგების მიღება. მთლიანობაში აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ბანკების მოგების ნორმის გარკვეულ შემცირებაზე და არა მათ ფინანსურ პრობლემებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ დოლარის გაიაფებისას თვით უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საკრედიტო პორტფელის ხარისხი არ უარესდება.

ამდენად, ლარის გამყარების გამო კომერციულ ბანკებს ფინანსური პრობლემები არ ექმნება, სისტემის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება, ბანკებს ეძლევათ საბანკო ოპერაციების ლარებში წარმოების გააქტიურების უკეთესი საშუალება და შესაძლებლობა, რასაც ეროვნული ბანკი მიესალმება და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.

**- კომერციულ ბანკებში სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა მცირდება, ანუ სახეზეა საპროცენტო მარჟების შემცირების ტენდენცია. გასაგებია, რომ ეს პროცესი თავისთავად მისაღებია. ამ პირობებში კომერციულმა ბანკებმა რა სტრატეგია უნდა აირჩიონ მომგებიანობის შესანარჩუნებლად?**

- უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს საბანკო სექტორში სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო მარჟა თანდათანობით მცირდებოდა და ეს ტენდეცია განსაკუთრებით მიმდინარე წელს აღინიშნა. საპროცენტო მარჟის შემცირება თავისთავად დადებითი მოვლენაა საზოგადოებისათვის, ანუ საბანკო მომსახურების მიმღებთათვის. რაც შეეხება ბანკებს, მოგებისა და კაპიტალის ზრდის მიზნით მათთვის, რა თქმა უნდა, უფრო მისაღებია შედარებით მაღალი საპროცენტო მარჟა, რაც ნორმალური და ლოგიკური სურვილია მათი მხრიდან. მაგრამ ბიზნესში გასათვალისწინებელია სურვილების შესაბამისობა ბაზრის კონიუქტურასთან და მომსახურების მოთხოვნა-მიწოდებაზე დამკვიდრებულ რეალობასთან, და კონკურენტუნარიანობის და დაკავებული სეგმენტის შენარჩუნებისა და გაზრდის მიზნით აუცილებელია ბაზარზე განვითარებულ მოვლენებზე მყისიერი რეაგირება, წინააღმდეგ შემთხვევაში აქტიურობის გარეშე მომგებიანობის დონის შენარჩუნებაზე გამოდევნება, ბაზარზე ადგილის და გავლენის დაკარგვით შეიძლება დამთავრდეს. სწორედ ასეთ რეაგირებას წარმოადგენს ბანკების მიერ საპროცენტო მარჟის შემცირება, რაც მათ გონივრულ სტრატეგიაზე მეტყველებს. მომგებიანობის დონის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის ბანკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ საპროცენტო და არასაპროცენტო ხარჯების ოპტიმიზაციაზე, რისკების გონივრული მართვის პირობით საბანკო მომსახურების არეალის გაფართოებაზე და აქტივპასივების ოპტიმალურად მართვის მეშვეობით სხვადასხვა ფინანსური ინტრუმენტების ათვისებაზე.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში უცხოური კომერციული ბანკის შემოსვლა საქართველოს საბანკო სექტორში და თქვენი აზრით როდის არის ეს მოსალოდნელი?**

- საქართველოს საბანკო სექტორი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობას არ განიცდის, ფუნქციონირებს აზერბაიჯანული და თურქული ბანკების ფილიალები, საბერძნეთის კომერციული ბანკის შვილობილი ბანკი, თუმცა ისინი აქტიურობით არ გამოირჩევიან და ამდენად საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი არიან. საქართველოს საბანკო სექტორში უცხოური კომერციული ბანკის შემოსვლის საკითხზე საუბრისას, ალბათ, ყველა მოიაზრებს ცნობილი სახელის მქონე ტრანსნაციონალურ ბანკს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ ტრანსნაციონალური ბანკისათვის საქართველოს საბანკო ბაზარი საკმაოდ პატარაა. თუმცა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ბიზნესის სერიოზულად გააქტიურებისა და რეგიონში ევროატლანტიკური ინტერესების ზრდის პირობებში, ბაზრის ზომისდა მიუხედვად, ტრანსნაციონალური ბანკის საქართველოში შემოსვლა რეალური გახდება. დღევანდელ ეტაპზე საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ინტერესი უმეტესწილად აქვთ საქართველოს ახლო მეზობელი ქვეყნების კომერციულ ბანკებს, ვინაიდან ამ ქვეყნებთან საქართველო ტრადიციულად დაკავშირებულია სხვადსხვა სახის საქმიანი ურთიერთობით და მათი საბანკო სექტორით დაინტერესება სავსებით ლოგიკურია. რუსეთის და ყაზახეთის საკმაოდ დიდი საბანკო დაწესებულებები "ვნეშტორგბანკი" და "ბანკ ტურანალემი" უკვე მუშაობენ ქართულ ბანკებში 50-ზე მეტი წილის შეძენის საკითხებზე.

**- თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ბანკების უმრავლესობას ძალიან შეზღუდულად ან საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი უცხოურ იაფ კაპიტალზე, რამდენად იქნებიან ისინი დაცულნი უცხოური ბანკებისაგან კონკურენციის თვალსაზრისით?**

- უცხოურ იაფ კაპიტალთან წვდომა გარკვეულწილად პრივილეგიაა, რომლის მიღებას სერიოზული შრომა და ინვესტორების მხრიდან ნდობის დამსახურება სჭირდება. 1996 წლიდან დიდი ქართული ბანკები აქტიურად და კარგად მუშაობენ უცხოელ ინვესტორებთან, მათთან თანამშრომლობით შეიძინეს საკმაო გამოცდილება და სარგებლობენ მაღალი ნდობით. რაც შეეხება იმ ბანკებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ უცხოურ კაპიტალზე, ბევრი მათგანი ვერც ადგილობრივი კაპიტალის მოზიდვაში აქტიურობს, რაც პოტენციურ უცხოელ ინვესტორებზე დადებით გავლენას ვერ ახდენს. ასეთი ბანკების უმრავლესობა კონკურენციას ვერ გაუწევს დღეს მოქმედ დიდ ქართულ ბანკებს, რომ აღარაფერი ვთქვათ კონკურენციაზე უცხოურ ბანკებთან.

კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტია. საქართველოს ბაზარზე უცხოური ბანკების შემოსვლის შემთხვევაში, კონკურენცია უფრო გამძაფრდება, თუმცა დღეს მოქმედ დიდ ბანკებს ამით საფრთხე ნაკლებად ემუქრებათ, ვინაიდან მათ საკმაოდ მყარად მოიკიდეს ფეხი ბაზარზე და ფინანსურადაც კარგად გამოიყურებიან. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყურაღების მოდუნება არც მათ წაადგებათ და მუდმივ განვითარებაზე და სიახლეებზე უნდა იყვნენ ორიენტირებული. ადგილობრივ თუ უცხოურ ბანკებთან კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემა უმეტესწილად პატარა ბანკებს ეხებათ. ამისათვის მათ თავად უნდა უზრუნველყონ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება და განმტკიცება, რისთვისაც აუცილებელია გონივრული და აქტიური ბიზნეს სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება და გატარება. ბანკებმა უნდა გაააქტიურონ მუშაობა ფინანსური შუამავლობის ფუნქციის მაქსიმალურად სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულების მიმართულებით, უნდა გააფართოონ საბანკო საქმიანობის არეალი, საბანკო მომსახურებაზე საზოგადოებას უნდა შესთავაზონ მისაღები ფასები და საპროცენტო განაკვეთები. სხვა მხრივ ბაზარზე ადგილის შენარჩუნება პატარა ბანკებს გაუძნელდებათ.

**- თქვენი აზრით, რა არის საჭირო საქართველოში სალიზინგო მომსახურების განვითარებისათვის?**

- ყველა ახალ საქმეს, მით უმეტეს ახალი ტიპის მომსახურებას, როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, ასევე საქართველოში, საწყის ეტაპზე ახლავს თავისი სირთულეები. სალიზინგო ბაზარზე დასამკვიდრებლად საჭიროა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და ამ სახის საქმიანობის პოტენციურად დაინტერესებული საზოგადოებისათვის გათვითცნობიერება. საქართველოში სალიზინგო საქმიანობა ახალი დაწყებულია და ბაზარზე პრაქტიკულად ჯერ მხოლოდ ორი სალიზინგო კომპანია ოპერირებს. სალიზინგო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიზინგო კომპანიები საქმიანობის გასაფართოებლად საჭიროებენ გრძელვადიანი დაფინასების წყაროს, რომლის საშუალებები ქვეყნის შიგნით ნაკლებია და ძირითადად უცხოური ინვესტიციების მოზიდვით არის შესაძლებელი. დღეისათვის სალიზინგო საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, განხილულ და დადებითად უნდა იქნეს გადაწყვეტილი სალიზინგო საქმიანობისა და კლიენტებისაგან სალიზინგო მომსახურების მიმზიდველობის ხელშემშლელი ფაქტორები. კერძოდ, სალიზინგო საქმიანობასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში გაუმჯობესებული უნდა იქნეს ლიზინგის საგანთან - ქონებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის საკითხები, საგადასახადო კოდექსში სრულყოფილ და დაზუსტებულ უნდა იქნეს სალიზინგო საქმიანობასთან დაკავშირებული დაბეგვრის საკითხები. ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტის შედეგად და გრძელვადიანი პერსპექტივით ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების კვალდაკვალ, სალიზინგო კომპანიებს უკეთესი შესაძლებლობები ექნებათ მომსახურების პირობების გაუმჯობესებისათვის და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისათვის, ხოლო მეწარმეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სალიზინგო მომსახურების უპირატესობებზე და უფრო მეტად დაინტერესდნენ მისით.

**- თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს თვით კომერციული ბანკების, ეროვნული ბანკისა და საკანონმდებლო ორგანოს დონეზე საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისა და უფროს სწრაფი განვითარებისათვის?**

- საქართველოს საფინანსო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის თავიდანვე შერჩეული იქნა მისი ინსტიტუციურად მოწყობის სწორი მოდელი, რისთვისაც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპები და სტანდარტები. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა მთლიანობაში შეესაბამება საბანკო საქმიანობის შესახებ ევროდირექტივითა და ბაზელის კომიტეტის მიერ აღიარებულ ძირითად პრინციპებს, ითვალისწინებს ქვეყანაში საბანკო მომსახურების გაუმჯობესების, გაფართოებისა და განვითარებისათვის აუცილებელ ნორმებს, მაქსიმალურად იძლევა ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის შესაძლებლობებს. საბანკო სექტორის შემდგომი დინამიური განვითარებისათვის აუცილებელია, ქვეყანაში კიდევ უფრო გააქტიურდეს და გაუმჯობესდეს საინვესტიციო და ბიზნეს გარემო, ამოქმედებულ იქნეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, უნდა გაუმჯობესდეს სესხების უზრუნველყოფის საშუალებათა მიღების, რეგისტრაციისა და რეალიზაციის არსებული რეჟიმი, უნდა დაარსდეს გირავნობით დატვირთული მოძრავი ქონების რეესტრი, შეძლებისდაგვარად უნდა გამარტივდეს საკრედიტო სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლო დავების განხილვის პროცედურები.

ლენონის კერძის ნარჩენები ახალ ქვაბში, ოღონდ ცივად



B3

"დინამოს" ნავსი გატეხა



B4

ემინემი წარმოადგენს თუფაქს



B7

ნომრის სტუმარი

# სასწაულებს არ ელოდოთ

## მაგრამ მთავრობას შეცდომებზე მიუთითეთ და მათი გამოსწორებისკენ მოუწოდეთ

*ადამიანებს სჯერათ, რომ ახალი მმართველი ძველზე უკეთესი იქნება. ამის გამო აღსდგებიან ძველის წინააღმდეგ და უკეთესი ცხოვრების იმედით, ახალ სახელმწიფო ჩინოვნიკებს მათი ბედის მართვას ანდობენ. ამ მისიას ბევრი ცდუნება და სირთულე ახლავს, მით უფრო, თუ სახელმწიფოს დემოკრატიულობის ამბიცია აქვს და მით უფრო, თუ ამ მიზნის ასრულებისთვის რევოლუციაც მოხდა. რამდენად ვითვალისწინებთ დემოკრატიული მმართველობის მსოფლიოში არსებულ უდიდეს გამოცდილებას, რამდენად ვსწავლობთ სხვა ქვეყნების შეცდომებზე, რამდენად განწყობილია ხელისუფლება, მოუსმინოს საზოგადოებას და მიიღოს მისი კონსტრუქციული კრიტიკა, რომელიც დემოკრატიის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია - ამ თემებზე საუბრობს ჯერი ჰაიმანი, USAID-ის დემოკრატიისა და მმართველობის პროგრამის დირექტორი, რომელიც პროგრამის განხორციელების ფარგლებში საქართველოს ეწვია. დემოკრატიისა და მმართველობის პროგრამის განხორციელება USAID-მა გასული საუკუნის 80-იან წლებში, ცენტრალურ ამერიკაში დაიწყო და ძირითადი სფერო ადამიანის უფლებების დაცვა იყო. ამ პროგრამის სრულად განხორციელება 1990 წელს პოლონეთში, უნგრეთსა და მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო. ჯერი ჰაიმანი USAID-ს საქართველოდან დასკვნით ანგარიშს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას - რეკომენდაციებს წარუდგენს. ანგარიში მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი ქვეყნისა და USAID-ის მომავალ თანამშრომლობას ამ სექტორში.*



ბესო გულაშვილის ფოტოები

*ჯერი ჰაიმანი: დაამთავრა ჩიკაგოს უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტი; სამართალმცოდნეობაში ხარისხი ვირჯინიის უნივერსიტეტში დაიცვა; 1970-1982 წლებში ნორდჰამპტონის სმით კოლეჯში ანთროპოლოგიის, სოციოლოგიისა და ეკონომიკის განვითარებაზე მუშაობდა; 1982-1985 წლებში ესწრებოდა კურსს ვირჯინიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში; 1985-1990 წლებში ვაშინგტონში, იურიდიულ კორპორაციაში მუშაობდა; 1990 წლიდან USAID-შია. დემოკრატიის განვითარების და სახელმწიფო პროგრამებზე ჯერ ევროპასა და ევრაზიაში, ხოლო შემდეგ მთელ მსოფლიოში მუშაობდა.*

მაია ქალაგანიძე

**- აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შედარებით ახლო წარსულში დაადგა დემოკრატიის გზას. რა იყო ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ამ გზაზე?**

- ისევე როგორც საქართველოში, ამ ქვეყნებსაც რეფორმატორული მთავრობა ჰყავთ. ახლანდელი ხელისუფლების წევრთა უმრავლესობა არასამთავრობო სექტორიდან მოვიდა. მაგალითად - პოლონეთის ხელისუფლებაში პროფკავშირებიდან, უნივერსიტეტიდან, ან არასამთავრობო სექტორიდან მოვიდნენ.

აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიისა და მმართველობის პროგრამა ორ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი სახელმწიფო სექტორის შეცვლის საკითხში რეფორმატორების დახმარებას გულისხმობდა. მეორე კი - არასახელმწიფოებრივი სექტორის ჯანსაღად შენარჩუნებისკენ და მზარდი ტენდენციებისკენ იყო მიმართული.

**- დიახ, ეს საქართველოს, მართლაც, ჰგავს. რევოლუციის გზით მოსულ ხელისუფლებაში დემოკრატიული მმართველობის რა რესურსი დაინახეთ?**

- ცენტრალურ ევროპაში არ ჰქონიათ ისეთი არჩევნები, როგორიც საქართველოში იყო. ხალხი ერთიანდებოდა, ქუჩებში იკრიბებოდა და მთავრობების შეცვლას მოითხოვდა. მაშინ მთავრობამ ჩამოაყალიბა მრგვალი მაგიდა, სადაც არასახელმწიფო სექტორთან ერთად გარდაქმნებზე საუბრობდნენ. ასე იყო პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ბულგარეთში.

**- ამ ქვეყნებმა ის გზა გაიარეს, რასაც ახლა გავდივართ. რა შენიშნეთ განსხვავებული?**

- რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა და დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებისა და საქართველოს საერთო კურსი მსგავსი იყო, განსხვავებები მაინც შეიმჩნევა. დღევანდელი გადასახედიდან გვახსოვს შეგრძნება, რომ ეს სწორი გზა იყო, მაგრამ რეალურად ხომ ეს ასე არ ყოფილა? მაგალითისთვის გეტყვით - ბულგარეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში ხელისუფლებაში მოსულ რეფორმატორებს პირველივე წელს არ მიუღწევიათ წარმატებისთვის. მათ კონფერენტული გეგმის განხორციელება კი არა, შექმნაც ვერ შეძლეს. ეს იმ ქვეყნების მიერ განვლილი გზაა, მაგრამ შეცდომებზე სწავლობენ და გვინდა, თქვენს ქვეყანას ეს შეცდომები ავაცილოთ. გვინდა, გამოვიყენოთ გამოცდილება, რათა საქართველომ ეს გზა უკეთ გაიაროს.

**- სამოქალაქო საზოგადოებასაც იგივე სურს. რა დაიცავს ხელისუფლებას არადემოკრატიულობისგან?**

- პირველ რიგში, უნდა შეინარჩუნოთ კრიტიკული განწყობა და იყოთ კონსტრუქციულები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განვითარების სწორი მიმართულების, სწორი გზის შენარჩუნება. მესამე ელემენტი შემდეგია - სასწაულებს არ ელოდოთ. ორ წელიწადში საოცრებები ნამდვილად არ მოხდება და არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, იმ ქვეყნებში ჯერ კიდევ იბრძვიან. ბულგარეთში ძალიან მაღალია უმუშევრობის პროცენტი, არ მუშაობს საწარმოები. სოფიაში მშვენიერი მაღაზიებია, მაგრამ რეგიონებში ხალხი ძალიან ცუდად ცხოვრობს...

**- დემოკრატიული ფასეულობები და პოლიტიკური კულტურა თბილისის გარეთ ნაკლებად ესმით და იგრძნობა. თქვენი აზრით, რეგიონების წამოწევა უნდა იყოს თუ არა სახელმწიფო ინსტიტუციების გარდაქმნის, კორუფციასთან ბრძოლის, არმიის განვითარების პარალელური პროცესი?**

- ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას, დეცენტრალიზაციის პროგრამას განვახორციელებთ. ყველა ქვეყანას საკუთარი ისტორია აქვს. ამერიკის ისტორიაში ადგილობრივმა თვითმმართველობამ დიდი როლი ითამაშა. საფრანგეთში კი სულ არ მიაჩნიათ, რომ ეს მნიშვნელოვანია. მათ უფრო მეტად ცენტრალიზებული სახელმწიფო აქვთ. ჩვენი აზრით, ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დეცენტრალიზაციის სრულყოფაზე ჩვენ დღესაც ბევრს ვმსჯელობთ.

**- დემოკრატიის მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი სექტორი თავისუფალი მედიაა. როგორ აფასებთ მედიის როლს პოსტრევოლუციურ საქართველოში?**

- მედიის როლი, მართლაც რომ, გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია. ინფორმაცია პირველ ადგილზე დგას. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყანაში. აგრეთვე მნიშვნელოვანია ანალიზი და ისევ და ისევ კონსტრუქციული კრიტიკა.

თავად ვარ მთავრობის წარმომადგენელი. შეიძლება, მედია ზოგჯერ ხელისუფლებას სირთულეებს უქმნის, მაგრამ აშშ-ს მთავრობაში არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს მედიის უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა. და ეს იმის მიუხედავად, თუ რა სირთულის შეკითხვებს გვისვამენ მედიის წარმომადგენლები. სწორედ ეს რთული შეკითხვები ანიჭებს მედიას ამ უმნიშვნელოვანეს როლს. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა ჩააბაროს ანგარიში საზოგადოებას და ეს სწორედ მედიის საშუალებით უნდა მოხდეს იმისთვის, რომ პროცესები გამჭვირვალე გახდეს.

**- ამას 250-წლიანი ტრადიცია დასჭირდა, ამერიკა ხომ დემოკრატიის მოდელია. რა რესურსებით უნდა გაუძლოს მედიამ ხელისუფლების ზეწოლას?**

- ჩვენ დემოკრატიის ერთ-ერთი მოდელი ვართ, მსოფლიოში სხვა მოდელებიც არსებობს. მინდა შეგახსენოთ, რომ ამერიკას 4 წლის წინ არჩევნებთან დაკავშირებით საკმაო პრობლემები ჰქონდა, რადგან კანდიდატებს ხმებს შორის განსხვავება არცთუ დიდი იყო. წელს ამ პრობლემებს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. საარჩევნო წესების მცირე გადახრების გამო ათასობით მოსამართლე მთავრობის წინააღმდეგ საქმის აღსაძვრელად მზად იყო. მაგრამ, ახლანდელ არჩევნებში ხმებს შორის სხვაობა იმდენად დიდი იყო, რომ ყველა მოსამართლეს რომც მოეგო ეს საქმეები, სასამართლო გადაწყვეტილება არჩევნების შედეგებზე ვერ იმოქმედებდა.

ისე არ წარმოიდგინოთ, თითქოს ჩვეთან ყველაფერი იდეალურად არის. უბრალოდ, ვხედავთ, რომ ვითარების გამოსასწორებლად ცვლილებებია საჭირო. მედიის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფუნქციაა მთავრობას შეცდომებზე მიუთითოს და მათი გამოსწორებისკენ მოუწოდოს.

**- ცენტრალურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში მიღებული გამოცდილების მიხედვით, შეგიძლიათ, თქვათ, როდის მთავრდება რევოლუცია და იწყება სახელმწიფოს დემოკრატიული მართვა?**

- სწორედ ამ უზუსტობებისა და ხარვეზების გამო რევოლუცია არასდროს მთავრდება. ჩემი გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, დემოკრატია გარკვეულწილად არის ბალანსი ძალებს შორის. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 3 წლის წინანდელი მოვლენების შემდეგ დავიწყეთ ფიქრი იმის შესახებ, გვქონდა თუ არა სწორად დაბალანსებული ქვეყნის უსაფრთხოება და მოქალაქეთა თავისუფლება. ხალხის ერთი ნაწილი ამბობს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოება უნდა გაძლიერდეს, რათა მსგავსი მოვლენებისგან დავიცვათ თავი. მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ უსაფრთხოების გაძლიერება აუცილებელია, მაგრამ არა მოქალაქეთა თავისუფლების ხარჯზე.

**- სად გადის ზღვარი უსაფრთხოებასა და თავისუფლების შეზღუდვას შორის?**

- ეს ზღვარი სულ მოძრაობს და ამაზე ფიქრიც მუდმივად საჭიროა. ნორმალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოს ხისტი მდგომარეობა არასდროს არა აქვს დაფიქსირებული. მაგრამ, ნორმალურია ის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც ბალანსსა და წონასწორობაზე ფიქრი ხალხის მეშვეობით ხდება.

**- ასევე რთულია იმის დაბალანსება, თუ რა დოზით უნდა იყოს სახელმწიფო ცენტრალიზებული და რა წილი უნდა ჰქონდეს თვითმმართველობას?**

- მზა რეცეპტები არ არსებობს. ეს არის მუდმივი დისკუსიის საკითხი და ეს საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება. ამერიკა 250 წლის განმავლობაში მსჯელობდა და ახლაც მსჯელობს ამის შესახებ. ამ არჩევნებმა ნაწილობრივ გასცა პასუხი ამ მსჯელობას.

**- ქართველები კიდევ 250 წელს გაუძლებენ?**

- მეტსაც გაუძლებენ.

**- ისტორიულად არ არსებობს იდეალური ხელისუფლება. რევოლუციებს ყოველთვის იმედგაცრუება მოსდევს. რა იქნება თქვენი რეკომენდაციები და რას ჩაწერთ თქვენს ანგარიშში საქართველოსა და დემოკრატიის შესახებ?**

- ჩემი რეკომენდაცია ეს იქნება - ერთდროულად ორი რამ უნდა გავაკეთოთ - ხელისუფლებას რეფორმების ჩატარებასა და იმის გაკეთებაში მივეხმაროთ, რაც ჩაფიქრებული აქვს და რის შესახებაც დეკლარირებს - ვგულისხმობ საქართველოს დემოკრატიზაციას. როდესაც მმართველობაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას.

მეორე - ამ შტოებს გარეთ დარჩენილნი - კანონშემოქმედები, კანონის უზენაესობის დამმკვიდრებელნი და სხვები - ხელისუფლებას დეცენტრალიზებაში მიეხმარონ. პარლამენტმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, მედიამ - ყველამ დაბეჯითებით უნდა თქვას, რომ დემოკრატიული ტრანსფორმაციის გზას ვადგავართ.

**- ტრადიციულად, საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლება უფრო ძლიერია, ვიდრე ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორიც არის პარლამენტი და სასამართლო ხელისუფლება. რა არის პარლამენტის, სასამართლოს, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების საერთო პოზიციები?**

- არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ამ დანარჩენ სექტორებს შორის საომარი პოზიციებია. პირველ რიგში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფ რეფორმატორებს უნდა დაეხმაროს ყველა. მედია, პარლამენტი, საზოგადოება, სასამართლო და აღმასრულებლები ყოველთვის ურთიერთკონტაქტში არიან და ხანდახან იმდენად, რომ ვინატრებდი კიდეც ნაკლები შეხების წერტილებს. არსებობს ასეთი საერთო ტენდენცია - მეტი ძალაუფლების მოხვეჭა. დემოკრატიის არსი სწორედ ბალანსის მუდმივი კონტროლია. ხელისუფლება აუცილებლად ანგარიშვალდებული უნდა იყოს, რათა ბალანსი და წონასწორობა მუდმივად კონტროლდებოდეს.

**- იმედი მაქვს, ჩვენს ხელისუფლებას ტრანსპარანტულობისა და ანგარიშგების მზადყოფნა შენიშნეთ...**

- დიახ, ისინი, მართლაც, ელიან ამ დახმარებას.

შეცდომებზე სწავლობენ და გვინდა, თქვენს ქვეყანას ეს შეცდომები ავაცილოთ. გვინდა, გამოვიყენოთ გამოცდილება, რათა საქართველომ ეს გზა უკეთ გაიაროს.



უნდა შეინარჩუნოთ კრიტიკული განწყობა, იყოთ კონსტრუქციულები და სასწაულებს არ ელოდოთ.



მედია ზოგჯერ ხელისუფლებას სირთულეებს უქმნის, მაგრამ აშშ-ს მთავრობაში არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს მედიის უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა.



უზუსტობებისა და ხარვეზების გამო რევოლუცია არასდროს არ მთავრდება.



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# რეცენზიასავით

თუ არ დაგაჟრიალა ან არ დაგბურძგლა, ის არც მოთხრობაა და არც არაფერი.

ჩემი ძმაკაცები სიცილით კვდებოდნენ, გაციებული ვარ, ვერ გამოვალ-მეთქი, რომ ვეტყოდი. ტატიშვილზე იყავი თუ სოტკილავაზეო? ჰო, რა ვქნა, ამათ რომ ვუსმენ, უფრო სწორად, რომ ვუსმენდი, ეგრევე ოფლი მასხამდა. მერე დამკრავდა ნიავი და...

ალალად ვიტყვი, ქალების პროზისა არ მწამს. ერთზე ამბობდნენ საფრანგეთში, ყველაზე ჭკვიანი ქალიაო. მწერლობდა კიდეც. წავიკითხე ის ნაქები ქალი და მისი "კონსუელო". ცხოვრებაში ქალის დაწერილს აღარ წავიკითხავ-მეთქი.

მერე ერთხელ ფიცი გავტეხე. "ინასტრანკაში" იბეჭდებოდა ფრანსუაზა საგანის "Немного солнца в холодной воде". ცოტა გამიკვირდა, მაგრამ რა უნდა მექნა, მომეწონა. ახლახან მოკვდა საწყალი. ეს იყო და ეს.

დროდადრო "არილს" ვათვალიერებ ხოლმე. "არილი" იქით იყოს და, ამ ბოლო დროს ძალიან გაუტიეს ქალებმა. მე არც კრიტიკოსი ვარ, არც ლიტერატურისმცოდნე, მაგრამ მოწონება-არმოწონება ხომ ჩემი საქმეა!

არ მომწონს ქალების პროზა და რა ვქნა.

ერთ მშვენიერ დღეს ვზივარ უსაქმოდ. გაზეთში ჩემი ორი წერილი უდევს რედაქტორს. ან სულ გამოვშტერდი და ტირაჟში ჩემი გაშვება აღარ შეიძლება, ან რაღაც ისეთი მიწერია იმ წერილებში, ქვეყანას დააქცევს, ან არადა... არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

აი, ამიტომ ვარ უსაქმოდ. ჯერ რა ისეთი სასიამოვნო საქმეა ეს წერა, მერე ტყუილად წერა...

ჰოდა, ის მინდოდა მეთქვა, "არილი" მომხვდა ხელში. ლიტერატურული ჟურნალია. უგულოდ გადავფურცლე და გადმოვფურცლე. შუაში ისევ ქალი შემრჩა ხელში. გვარ-სახელით. ზემოდანაც კოხტად აწერია სათაური, დანარჩენ გვერდებზე კი - "პროზა".

ცუდ გუნებაზე ვარ და ბარემ სულ გავიფუჭებ-მეთქი.

ერთი სტრიქონი წავიკითხე, მეორე. ისე რა, ნელა, ტაატით მიდის საქმე. ახლა ოცდამეერთე საუკუნეა, ცოტა ტემპშია-მეთქი წერა საჭირო. სამი გვერდი და მორჩა, აღარავინ წაგიკითხავს.

ჩავყევი. საქმე მაინც არა მაქვს და ეს დედაკაცი, მწერალზე ვამბობ, არც ფულსა მთხოვს და არც მაინცდამაინც მაძალებს, გინდა თუ არა, წამიკითხეო.

რაც იქნება, იქნება, წაგიკითხავ. წაგიკითხავ, მაგრამ რომ არ მომეწონები, მერე შენს თავს დააბრალე: ამისთვის დავითხარე თვალები-მეთქი?

ერთი კარგი მოთხრობა აქვს ნუგზარ შატაიძეს. აფხაზეთზე. მთლად აფხაზეთზე არა, მაგრამ მაინც. ესეც სამაჩაბლოზეა. სათაურშივე უზის "კონფლიქტის ზონა".

ეგეთია ეს ოხერი თემა. გინდა, არ გინდა, გაინტერესებს. ვერაფერს იზამ.

ერთი კაი მოთხრობა უკვე ვიცი აფხაზეთზე, ახლა სამაჩაბლოს ჯერია.

არა, რა კონფლიქტოლოგი. ეგ რა ჩემი საქმეა. აი, ამ დედაკაცის მოთხრობას წავიკითხავ და...

ბიჭოს! მეხუთე სტრიქონიც უკან ჩამოვიტოვე. მერე აბზაცს აბზაცი მივაყოლე და თავში დავბრუნდი. სათაურიც ხელახლა გადავიკითხე და იმ დედაკაცის გვარ-სახელიც. მოთხრობას "ბოსტანი კონფლიქტის ზონაში" ჰქვია, მწერალს - თამრი ფხაკაძე.

აი, მიწას რომ დაუწყო ლაპარაკი რობიზონამ, კაი გოგო ხარ-მეთქი. პირველი კომპლიმენტი, არა, რა კომპლიმენტი, მინდოდა მეთქვა, პირველად მაშინ დამბურძგლა-მეთქი.

ახლა თქვენ გგონიათ, დავდგები და მოვყვები, რა და როგორ წერია ამ მოთხრობაში?

აკი გითხარით, ლიტერატურისმცოდნე არა ვარ, არც კრიტიკოსი.

კიდევ მაშინ დამბურძგლა, სროლა რომ ატყდა და რობიზონა თავის მიწას გადაეფარა: ნუ გეშინია... აქა ვარ... ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. ისე დაგიცავ, გაგიკვირდესო.

ამას ბაბულია-სამოვართან დიალოგი თუ მონოლოგი მოჰყვა. ჯიგარი ხარ-მეთქი. ესა, დაბურძგვლის მაგივრად, ავტორს მივმართე დაუსწრებლად.

მერე შენ, ჩემო თამარ, შენ და შენს გმირს რობიზონას ერთად გესიზმრათ შენი ყოფილი სახლი და მოჭრილი კაკალი. თქვენი დიდი პაპის დარგული კაკალი შუაგულ ბოსტანში ამოსულიყო.

ჰო, სიხარულისგან, რა თქმა უნდა, გაიცინებდი, ატირდებოდი კიდეც. ვინ არ ატირდებოდა რო...

აი, ოფლმაც დამასხა...

# როდესაც მუსიკა ცოდნასა და დახვეწილ გემოვნებას მოითხოვს

ვერა ნეფარიძე

*ჩვენთან რომ წესიერი მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიები იმართებოდეს, სადაც დასავლურის ანალოგიით, იარსებებდა ტრადიციული წლის დებიუტანტის ნომინაცია, დარწმუნებული ვარ, წლევანდელი ნომინაციის ლიდერი "სინათლის წელიწადი" იქნებოდა; ჯგუფი, რომელიც 2004 წელს გამოჩნდა სცენაზე, მოახერხა სამი ცოცხალი კონცერტის (დღემდე) გამართვა, პირველი ალბომის გამოშვებაც და მსმენელის გარკვეული წრის შეძენაც. წლის საუკეთესო დებიუტანტების სტატუსს "სინათლის წელიწადს" დაუფიქრებლად ახლაც მივანიჭებ, მით უმეტეს, რომ ამჟამად ჯგუფი მსმენელთან მორიგი საკონცერტო შეხვედრის სამზადისშია.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამი კონცერტი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდულ კოლექტივს - "სინათლის წელიწადი" გულშემატკივრები შეეძინა. მათ გარეშე ხომ დებიუტანტებისთვის, არც კონცერტების ორგანიზება იქნებოდა იოლი და არც ალბომის ჩაწერა. "გზა ცისკენ" (ალბომის სახელწოდებაა) სულ რამდენიმე დღის წინათ გამოჩნდა მუსიკალური მაღაზიების თაროებზე. ხოლო, მისი საკონცერტო ვერსია კლუბ "ნოა ნოაში" წარმოადგინა ჯგუფმა.

კონცერტი კარგი გამოვიდა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო კლუბში ამ კონცერტისთვის შექმნილი ჟღერადობა, რაზეც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ორ პროფესიონალს - თემურ ნიკოლაიშვილსა და დავით ოძელაშვილს უმუშავია. მით უმეტეს, სასიამოვნო იყო ეს ყველაფერი, როდესაც სცენაზე დებიუტანტები იდგნენ. მართალია, მანამდე "სინათლის წელიწადი" მერიაში მოვისმინეთ პირველად, მაგრამ ჯერ ერთი, მერია არ არის მუსიკალური სცენა და აქედან გამომდინარე, კონცერტი ფართო მუსიკალური წრეებისთვის შეუმჩნეველი დარჩა; თანაც, ვინც დაესწრო, ვერც ჯგუფზე და ვერც მუსიკაზე ზუსტი წარმოდგენა ვერ შეექმნებოდა, რადგანაც ჟღერადობა არ ვარგოდა. "ნოა ნოაში" კი ყველაფერი გასაგები იყო. მათ შორის ისიც, თუ რატომ შეიძლებოდა ჰქონოდათ ჯგუფის წევრებს გარკვეული შემოქმედებითი პრეტენზიები. მე პირადად, თბილისში ბევრი ახალგაზრული ჯგუფი არ მეგულება, სადაც მისი წევრებისთვის მთავარი შემოქმედებითი ძიებებია, რაც კარგად ჩანს მათსავე მუსიკაში. მით უმეტეს, ბევრი არ მეგულება ახალგაზრდა მუსიკოსი, ვინც დაჟინებით იტყვის: შევეცდებით, კომერცია ვამუშაოთ ჩვენზე. ფაქტია, რომ ჯერჯერობით მათ ეს გამოსდით. ჯგუფის ლიდერი გიგი გეგელაშვილი სპონსორების დამსახურებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ჯგუფს ასაკისა და გამოცდილების მიუხედავად, ბევრი გულშემატკივარი ჰყავს.

ის, რომ "სინათლის წელიწადს" არ უჭირს კონცერტების გამართვა და ვილაცები მზად არიან ჯგუფს მის ორგანიზებაში დაეხმარონ; ის, რომ ახალგაზრდა მუსიკოსებს არ უძველდებათ მასალა და შეუძლიათ დროულად გამოუშვან ალბომი; ის, რომ "სინათლის წელიწადს" სთავაზობენ მათი კონცერტის გადაღების ექსკლუზივს, მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან სეიშენს (კონკრეტული გეგმების შესახებ ამ ეტაპზე ჯგუფის წევრები არ საუბრობენ გასაგები მიზეზების გამო) და ის, რომ ჯგუფს საზღვარგარეთ მოღვაწეობის დაწყებასაც სთავაზობენ, - არაა გასაკვირი. თანამედროვე ქართული სცენის სიჭრელის ("ვარსკვლავთა" რაოდენობით), დომინანტი უგემოვნო პროდუქციის მიუხედავად, არაა რთული გამოსაცნობი, სად არის შემოქმედებითი და სად მატერიალური ძიებანი; პირიქით, ასეთ ვითარებაში უფრო იოლიცაა ღირებულის (მით უმეტეს, როდესაც მათი რაოდენობა ცოტაა) ამოცნობა. ამ ეტაპზე "სინათლის წელიწადზე" აღმატებული ტონით საუბარი, შესაძლოა, ზედმეტიც იყოს, რადგანაც ჯგუფი სულ რამდენიმე თვეა, რაც წარდგა ჩვენ წინაშე, მაგრამ გარკვეულ სიმპათიებს რომ იმსახურებს მსმენელისგან, ფაქტია. ვისაც არ სჯერა, შეუძლია, მოისმინოს ალბომი "გზა ცისკენ" და მოუწევს, აღიაროს, რა ხანია, არ მოუსმენია ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების შემოქმედებიდან მელოდიური, მუსიკალური ძიებებით სავსე ალბომი.

"გზა ცისკენ", წარმოდგენა ორ მოქმედებად, - ასე აწერია ალბომს, სადაც თოთხმეტი კომპოზიციაა გაერთიანებული. ალბომის რეცენზიას არ შევუდგები. ერთი კი ცხადია, რომ 14 კომპოზიციას შორის არტ-როკის მოყვარულიც იპოვის მისთვის მოსაწონს და მელოდიური როკის (ამ მხრივ, "ზღვის ვნება" განსაკუთრებულია, ჩემი აზრით) თაყვანისმცემელიც. მთლიანად ალბომი კი მათ მოეწონებათ, ვინც მუსიკის შექმნაში ცოდნასა და გემოვნებას ანიჭებს მნიშვნელობას. ალბათ, ამიტომაც შეაფასა ამგვარად ჯგუფის შემოქმედება პროდიუსერმა და რეჟისორმა მილტონ ევანსონმა: "ეს მსოფლიო დონის მუსიკაა, მისი შექმნა საკმაოდ ძნელია, რადგან ცოდნასა და დახვეწილ მუსიკალურ გემოვნებას მოითხოვს. მე მიხარია, რომ ასე კარგად იყენებთ თქვენი დიდებული ფოლკლორისა და კლასიკის ელემენტებს". თავად ჯგუფის ლიდერი "სინათლის წელიწადს" ყველაზე საინტერესოდ ახასიათებს: ეს არის თაობა, რომელსაც შეუძლია ოცდამეერთე საუკუნეში ახალი სიმღერების შექმნა.

ამჟამად ჯგუფი 14 ნოემბერს კლუბ "ნოა ნოაში" დაგეგმილ კონცერტზე მუშაობს. ჯგუფის პირველი ალბომის საკონცერტო ვერსია ამ ჯერზე წინამორბედისგან განსხვავებული იქნება. როგორც გიგი გეგელაშვილმა გვითხრა, კონცერტი ვიზუალურადაც და მუსიკალურადაც (კომპოზიციები არ შეცვლილა) განსხვავებული უნდა იყოს. "ნოა ნოაში" მუსიკოსები განგებ არაფერს შეასრულებენ ახალი ალბომიდან, რადგან მსმენელი ჯერ ძველს უნდა მიეჩვიოს. ახალი კი უკვე არსებობს. თუკი წინა ალბომში ოთარ ჭილაძის შემოქმედებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა, ახალ ნამუშევარში მუსიკოსები შეკრებენ დოგმებად ჩამოყალიბებულ ქართულ ფილოსოფიურ ნიმუშებს. პროექტში ჩაერთვება აკაპელა, სიმფონიური ორკესტრი, ასევე, მუსიკოსების დიდი სურვილია თანამშრომლობა ახალგაზრდა ქართველ პოეტებთან. "კონცეფციის თვალსაზრისით, პირველი ზოგადი იყო; მეორეში პირველს დავშლით და იქნება უფრო მიწიერი ალბომი. ეს იქნება პირველი ალბომის გაგრძელება, ასევე ორმოქმედებიანი და ასეც დავარქმევთ: "წიგნი მეორე", - ჯგუფის მეორე ალბომის შესახებ დეტალებს გვიმხელს გიგი გეგელაშვილი.

მათ კი, ვისაც სურს თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სცენაზე იშვიათი გამონათებები არ გამოეპაროს, გულწრფელად ვურჩევ, "ნოა ნოაში" დაგეგმილი კონცერტი არ გამოტოვოს.

# მზერა მომავლისკენ

ნია ნუცუბიძე

გალერეა "ჰობიმ" თავისი მორიგი კულტურული სეზონი განახლებულ დარბაზებში გამოფენით - "პლაკატი-2004"; ქაიროდან საქართველომდე: მზერა მომავლისკენ" - გახსნა.

გაეროს ეგიდით მოქმედი გამოფენის წინაპირობა საქართველოს ბავშვთა სახლების - "ბელურები" და "ბავშვთა სოფელი", სამხატვრო სასწავლებლების თუ კერძო სტუდიების მოსწავლეთა კონკურსში მონაწილეობა გახლდათ. 60 კონკურსანტს შორის, კომპეტენტურმა ჟიურიმ რუსუდან ფეტვიაშვილის, სამხატვრო აკადემიის პლაკატის სტუდიის ხელმძღვანელის თამაზ ვარვარიძის და პროფესორ ნოდარ სუმბაძის შემადგენლობით, 5 გამარჯვებული გამოავლინა, რომელთაც ნიუ იორკში ელით გამგზავრება საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

თუმცა, სანამ გამარჯვებულებს დავასახელებდეთ, ორი სიტყვით გიამბობთ ქაიროს ისტორიული კონფერენციის შესახებ, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა.

როგორც გამოფენის გახსნაზე გაეროს განვითარების პროგრამის კოორდინატორმა საქართველოში - ბატონმა ლანს კლარკმა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა - თამარ ხომასურიძემ აღნიშნეს, ქაიროს კონფერენცია 1995 წელს გაიხსნა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ მოსახლეობის ისტორიაში, და რამაც სრულიად ახლებური ხედვა შესძინა მსოფლიოს მოსახლეობის განვითარებას და მის სტრატეგიას.

სხვადასხვა თემატიკის გამოფენა-კონკურსები გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით, უკვე მეხუთე წელია, ტარდება. წლევანდელი კონკურსი, გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით, ქაიროს ისტორიული კონფერენციის ათი წლისთავს ეძღვნება.

პლაკატების თემატიკა საქართველოში შეეხება მოსახლეობისა და სიღარიბის, ქალთა უფლებებისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობის საკითხებს, დემოგრაფიულ ვითარებას და მოსახლეობის განვითარების პრობლემებს.

რაც შეეხება თავად ბავშვების მიერ ნათელ ფერებში შესრულებულ პლაკატებს, უტყუარი დასტურია იმისა, რომ მათი მზერა მომავლისაკენ სწორი მიმართულებითაა მიპყრობილი.

საქართველოს მთავრობის ყურადღება ამ პროექტის მიმართ გამოფენის გახსნაზე ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილის - ლევან ჯუღელის ყოფნით აღინიშნა.

მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილის მეირ გამოცხადებული გამარჯვებულები - 8 წლის ნია ჭელიძე, 10 წლის მარიამ ყარყარაშვილი, 14 წლის თემო გოგიჩაშვილი, რატი დოლიძე და ლელა ფანჯიკიძე მალე ნიუ იორკში გაემგზავრებიან.

გალერეა "ჰობის" დირექტორს ვანდა მუჯირს უახლოეს მომავალში მრავალი საინტერესო პროექტის განხორციელება და მასპინძლობა ელის - თექა, გობელენი, პერსონალური გამოფენები, "უხილავი წიგნის პოეტიკა" - აი, ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმ გამოფენებისა, რისი ხილვაც მალე შეგვეძლება.

"პლაკატი-2004; ქაიროდან საქართველომდე: მზერა მომავლისაკენ" ერთ კვირას გასტანს.

გამოხმაურება

# დაინახო წყვდიადი იქ, სადაც ნათელი იგულისხმება?!...

"და ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს..." (იოანე 1,5)

ნატო ამონაშვილი-თევზაძე

ჩვენ ვეხმაურებით ანსელმო პერის (იტალიელი სასულიერო პირის) გამოფენის განხილვას ან კიდევ... განქიქებას. სათაური ასეთია "იეზუიტი ბერის სულის წყვდიადი ეროვნულ გალერეაში" (27 ოქტომბრის "24 საათი") კონტექსტი კი შემდეგი - ბევრისთვის რატომღაც მიუღებელია, ეძიოს ან დაინახოს ნათელი იქ, სადაც თვითონ არ არის, იმ კონკრეტულ ადგილას თუ კონკრეტულ ცნობიერებაში, რომელიც მის სამყაროს არ წარმოადგენს. ცინიზმი, რომელიც ამ დროს შეფასების მთავარი კრიტერიუმი ხდება, ადვილად გათქმევინებს - "წყვდიადი კი ბატონო, სადაა ნათელი?"

რატომ ვერ ვხედავთ ნათელს იქ, სადაც მხატვარიც და მხატვრული მასალის გადაწყვეტაც ამას გულისხმობს? იქნებ იმიტომ, რომ ეს პადრე პერის შემოქმედებაა, ჩვენი "ეროვნული ცნობიერებისთვის" (სხვა ზედსართავს არ დავამატებთ, ეს მიხვედრილთათვის მიგვინდია) გარკვეულწილად უცხო სამყაროს წარმომადგენლის, რომელიც რატომღაც უპრობლემოდ მოხვედრილა **ეროვნულ გალერეაში** (რა აღმაშფოთებელია!), როდესაც ქართველი მხატვრები სიცოცხლეში ასეთ განსაკუთრებულ პატივს ძლივს ან ვერ ეღირსებიან (აი, სადამდე მივსულვართ!)

ჩვენ კი რატომღაც გვახსოვს ცოცხალი და ახალგაზრდა (!) და არცთუ გენიალობით გამორჩეული ქართველი მხატვრების გამოფენები აქ, ამ დარბაზში. გვერწმუნეთ, რომ ჩვენ არც იტალიის საელჩოს და არც კულტურისა და სპორტის სამინისტროს (რომელთა ხელშეწყობითაც გაიმართა იტალიელი მხატვრის გამოფენა) დაინტერესებულ პირს არ წარმოვადგენთ. მხოლოდ ის გაგვკვირვებია, ასე მტრულად რატომ უნდა აღიქმებოდეს კონტაქტი სხვა სამყაროსა თუ სხვა მენტალობიდან შენამდე მოსული შემოქმედის მიმართ?

თავს სრულიადაც არ ვდებთ ამ ნამუშევრების მაღალმხატვრულობის დამადასტურებელი ექსპერტის როლზე, მაგრამ ფაქტია - ამ ნახატებთან ბევრი შეჩერდა, მათ შორის, ბავშვებიც და ბევრმა სწორედაც ნათელი დაინახა იქ, სადაც ამას მხატვარი ხატავდა.

"სადაა ნათელი?" იქ, სადაც თეთრ-ყვითელი ლაქებია მუქ კოლორიტსა და მძიმე შესრულების მანერას შორის? ჰმ, ეს მეტსახელიც - ნძერმუ, ხომ ისე ჟღერს, რომ ქილიკს აადვილებს!

ცინიზმის ბრჭყალებშია მოქცეული ცნება - საკუთარი, სიტყვები - სიცხოველე და ვნება და კიდევ ბევრი რამ... ნამუშევრები, მხატვრობა, კათოლიკე ბერი და ა. შ. ხოლო ბრჭყალების გარეშე გვთავაზობენ შეფასებებს - განმეორებადი, თვითმიზანი, ლაქები, არაობიექტური თეორეტიკოსი, მასალად დარჩენილი მონასმი, რომელიც ფორმას ვერ აღწევს; არა მუქი, არამედ ბნელი ფერები; მოტივი, რომელიც ღლის დამთვალიერებელს, შეუსაბამობა ნამუშევრებსა და თავად მათ სათაურებს შორის... საკმარისია? "საწყალი" ნიკალას განმაქიქებლებსაც კი შეშურდებოდათ ასეთი ლექსიკა, ასეთი კასკადი უარყოფისა და უგულებელყოფის.

ლეიტმოტივი, ალბათ, ასეთია - პატარა ერის ღვარძლის თუ კომპლექსის გამოხატულება: ჩვენ ნიჭიერები, უფულოები, აი როგორი დაჩაგრულები ვართ, როდესაც სხვები - ფულიანები და უნიჭოები თვით ეროვნულ გალერეასაც კი ითვისებენ!

"ფანერაზე სქლად დადებული ზეთის საღებავი კი ის მასალაა, რომლითაც იეზუიტი ბერი საკუთარ ბნელ სამყაროს იგონებს" (!?).

რას ნიშნავს ეს? აგრერიგად გამაღიზიანებელი ფაქტორი ფანერის არსებობაა თუ სქლად დადებული საღებავის (ჩვენთან ხომ არც ერთია დეფიციტი და არც მეორე!); ანდა არანაკლებ აბსურდული ვერსია - იეზუიტი ბერი(!) რატომ უნდა იგონებდეს საკუთარ სამყაროს და ეს კიდევ არაფერია იმასთან, თუ რატომ უნდა გამოგვიფინოს ეს ყოველივე ჩვენს მშობლიურ, ეროვნულ გალერეაში? საერთოდაც რას ნიშნავს - იეზუიტი ბერის საკუთარი ბნელი სამყარო? ამგვარი პარამეტრებით ხომ უსასრულოდ შეგვიძლია განვაგრძოთ - დომინიკანელი ბერის შავბნელი სამყარო ანდა ბუდისტი ბერის უკუნეთური წარმოსახვა და ა. შ. სადამდე მიგვიყვანს ეს, ნუთუ ეროვნული გალერეის ბნელი ძალებისაგან დაცვამდე? სასაცილოა, აღმაშფოთებელი რომ არ იყოს, რადგანაც ამგვარი ტენდენციები საკმაოდ ხშირი და სერიოზული ხასიათისაა ჩვენს სოციუმში და, სწორედაც რომ, ქართული ცნობიერებისთვის უცხო და მიუღებელი.

თბილისელ დამთვალიერებელს თურმე აიძულებენ, "იქ, სადაც სიბნელეა, მის მიღმა კი, უბრალოდ, სიცარიელე" - ნათელი დაინახოს!

"ამაზე მსჯელობამ, შესაძლოა, შორს წაგვიყვანოს და პასუხიც ვერ გვაპოვნინოს" - აი, რაში ყოფილა საქმე, ეს უკვე კონკრეტული ფსიქიკის პრობლემები უნდა იყოს და ვშიშობთ, გარკვეულწილად ეროვნული ფსიქიკისაც. აკვიატებული ძიება რაღაცდაგვარი ნათელისა, რომელიც ყოველგვარი სინათლისთვის ეჭვით შეგვახედებს და მას სიბნელედ ან უკიდურეს შემთხვევაში - თეთრ ლაქად დაგვანახებს. და მაშინ იმასაც ვერ გავაცნობიერებთ, რომ ღია ფერის ლაქები ყველანაირ სურათში თეთრი და ყვითელი საღებავებია და სხვა არაფერი. "იეზუიტი ბერის" ნახატებში ამგვარი ფერის ლაქები ეროვნულ ცნობიერებაში დივერსიად მოგვეჩვენება, შემდეგ ამ სიბნელის სინათლედ მომწოდებლებს წინ აღვუდგებით, ამისთვის არაფერს დავიშურებთ და ეს, მართლაც, ისე შორს წაგვიყვანს,... (ჩვენმა და იეზუიტთა და სხვათა) უფალმა დაგვიფაროს ამისგან!

"რა აიძულებს სასულიერო მოღვაწეს, კათოლიკე ბერს დახატოს "პატრიოტი", რომელიც ნახევრად ფანტასმაგორიულ, არასასიამოვნო ცხოველს ჰგავს (იგივე პორტრეტზე ჩვენ რატომღაც სერიოზული დაფიქრება და დარდიც კი დავინახეთ), "ნათელი სამყარო" და "სამოთხე" - სადაც სრული ქაოსია (?) და პორტრეტები, რომელშიც ადამიანთა სახეები უსულო ნიღბებს ჰგვანან (?), და კიდევ ერთი, რატომაა ყველგან წყვდიადი?" ნახეთ, რა ხდება, როგორი პრობლემებია აღქმისა და გადმოცემის, და გაუთავებელი, ისტერიული ხედვა წყვდიადის... ჩვენ გვაღელვებს შემდეგი - რა აიძულებს ჟურნალისტს, ქალს წეროს ამგვარი რამ. პრესა ხომ დიდწილად აყალიბებს საზოგადოების ცნობიერებას, სჭირდება ვინმეს პრობლემათა ამგვარი ხედვით მოცული სოციუმი? და თუ სჭირდება, ასეთი მოყვარედ ძნელად თუ მოიაზრება.

"ასე თუ ისე, 3 ნოემბერს სურათების ეროვნულ გალერეაში ერთიცა და მეორეც (იგულისხმება - სიბნელე და სიცარიელე, ნ.ა.) დასრულდება." ასე ჟღერს სტატიის ეპილოგი. ვერაფერს იტყვი, დიდი ნუგეშია, ზოგიერთები კი ამის შემდგომ იეზუიტ ბერთა ნამუშევრებს დიდი სიფრთხილითა და იქნებ შიშითაც აუვლიან გვერდს და მიზანიც მიღწეული იქნება. მაგრამ ასეთი გზა ხომ არ მიდის ნათლისაკენ და მაშ რაღა საჭიროა ის?

# დაუდევარი სტილის დიზაინერი

თეონა ჯაფარიძე


იური ლობოდინის ფოტო

პირსაბანი იუგენდ სტილი.

მართალია, გუშინ საღამოს სპექტაკლის ნახვაც მინდოდა, რომელსაც მხოლოდ ერთხელ ითამაშებდნენ თბილისში მოსკოვის "მხატის" მსახიობები და რომლის დრამატურგიც ლაშა ბუღაძეა, საბოლოოდ მაინც გუგა კოტეტიშვილის გამოფენაზე ამოვყავი თავი. და მიუხედავად იმისა, რომ მოსკოველთა თამაშით (თანაც ქართველი ავტორის პიესით) განებივრებული არ ვარ, ხოლო გუგას ნამუშევრებს მშვენივრად ვიცნობ, როცა გამოფენაზე მივდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ კიდევ ბევრ ახალს აღმოვაჩენდი.

გამოფენა თბილისური გამოფენებისათვის უჩვეულო, გუგა კოტეტიშვილისათვის კი ჩვეულებრივ დროს - საღამოს 8 საათზე უნდა გახსნილიყო. დიზაინერი, რომელიც ცნობილია თავისი უსაზღვრო თავისუფლებით სხვადასხვა სტილების, მიმდინარეობებისა და თუნდაც მასალის მიმართ, თავისუფალია დროსა და დროის შეგრძნებაშიც, გუშინდელი ღამის გამოფენით ის "უცებ ჩამოღამებულ თბილისსა" და ამით დათრგუნულ, ადრიანად სახლებში შეყუჟულ თბილისელებს სტუმრად ეპატიჟებოდა. ეს ზუსტად ის დროა, როცა გასულ საუკუნეებში არისტოკრატია ერთმანეთს სახლებსა თუ სალონებში ჩაიზე იწვევდა და გუგა კოტეტიშვილის სტილიც ყოველთვის დროში (წარსულსა და მასთან ერთად თანამედროვეობაში) მოგზაურობის შეგრძნებებს იწვევს.

გალერეა TMS-ში მისულ დამთვალიერებელს ცოტა ლოდინიც დასჭირდა: - დიზაინერი ჯერ კიდევ გამოფენას აწყობდა. "ეს ხომ გუგაა" - ღიმილით აღნიშნავდა თითქმის ყველა და თითქმის ყველა აუღელვებლად ელოდებოდა გალერეის კარის გაღებას.

თითქმის დაუმთავრებელი ექსპოზიცია თვალშისაცემად ეფექტური და მდიდრული აღმოჩნდა: - სარკეები, შირმა, გრანდიოზული ბუფეტი, ძველებური სტილის პირსაბანი თანამედროვე ნიკელის კომფორტული ნიჟარითა და ონკანით, განჯინები, სკამები, სავარძლები, ნაქარგი თუ რკინაში ამოჭრილი უამრავი ორნამენტი, მინის მოხატული ბოთლები, ბოცები და აქა იქ თითქოს უწესრიგოდ მიყრილი ჭრელი ჩინური ქოლგები ისევ ხაზსს უსვამდა გუგას ცნობილ ეკლექტიკურ სტილს, რომელსაც, თუ ნებას მომცემდით, ახალ ტერმინს შემოვიღებდი და "**დაუდევარ**" სტილს დავარქმევდი. ოღონდ ამ დაუდევრობაში დიზაინერი ყოველთვის გარე თვალისათვის შეუმჩნეველ წესრიგსა და ზომიერებას მკაცრად იცავს და რასაც, საბოლოოდ, ჩვენ - დამთვალიერებელი **დახვეწილს** ვეძახით. მძიმე მეტალის მასალით ასეთი სიმსუბუქისა და გამჭვირვალობის მიღწევა, დამეთანხმებით მეტად რთული უნდა იყოს.

საბოლოოდ, გუგას ამ გამოფენით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დიზაინერმა წლების მანძილზე მიგნებულ შტრიხებს, მასალებსა და ხელწერის ნიუანსებს ერთიანი მიმართულება მისცა და საბოლოოდ "ჩამოყალიბდა", შეიძლება ითქვას, "გაიზარდა" კიდეც: "მართალია, თითქოს ყველაფერი რაღაც ერთი წესრიგით დალაგდა. ერთი შეხედვით, ყველაფერ ამას იუგენდ სტილიც ვუწოდოთ, მაგრამ არა ბოლომდე" -ამბობს თავად დიზაინერი. დაუმთავრებელ ექსპოზიციას კი ასე ხსნის: "ვერასოდეს ვერ ვასწრებ იმიტომ, რომ დაუსრულებლად რაიმეს ვამატებ."

გამოფენა TMS-ში ერთ კვირას გასტანს. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ამ ერთი კვირის მანძილზე კიდევ რამდენი ნიუანსი შეემატება მას, შესაძლოა, ახალი ნამუშევრებიც შეიქმნას. ყოველ შემთხვევაში, გალერეაში ამ ერთი კვირის მანძილზე, ალბათ, ყოველდღე ღირს სიარული, რადგან თქვენ იქ ყოველდღე ახალს აღმოაჩენთ. ეს ხომ "დაუდევარი სტილის" ყველაზე დიდი პლიუსია.

# ლენონის კერძის ნარჩენები ახალ ქვაბში, ოღონდ ცივად



სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ ლენონის მუსიკა ისევ აქტუალურია.

"ვაშინგტონ პოსტში" ამოკითხული ეს სათაური ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი აღმოჩნდა, რომელიც ახერხებს ყველაზე გაბეზრებული მკითხველის ყურადღების მიპყრობასაც კი. ამ სათაურის ქვეშ კი არანაკლებ საინტერესო ამბავია შეფუთული. როგორ გამოუშვეს ჯონ ლენონის ორი ცნობილი ალბომის რიმეიქი თავიდან და ღირდა თუ არა ამის გაკეთება.

საკითხი ასე ისმის: "ბითლზის" დაშლიდან 35 წლის და ჯონ ლენონის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ, მათი მუსიკა მაინც არ ცვდება. ეს კი გამოწვევასავით არის ხმის ჩამწერი კომპანია "ქეფითოლ რიქორდსისათვის", რომელიც თავს იმტვრევს იმაზე ფიქრით, თუ როგორ ააჟღეროს "ბითლზის" მუსიკა ახლებურად ისე, რომ, უბრალოდ, არ გააფუჭოს, არ გააუბრალოოს მათი დისკოგრაფია.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ჯონ ლენონთან მიმართებაში, რომლის სიმღერებსაც უკვე გადამღერებულზე მეტიც ეთქმის, მაგრამ მუსიკოსს მაინც არ ანებებენ თავს. ახალ სეზონზე ის ორი ახალი კრებულით Acoustic და Rock'n'Roll არის წარმოდგენილი.

მათგან პირველი საკუთარ თავს თვითონ ხსნის: როგორც სათაურიდანვე ვხვდებით, კომპაქტში გაერთიანებულია ლენონის პოსტ-"ბითლისეული" ეპოქის 16 სიმღერის აკუსტიკური ვერსია. მათგან შვიდი ოფიციალურად პირველად ჟღერს. ეს დისკი განსაკუთრებით მოეწონებათ ლენონი-"ბითლზის" კოლექციონერებს, ასევე, მუსიკოსებს, რომლებიც ახალ მასალას ეძებენ დასახელოვნებლად. თანხმლებ ბუკლეტში ხომ ტექსტი ნოტებთან ერთად არის მოცემული.

Acoustic-ში შესული ცნობილი სიმღერებია: Imagine (1971 წელს აპოლოს თეატრში ჩატარებული კონცერტის ვერსია), ასევე Working Class Hero, Cold, Turkey My Mummy's Dead და God - რომელშიც ლენონი 50-იანი წლების როკ-მელოდიას პოსტმოდერნისტული ნიჰილიზმით ავსებს და მღერის: "ღმერთი კონცეფციაა, რომლის მიხედვითაც საკუთარ ტკივილს ვზომავთ... არ მწამს ბიბლიის... არ მწამს ელვისის, არ მწამს დილანის, არ მწამს "ბითლზის"... მე, უბრალოდ, მწამს საკუთარი თავის, იოკოსი და საკუთარი თავის".

ამ ციტატის დასტურად ღირს ბადი ჰოლის სტილში გადამუშავებული Dear Yoko-ს მოსმენა, თუ ესეც არ კმარა - სიმღერებიც Love და Real Love იგივე აზრს ავითარებს და თან იმაზეც მეტყველებს, რომ პოლ მაკარტნი არ გახლდათ ერთადერთი "ბითლი", რომელიც გულუბრყვილო სენტიმენტალურ სასიყვარულო სიმღერებს წერდა... იმავე ალბომში საინტერესოდ ჟღერს სიმღერის Well Well Well ჰენდრიქსის სტილში გაკეთებული ვერსია, ასევე What You Got.

Rock'n'Roll კი 1975 წელს გამოშვებული ალბომის გადამუშავებული და რემიქსირებული დისკია. თუმცა, თავის დროზე ამ ალბომის შთაგონების წყარო არა მუსიკალური, არამედ უფრო სამართლებრივი მიზეზი ყოფილა:

1973 წელს ჩაკ ბერის აგენტი მორის ლევი ლენონს სასამართლოში საქმის აღძვრით დაემუქრა. ის ამტკიცებდა, რომ 1969 წლის ალბომში "ები როუდ" შესული სიმღერა Come Together ლენონმა ბერის 1956 წელს გამოსული ჩანაწერიდან You Can't Catch Me-დან მოიპარა. ეს სიმღერები, მართლაც, ჰგვანან ერთმანეთს, ორივე მათგანში ერთი და იგივე ფრაზაცაა შესული... ბოლოს გადაწყდა, რომ ლენონი ხელახლა ჩაწერდა ძველი სიმღერების კრებულს და მასში შეიტანდა სამ სიმღერას ლევის კატალოგიდან. მათ შორის უნდა ყოფილიყო სადავო სიმღერაც You Can't Catch Me.

ლენონმა პროდიუსერად ფილ სპექტორი დაიქირავა, რადგან სწორედ ის ჟღერადობა სჭირდებოდა, რითაც სპექტორი ასე იყო განთქმული და რაც "ბითლზს" ასე ძალიან არ მოსწონდა (მაკარტნიმ მოთმინებით იცადა, სანამ Let It Be-ის სპექტორის გავლენისგან დაცლილ ვერსიას გამოუშვებდა). მაგრამ, თანამშრომლობა ლენონსა და სპექტორს შორის არც ამჯერად შედგა. პროდიუსერი ისევ ძალიან შეიჭრა როლებში და როკერ ლენონს თავისი საორკესტრო ვარიაციებით თავი მოაბეზრა. ამ მიზეზის გამო, ლენონი იძულებული გახდა ალბომზე მუშაობა ორიოდე წლის შემდეგ, მარტოს დაესრულებინა. ძველი სიმღერების ჩაწერა დისკისთვის მან სულ ოთხ დღეში შეძლო და თანაც გაცილებით მცირერიცხოვანი ბენდით. Rock'n'Roll-ისთვის მუსიკოსმა ლითლ რიჩარდის Rip It Up, ბადი ჰოლის Peggy Sue და რიტმ-ენ-ბლუზის ისეთი სტანდარტები ჩაწერა, როგორიცაა Stand By Me და Do You Wanna Dance.

Rock'n'Roll-ის ახალ ვერსიაში კი, ორიგინალისგან განსხვავებით, ოთხი დამატებითი სიმღერაა შესული. მათგან სამი პირველად 1986 წელს გამოსულ სადავო ალბომში Menlove Ave გაჟღერდა.

ლენონის ამ ახალ ქვაბში გადატანილი, მაგრამ გაუცხელებელი კერძის ნარჩენებისას ვერაფერს გეტყვით. მსმენელი მას, ალბათ, მაინც გამოუჩნდება. თუმცა, მომავალ კვირაში "ქეფითოლ რიქორდსი" მსმენელის აღფრთოვანებას უკვე ყოველ მიზეზ გარეშე შეძლებს. ამას ხმის ჩამწერი კომპანია მოახერხებს ერთი ოთხდისკიანი კოლოფით - The Beatles: the Capitol Albums Vol. რომელშიც შედის ის კრებულები, რითაც 1964-ში ამერიკაში "ბითლომანია" დაიწყო: Meet the Beatles, The Beatles Second Album, Something New და Beatles'65.

ეს იქნება უნიკალური კრებული იმ მხრივაც, რომ მსმენელს ბოლო წლებში პირველად შეეძლება "ბითლზის" იმ პირვანდელი ფორმით მოსმენა და განცდა, როგორც მას 60-იან წლებში უსმენდნენ - ყოველგვარი რემიქსებისა და შეცხელების გარეშე.

ამ ოთხდისკიან კოლოფს ბევრი საინტერესო თვალსაჩინოებაც ახლავს. თითოეულ კომპაქტს მოჰყვება ორიგინალის მსგავსი გარეკანი და 48-გვერდიანი ბუკლეტი იმ პერიოდის ფოტოებით, საგაზეთო ამონაჭრებით და ჩარტების მონაცემებით სავსე.

მოკლედ, მას არც გაცხელება სჭირდება და, აქედან გამომდინარე, არც "ბითლზის" მთავარი კერძის ნარჩენობის განცდას ტოვებს. ამ კოლოფში ყველაფერი ნამდვილია და ძვირფასი. მისი ფასი ამაზონ.ქომ-ში 60 დოლარია, გამოსვლის თარიღად კი 16 ნოემბერი სახელდება. მართლაც, შესანიშნავი ჩანაფიქრია "ბითლზის" შემოსევის 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

პაულო კოელიოს სვეტი

# შეხვედრა დენცუს გალერეაში



ერთხელ, ტოკიოს სასტუმროში სამმა ბრწყინვალედ ჩაცმულმა ჯენტლმენმა მომაკითხა.

"გუშინ დენცუს გალერეაში თქვენ ლექცია წაიკითხეთ", - მომმართა ერთ-ერთმა, - "მე შემთხვევით შემოვიარე და დარბაზში ზუსტად იმ დროს შემოვედი, როცა ამბობდით, რომ არც ერთი შეხვედრა დედამიწის ზურგზე შემთხვევითი არ არის. ამიტომ, ვიფიქრე, რომ უნდა გაგცნობოდით".

არც მიკითხავს, საიდან გაიგეს, თუ რომელ სასტუმროში ვცხოვრობდი. საერთოდ არაფერი არ ვკითხე, რადგან ადამიანები, რომლებიც ასეთ ტრივიალურ სირთულეებს უსიტყვოდ სძლევენ ხოლმე, ჩვენს პატივისცემას უნდა იმსახურებდნენ.

შემდეგ ერთ-ერთმა სტუმართაგანმა იაპონურ ენაზე ხელით დაწერილი რამდენიმე წიგნი გადმომცა. ჩემი თარჯიმანი გამოცემების დანახვაზე აღფრთოვანდა. გაირკვა, რომ უცნობი ჯენტლმენი გახლდათ კაზუჰიტო აიდა, დიდი იაპონელი პოეტის შვილი. სამწუხაროდ, მე მის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდი.

და ახლა მხოლოდ მოვლენათა სინქრონულობის საოცრებას უნდა ვუმადლოდე იმას, რომ ერთდროულად მომეცა რამდენიმე შანსი: თვითონაც გავცნობოდი და წამეკითხა და ჩემი სვეტის მკითხველისთვისაც გამეზიარებინა მიცუო აიდას (1924-1998) - პოეტისა და კალიგრაფის - უმშვენიერესი პოეზია. ლექსები, რომლებიც პირველყოფილი უბრალოების მნიშვნელობაზე გვიამბობენ.

...

გამომხმარ, ფერგადასულ ბალახსაც აქვს თავისი ხიბლი,
გამვლელებს ჯერაც რჩებათ მასზე თვალი,
რადგან სიცოცხლე ამ ბალახმა სავსედ განვლო.
ყვავილებიც ყვავილობენ, უბრალოდ, თავისთვის.
იმიტომ, რომ ამისთვის გაჩნდნენ,
ეს მათი ორგანული ფუნქციაა.
თეთრი ლილია უპრეტენზიოდ, მაგრამ თვალწარმტაცად იშლება მდელოზე,
იშლება, ატკბობს თვალს, მაგრამ არავისთან არ არის ვალდებული,
საკუთარი არსებობა ახსნას და ამტკიცოს;
ის არსებობს სილამაზისთვის. ასე მარტივად და იოლად.
მაგრამ ადამიანი ამ სიმარტივეს და ამ უბრალოებას ვერ იღებს.
ადამიანს მეტი სჭირდება.

...

პომიდორს რომ ოდესმე მოენდომებინა, გამხდარიყო საზამთრო,
საშინელი სანახავი იქნებოდა.
ყოველთვის მაოცებენ ხოლმე ადამიანები,
როცა იმ კაცის როლს თამაშობენ, რომელიც მათი ხასიათიდან ძალიან შორს დგას;
რატომ უნდა გსურდეს, ხელოვნურად შეთითხნილი იყო?

...

არ არის საჭირო, თავი ყოველთვის ისე მოაჩვენო ადამიანებს, თითქოს, ძლიერი ხარ,
არ არის საჭირო, ყოველთვის ამტკიცო, რომ ცხოვრება შესანიშნავად მიდის,
არ უნდა იდარდო იმაზე, თუ სხვები რას იფიქრებენ შენს საქციელზე,
იტირე, თუ ასე გინდა,
ხანდახან ისიც კარგია, როცა ცრემლად იღვრები
(რადგან ამ დროს ინკურნები.
რადგან მხოლოდ გულიანად ტირილის შემდეგ შეძლებ სავსე გულით გაღიმებას).

...

ხანდახან ტელევიზორში ვუყურებ ხოლმე, როგორი დიდი ამბით აწყობენ ახალი გვირაბებისა და ხიდების პრეზენტაციებს. როგორც წესი, ასეთი ტიპის ღონისძიებებზე უამრავი ვარსკვლავი და პოლიტიკოსი იყრის ხოლმე თავს, შუაში კი აუცილებლად დგას მინისტრი ან გუბერნატორი მედიდური სახით და მიღწევებზე ამაყად ლაპარაკობს. შემდეგ ჭრიან წითელ ლენტს, ზეიმობენ, იღიმებიან, იშლებიან, პროექტის ხელმძღვანელები უბრუნდებიან თავ-თავიანთ ოფისებს და საწერ მაგიდაზე მადლიერებითა და აღტაცებით სავსე უამრავი წერილი ხვდებათ.

სამაგიეროდ, არსად ჩანან ადამიანები, რომელთაც ოფლი დაღვარეს, წერაქვებითა და ნიჩბებით აკეთეს საქმე, მუხლჩაუხრელად იშრომეს ზაფხულის სიცხესა და ზამთრის სუსხში. ეს ადამიანები არსად ჩანან; ისინი კი, რომელთაც პური და დიდება ოფლის დაუღვრელად მოიმკეს, ყოველთვის წინ დგანან, თვალებში გვეფეთებიან, ფეხებში გვებლანდებიან.

მე კი მინდა უბრალო სახეებს ვუყურო; მათ, რომლებიც არ ეძებენ სახელსა და დიდებას, რომლებიც ცხოვრებისგან დაკისრებულ როლს პირნათლად, მაგრამ ჩუმად, უპრეტენზიოდ ასრულებენ და ასე იქცევიან იმიტომ, რომ სულში პირვანდელი სისადავის შენარჩუნება შეძლეს; იმიტომ, რომ კარგად იციან თავიანთი როლი და სხვათაგან კვერის დაკვრასა და აპლოდისმენტებს აღარ დაეძებენ.

მე ეს ძალიან მინდა იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ადამიანები, ყველაზე ძლიერები, რომელთაც ცხოვრება წინ მიჰყავთ, სწორედ ისინი არიან. ადამიანები, რომლებიც სახეებს მალავენ.

*პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

www.pfl.ge

ფეხბურთი

# "დინამომ" ნავსი გატეხა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-14 ტურის დასკვნითი, მეხუთე შეხვედრა, გასაგები მიზეზების გამო, გუშინ გაიმართა. ამ თამაშის ერთ-ერთ მონაწილემ, თბილისის "დინამომ", გასულ ხუთშაბათს უეფას თასის გასვლითი მატჩი გამართა "ნიუკასლ იუნაიტედთან" და პარასკევს დაბრუნდა სამშობლოში. ასეთი მძიმე თამაშისა და მომქანცველი მგზავრობიდან ორ დღეში გუნდი ვერ მოახერხებდა ეროვნულ ჩემპიონატში ჩართვას. საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ვითარება და "დინამოს" მატჩი, დანარჩენი თამაშებისგან განსხვავებით, ერთი დღის დაგვიანებით დანიშნა.

"დინამოსთვის" საბედნიეროდ, გუშინ მისი მეტოქე არ იყო იმ დონის გუნდი, რომ გეგუჩაძის თუნდაც გადაღლილი შეგირდებისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია. მართალია, "ზესტაფონში" სერიოზული რეფორმები იგეგმება, რომლის განხორციელებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯიც გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის, თემურ მახარაძის დანიშვნა იყო, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი "დინამოსთვის" სათანადო წინააღმდეგობის გასაწევად. მახარაძის ხელმძღვანელობით ზესტაფონელებმა ორი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარეს (საშინაო ფრე "ტორპედოსთან" და სტუმრად გამარჯვება "ლოკომოტივთან"), მაგრამ, როგორც ჩანს, "ახალი ცოცხის" პრინციპმა მხოლოდ ამ ორ თამაშში იმუშავა. ამის შემდეგ "ზესტაფონი" ჯერ ფოთში დამარცხდა ადგილობრივ "კოლხეთთან", გუშინ კი საკუთარი მოედანიც უქულოდ დატოვა.

თუმცა, მეორე მხრივ, "დინამოსაც" არ ჰქონდა უკან დასახევი გზა. ორ ფრონტზე - ეროვნულ ჩემპიონატში და უეფას თასზე ასპარეზობამ გუნდს მცირე კრიზისიც კი შეუქმნა. უეფას თასზე ორიდან ორი მარცხი, ხოლო ამ პერიოდში ეროვნულ ჩემპიონატში ხუთი თამაშიდან ოთხი წაგება! ასეთი უარყოფითი შედეგი "დინამოს" გულშემატკივარს ნამდვილად არ ახსოვს. შესაბამისად, უიღბლო სერიის შესაწყვეტად, გეგუჩაძემ "ზესტაფონს" მის ხელთ არსებული საუკეთესო ძალები დაუპირისპირა, რაშიც დარწმუნდებით, როდესაც "დინამოს" გუშინდელ შემადგენლობას გაეცნობით: ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, ალადაშვილი, კანკავა, ხმალაძე (კანდელაკი), გონჩაროვი (კაკალაძე), დვალი (მახარაძე).

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ ადეკვატური შედეგი გამოიღო. "ზესტაფონმა" საკუთარი კარის "მშრალად" შენახვა მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულამდე შეძლო. 38-ე წუთზე კი ჯაბა დვალმა მასპინძლებს პირველი გოლი გაუტანა, რასაც მეორე ტაიმში, 68-ე წუთზე, მეორე გოლიც მიაყოლა და თავის გუნდს სოლიდური უპირატესობით გაამარჯვებინა. "დინამოს" გოლის გატანის სხვა შანსიც არაერთხელ მიეცა, თუმცა, ხსენებული ორი გოლი იკმარა. თავის მხრივ, "ზესტაფონი" ამ შეხვედრაში ძალზე ინერტული იყო. მახარაძის შეგირდები ზოიძის კარს სერიოზულად ერთხელაც არ დამუქრებიან.

"მიუხედავად იმისა, რომ გუნდი "ნიუკასლ იუნაიტედთან" თამაშით და 8-საათიანი მგზავრობით გადაღლილი იყო, მოვნახეთ ძალები და მეტოქე დავამარცხეთ, რითაც უიღბლო მატჩების სერია შევწყვიტეთ. კმაყოფილი ვარ მატჩის შედეგით და, ნაწილობრივ, თამაშის ხარისხითაც. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ჩემპიონატში ვითარება ძალზე იძაბება და იმ მიზნების მისაღწევად, რაც სეზონის დასაწყისში დავისახეთ, გაცილებით უნდა მოვუმატოთ", - განაცხადა მატჩის შემდეგ გია გეგუჩაძემ.

ამ გამარჯვების წყალობით, "დინამოს" 29 ქულა დაუგროვდა, ერთი დღით გადასწრებულ "ტორპედოს" წამოეწია და სატურნირო ცხრილში ისევ ორხელისუფლებიანობაა. რაც შეეხება "ზესტაფონს", მას 10 ქულა დარჩა და ისევ ბოლოსწინა ადგილს ხეხავს.



*გადაღლილმა "დინამომ" ზესტაფონი 2:0 დაამარცხა.*

**მდგომარეობა**
**14 ტურის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 14 | 9 | 2 | 3 | 30-16 | 29 |
| ტორპედო | 14 | 8 | 5 | 1 | 21-8 | 29 |
| თბილისი | 14 | 8 | 3 | 3 | 31-17 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 3 | 5 | 26-19 | 24 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 6 | 2 | 20-8 | 24 |
| დინამო (ბთ) | 14 | 6 | 6 | 4 | 21-12 | 22 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 2 | 9 | 10-24 | 11 |
| სიონი | 14 | 3 | 2 | 9 | 13-30 | 11 |
| ზესტაფონი | 14 | 3 | 1 | 10 | 9-32 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11-26 | 8 |

# კაცი, რომელმაც კოლოსკოვის ბატონობას ბოლო მოუღო

## ინტერვიუ ვიაჩესლავ ფეტისოვთან

*რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს კრიტიკა და მოწინააღმდეგეები არასოდეს აკლდა, თუმცა რუსეთში ვერავის წარმოედგინა, რომ კოლოსკოვი ოდესმე დატოვებდა თავის პოსტს. სწორედ ამიტომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის გადადგომა უკანასკნელი კვირის ყველაზე დიდი სენსაცია აღმოჩნდა რუსეთში. კაცი, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში სათავეში ედგა რუსულ ფეხბურთს, დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. ეს სენსაციური ინფორმაცია პირველად რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ფეტისოვმა გაახმაურა. სწორედ ფეტისოვი იყო კოლოსკოვის გათავისუფლების მთავარი ინიციატორი. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ფეტისოვმა გაზეთ* Известия*-ს მისცა.*

**- კოლოსკოვის გადადგომის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით თქვენ ნამდვილ გმირად იქეცით. ელოდით ასეთ რეაქციას?**

- ცხადია, ამ ამბავმა დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაშიც და სამთავრობო კორიდორებშიც. მე გმირად ვიქეცი. ადამიანები მემადლიერებიან, მეკითხებიან, ნუთუ ეს მართლა მოხდაო. აბა, ასე შეიძლებოდა?

**- ჩვენს ერთ-ერთ ინტერვიუში კოლოსკოვი ჩიოდა, რომ თქვენი მოლაპარაკებები პირად ხასიათს ატარებდა და ისინი საჯარო განხილვისთვის არ იყო განკუთვნილი...**

- ამ განცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე კოლოსკოვს ტელეფონით ვესაუბრე. გავაფრთხილე, რომ მისი გადადგომის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებას ვაპირებდი.

**- მაინც რატომ იჩქარეთ?**

- არ მიჩქარია. ეს საკითხი ბევრად უფრო ადრე უნდა გადაგვეწყვიტა. მაგრამ ჩვენ ყოველგვარი ემოციების გარეშე გავაანალიზეთ არსებული სიტუაცია. ესტონეთთან მატჩამდე საკმარისი დროა დარჩენილი, რათა ამ შეხვედრაში შესაძლო წარმატებით ვინმე წარსული ცოდვების მიჩქმალვას არ შეეცადოს.

**- კოლოსკოვის გადაყენებას ადრე არ ცდილობდით?**

- მე გამუდმებით ვეუბნებოდი მას, რომ უნდა წასულიყო. როგორც იცით, უკვე დიდი ხანია, სიტუაცია კრიტიკულია. მაგრამ სპორტში ყოველთვის დგება კულმინაციური მომენტი, როდესაც გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. ასეთი მომენტი პორტუგალიასთან მატჩში წაგება (1:7) აღმოჩნდა. თავად ვიაჩესლავ ივანოვიჩს უჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მე დავარწმუნე. ის გონიერი ადამიანია და ხვდება, თუ რაოდენ დიდია საზოგადოების უკმაყოფილება.

**- ამასობაში კოლოსკოვი აცხადებს, რომ 2005 წლის შემოდგომამდე თანამდებობის დატოვებას არ აპირებდა...**

- ჩვენთან ისეთი სისტემა ჩამოყალიბდა, რომ სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი ერთდროულად ღმერთიც არის, მეფეც და მხედართმთავარიც. მას ვერავინ ვერაფერს ეტყვის, მათ შორის, ვერც საზოგადოება. ის დელეგატები, რომლებიც ჩვენთან ფედერაციის პრეზიდენტებს ირჩევენ, არიან ადამიანები, რომლებიც არჩევნების შედეგებით ძალიან არიან დაინტერესებული. მათ გარდაქმნების ეშინიათ.

**- FIFA-ს მხრიდან შესაძლო სანქციების არ გეშინიათ? ამ ორგანიზაციას არ უყვარს, როდესაც მისი ფედერაციების საქმეებში მთავრობა ერევა.**

- საერთოდ, ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ: ან ყველა, ვისაც არ ეზარება, გვასწავლის ჭკუას, ანდა ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც ჩვენს სპორტს წაადგება. ვფიქრობ, საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებსაც არა აქვთ ჩვენს შიდა საქმეებში ჩარევის უფლება. თანაც, ფედერაციები, რომელთა სათავეში არაფრის მაქნისი ხელმძღვანელები დგანან, არც ამ ორგანიზაციებს უნდა სჭირდებოდეთ. ჩვენი მხრიდან, კოლოსკოვზე არავითარი ზეწოლა არ განხორციელებულა. ის გადადგომაზე დაგვთანხმდა, თანაც, არავითარი პირობები არ წამოუყენებია შესაძლო მემკვიდრესთან დაკავშირებით. მას FIFA-დან და UEFA-დან არავინ აგდებს. მას მშვიდად შეუძლია ამ ორგანიზაციებში მოღვაწეობის გაგრძელება რუსული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

**- კოლოსკოვის თანამოაზრეები ამბობენ, რომ სპონსორული თვალსაზრისით ფეხბურთი მან ძალიან მიმზიდველი გახადა...**

- ამ საკითხში ფედერაციის პრეზიდენტის დამსახურებაზე საუბრისგან თავს შევიკავებდი. ფეხბურთი რომ ვიაჩესლავ ივანოვიჩს გამოეგონებინა, ალბათ, ყველა ვიტყოდით, რომ ის გენიალური ადამიანია. მაგრამ ფეხბურთი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული სახეობაა და მაშინვე, როდესაც ქვეყანაში ფული გაჩნდა, გამოჩნდნენ ადამიანებიც, რომელთაც საფეხბურთო კლუბის სახით სათამაშოს ქონა მოისურვეს. ფედერაცია კი, ძირითადად, ნაკრები გუნდებით არის დაკავებული.

**- ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში კოლოსკოვმა განაცხადა, რომ თანამდებობიდან გადადგომის აუცილებლობაში მისი დარწმუნებისას თქვენ რუსეთის პრეზიდენტს ახსენებდით...**

- როგორც ვხვდები, კოლოსკოვს საკუთარი სტატუსის ამაღლება სურს, თითქოს თავად პუტინი წყვეტს მის ბედს. იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს რუსეთის პრეზიდენტი პორტუგალიასთან მატჩის შედეგზე, ყველამ შეიტყო პრესიდან. კოლოსკოვთან საუბრისას მე არავის გვარს და ტიტულს არ ამოვფარებივარ, მე მას საკუთარი სახელით ველაპარაკებოდი.

**- კოლოსკოვის გადადგომასთან დაკავშირებით რუსეთის საფეხბურთო კავშირის მომავალი პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატურები განიხილება. თქვენი აზრით, ვინ უნდა მართოს სპორტული ფედერაციები - პოლიტიკოსებმა, ბიზნესმენებმა თუ კლერკებმა?**

- ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი. მთავარია, მან პრობლემების მოგვარება შეძლოს. მაგალითად, ოლიგარქი ვლადიმირ ლისინი სროლის ფედერაციას ჩაუდგა სათავეში და მათი საქმეები სულ სხვაგვარად წავიდა.

**- ამბობენ, რომ კოლოსკოვის მემკვიდრე, შესაძლოა, ბორის გრიზლოვი ან რომან აბრამოვიჩი გახდეს. მათი გეგმების შესახებ ხომ არაფერი იცით?**

- მოდი, ამ ხალხს მივცეთ საშუალება, თავად გადაწყვიტონ, იყარონ თუ არა კენჭი არჩევნებში. ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელიც სისტემის აშენებას მოახერხებს, რომელიც მთელ ამ სპეციფიკაში ერკვევა. მაგალითად, როგორ უნდა ებრძოლოს ჩაწყობილ მატჩებს...

**- თქვენ გაქვთ რაიმე რეცეპტი?**

- არა. იმიტომ, რომ მე არასოდეს მიმიღია მონაწილეობა მსგავს თამაშებში, მიუხედავად იმისა, რომ 1800-ზე მეტი მატჩი მაქვს ნათამაშები. შესაძლოა, ფეხბურთში, მართლაც, არსებობდა გარკვეული სქემა, რომლის მიხედვითაც გუნდები ერთმანეთს ქულებს ჩუქნიდნენ, გასული სეზონის "ვალი" ჰქონდათ და ასე შემდეგ. მაგრამ მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ მე, ახალგაზრდა ბიჭი, ტალანტითა და ამბიციებით, მივდივარ გუნდში, ვემზადები მატჩისთვის, რომელსაც ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად მივიჩნევ და ამ დროს ჩემთან მოდიან ხარლამოვი, პეტროვი, მიხაილოვი, ტრეტიაკი და მეუბნებიან: "შვილო, დღეს მაინცდამაინც ნუ ირბენ, დღეს უნდა წავაგოთ, რადგან შარშანდელი ვალი გვაქვს". სისულელეა. "აცსკ"-"ჩელსის" შორის მატჩის წინ ყველა ამბობდა, "აბრამოვიჩი არმიელებს სამ ქულას აჩუქებსო". მე კი ვფიქრობდი: იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ამის გაკეთება სურს, საინტერესოა, რას იზამს, მივა მწვრთნელთან და ეტყვის, რომ "აცსკ"-ს სამი ქულა აჩუქეო? არ მჯერა, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.



*ფეტისოვმა კოლოსკოვი დაარწმუნა გადამდგარიყო.*

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



ფეხბურთი

# ერთი ნაბიჯი უკან, ორი - წინ

ნინო ტიკარაძე

*რუმინელ დევიდ ბექჰემს, როგორც მას რუმინეთში მისი თაყვანისმცემლები ეძახიან, იგივე ადრიან მუტუს, რომელსაც პირველად ექვსი წლის ასაკში უწინასწარმეტყველეს, რომ საუკეთესო ფეხბურთელი გახდებოდა, შვიდი თვით აუკრძალეს ფეხბურთის თამაში, მაგრამ იგი მთლიანად მაინც არ ჩამოშორდა საფეხბურთო ცხოვრებას. მუტუს, არც მეტი, არც ნაკლები, რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწის პოსტი შესთავაზეს დისკვალიფიკაციის პერიოდში.*

მუტუ დათრგუნული იყო, შეცდომა დაუშვა, აღარც ოჯახი ჰყავდა და მისი საფეხბურთო კარიერაც ნგრევის პირას იდგა. ბევრი დაუპირისპირდა, თითქოს ინგლისური საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც აკრძალულ პრეპარატებს იღებდა.

მოკლედ, მუტუმ დანაშაული აღიარა, საჯაროდ მოინანია, ბოდიში მოიხადა და რეაბილიტაციის კურსის გავლაც დაიწყო ტონი ადამსის სპორტულ კლინიკაში, სადაც დადგინდა, რომ მუტუ ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელი არ იყო, ანუ აკრძალულ პრეპარატებს რეგულარულად არ იღებდა, როგორც ამას "ჩელსის" ხელმძღვანელები ამტკიცებდნენ.

დეპრესიაში ჩავარდნილ ფეხბურთელს ვინმეს დახმარება სჭირდებოდა. ამ "ვინმეს" ფუნქცია საკუთარ თავზე აიღო კლინიკის აღმასრულებელმა დირექტორმა პეტერ ქეიმ. სხვათა შორის, მან FA-ის დისციპლინარული კომიტეტის მოსმენაზე მუტუს სასარგებლოდ მისცა ჩვენება. საბოლოოდ, როგორც მოგეხსენებათ, მუტუს საკმაოდ ლმობიერი განაჩენი გამოუტანეს - შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ეს სასჯელი იმაზე ნაკლებია, რაც შარშან ნარკოტიკების მოხმარებისთვის მიუსაჯეს "მანჩესტერ" იუნაიტედის" მცველს რიო ფერდინანდს და ასევე "ჩელსის" მეკარეს ბოსნიჩს.

FA-ის გადაწყვეტილება მაშინვე გაასაჩივრა "ჩელსის" ხელმძღვანელობამ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ახლა კი მაქსიმალურ სასჯელს გადარჩენილი ფეხბურთელი არ აპირებს, საკომპენსაციო თანხას გადაუხადოს "ჩელსის", რადგან მათ მოთხოვნას სამართლიანად არ მიიჩნევს.

ადრიან მუტუ 2005 წლის 18 მაისს დაუბრუნდება ფეხბურთის მოედანს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რომელი კლუბის შემადგენლობაში განაახლებს იგი სპორტულ მოღვაწეობას. როგორც მისმა ერთ-ერთმა აგენტმა ვიქტორ ბეკალიმ განაცხადა, რუმინელი თავდამსხმელის შეძენის სურვილი ევროპის წამყვანმა კლუბებმა გამოთქვეს. რუმინეთის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ეს კლუბებია: ინგლისის "არსენალი" და "ბოლტონი", იტალიის "იუვენტუსი", "ტორინო" და "პარმა", უკრაინის უმაღლესი ლიგის დონეცკის "შახტარი" და ბუქარესტის "დინამო".

"დანამდვილებით ვიცი, რომ მუტუს ახალი კლუბი არც რუმინული იქნება და არც უკრაინული. ის დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ უძლიერესი გუნდის შემდგენლობაში დაიწყებს თამაშს. კარგი იქნება, თუ მუტუ რაც შეიძლება მალე გააფორმებს ამ გუნდთან კონტრაქტს," - განაცხადა მუტუს აგენტმა.

"კარპატელ მარადონად" შერაცხულმა ყოფილმა რუმინელმა ფეხბურთელმა და ამჟამად კი თურქეთის "გალათასარაის" მთავარმა მწვრთელმა გეორგე ჰაჯიმ აღნიშნა: "ვერ ვიტყვი, ჩვენ გვაინტერესებს თუ არა ადრიან მუტუ, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ მან ევროპის უძლიერესი კლუბების ყურადღება მიიპყრო".

ამ რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ რუმინეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ მუტუს მისი თანაშემწის პოსტი შესთავაზა დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში. მწვრთნელის განცხადებით, მას სურს, 17 ნოემბერს სომხეთში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის რუმინეთისა და სომხეთის ეროვნული ნაკრები გუნდების საკვალიფიკაციო მატჩის დროს მუტუ მის გვერდით იდგეს. "ის ფაქტი, რომ ის დამნაშავედ ცნეს, მას ხელს არ შეუშლის ჩემთან მუშაობაში. ჩვენ გვინდა, მუტუს დავეხმაროთ და გავაგებინოთ, რომ, მართალია, მან შეცდომა დაუშვა, მაგრამ რუმინეთი მაინც მის გვერდით დგას", - განაცხადა იორდანესკუმ. იგი დარწმუნებულია, რომ დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ "ჩელსის" ყოფილი თავდამსხმელი აუცილებლად შეძლებს ყველაფრის თავიდან დაწყებას, რადგან, "გარდა იმისა, რომ იგი ნიჭიერი ფეხბურთელია, მას ძლიერი ხასიათიც აქვს."

ჯერჯერობით არავინ იცის, მიიღებს თუ არა ადრიან მუტუ ამ წინადადებას. სამაგიეროდ, ცნობილია ის ფაქტი, რომ მუტუმ, რომელმაც რომელიმე გუნდთან კონტრაქტის გაფორმებამდე თავის ძველ გუნდში, ბუქარესტის "დინამოში" ვარჯიშის სურვილი გამოთქვა, კლუბის ხელმძღვანელობისგან თანხმობა მიიღო. "დინამოსთვის" დიდი პატივია, რომ მუტუმ ჩვენს გუნდში ვარჯიში გადაწყვიტა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მან აქ კარგად იგრძნოს თავი. ამ ნაბიჯით ადრიანმა დაამტკიცა, რომ "დინამო" კვლავაც მის ერთადერთ გუნდად რჩება რუმინეთში," - აღნიშნა ბუქარესტის კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა კრისტი ბორჩამ.

ფეხბურთელის აგენტის გეორგე პოპესკუს განცხადებით, მუტუ რუმინეთში იმისთვის გაემგზავრა, რომ იქ მშვიდად ივარჯიშოს, მაგრამ თუ პრესა არც იქ მოასვენებს, იგი სხვა ქვეყანაში გადაბარგდება."

მოკლედ, "ჩელსისგან" გაძევებული და რეპუტაციაშელახული ფეხბურთელი, მართალია, შვიდი თვე მოედანზე ვერ გამოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბუქარესტის "დინამოს" დახმარებით, ფორმას შეინარჩუნებს. გარდა ამისა, შეიძლება იგი რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეც გახდეს.



*რუმინელი თავდამსხმელის შეძენის სურვილი ევროპის წამყვანმა კლუბებმა გამოთქვეს.*

მოკლედ

## "ჩემი ფეხბურთი" "კოკა-კოლასთან" ერთად

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში მოეწყო ახალი კომპიუტერული თამაშის პრეზენტაცია, რომელსაც ერქმევა "ჩემი ფეხბურთი "კოკა კოლასთან" ერთად". ეს გახლავთ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული თამაშის, "fantazy footbal"-ის ქართული ვერსია, რომელიც, რა თქმა უნდა, მიმართულია საქართველოში ფეხბურთისა და ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისკენ.

მოკლედ თამაშის წესებზე. ყველა, ვინც ამ თამაშში ინტერნეტით დარეგისტრირდება, მიიღებს 9 მილიონ ვირტუალურ ლარს და საკუთარი გუნდის შექმნის უფლებას. ამ ბიუჯეტით მოთამაშეს ეძლევა საშუალება, რომ შექმნას თავისი გუნდი. ამისთვის ის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ყველა ფეხბურთელიდან ამოარჩევს 14-ს (თითოეულს აქვს თავისი სატრანსფერო ვირტუალური ღირებულება) და მწვრთნელს. ბიუჯეტი არც ისე დიდია, როგორც ეს ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. ამ ფულით ეროვნული ჩემპიონატის "ოცნების გუნდს" ვერ შექმნი. ამიტომ წარმატებული მოთამაშე ის იქნება, ვინც ყველაზე რაციონალურად მოიხმარს ამ ფულს და შეძლებისდაგვარად საუკეთესო გუნდს შექმნის. როგორც კი მოთამაშე თავის გუნდს მწვრთნელთან ერთად დააკომპლექტებს, იგი თამაშის მონაწილე ხდება. ყოველი ტურის შემდეგ დაითვლება ქულები, რომლებსაც ამა თუ იმ მონაწილის ფეხბურთელები დააგროვებენ და შედეგები განთავსდება პროფესიული საფეხბურთო ლიგის ინტერნეტ-საიტზე. წლის ბოლოს საუკეთესო მოთამაშეები დაჯილდოვდებიან სოლიდური ფულადი პრიზებით და საფეხბურთო აქსესუარებით. საერთო საპრიზო ფონდი 5 ათასი ლარია. პროფესიულ საფეხბურთო ლიგას ამ წამოწყებაში ფინანსურად მხარს უჭერს კომპანია "კოკა კოლა". იმისთვის, რომ უფრო დაწვრილებით გაიგოთ თამაშის პირობები, მიმართეთ პროფესიული საფეხბურთო ლიგის ოფიციალურ ვებგვერდს: www.pfl.ge

## ბრაზილიაში ვარსკვლავს დედა მოსტაცეს

ბრაზილიის ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი რობინიო რობსონ დე სოუზა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, შეიარაღებული პირების თავდასხმის ობიექტი გახდა. უფრო სწორად, სან-პაულუდან 75 კილომეტრით დაშორებული ქალაქ პრაია გრანდეს ერთ-ერთ წვეულებაზე შევარდნილმა ბანდამ რობინიოს დედა, 43 წლის მარინა ლიმუ დე სუზა გაიტაცა. ამბობენ, წვეულების მასპინძლები და სტუმრები ბევრს ეცადნენ, გამტაცებლები შეეჩერებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ყველანი საააბაზანოში გამოკეტესო.

საინტერესოა, რომ ფეხბურთელის დედა მას შემდეგ გაიტაცეს, რაც ადგილობრივმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რობინიოთი მადრიდის "რეალი" დაინტერესდაო. იმასაც ამბობენ, თუ "რეალი" ნამდვილად დაინტერესდა რობინიოს შეძენით, მაშინ ამგვარი შეთანხმება ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იქნებაო.

ამასობაში ბრაზილიელი სამართალდამცავები მომხდართან დაკავშირებით დეტალებს აქვეყნებენ. ირკვევა, რომ რობინიოს დედა წვეულებიდან მოპარული მანქანით გაუტაციათ, რადგან ამ უკანასკნელისთვის პრაია გრანდეს მახლობლად მიტოვებულისთვის მიუგნიათ.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ გამტაცებლებს, ჯერჯერობით, არანაირი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ.

რაც შეეხება თავად რობინიოს, მას კვირას "სანტოსის" რიგებში "კრიჩუმას" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. როგორც "სანტოსის" პრეზიდენტი მარჩელო ტექსერა ამბობს, კლუბი რობინიოს საშუალებას მისცემს, "კრიჩუმასთან" მატჩი გამოტოვოს.

ისე კი, რობინიოს პოპულარობამ მას შემდეგ იმატა ბრაზილიაში, რაც მისი ძალსხმევით "სანტოსი" პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელმა უკვე 21 გოლი გაიტანა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, რობინიო ახლოსაა იმასთან, რომ ერთ სეზონზე შედეგიანობით პელეს მიერ დამყარებული რეკორდი მოხსნას.

ერთ-ერთ ბრაზილიურ გაზეთზე დაყრდნობით, რობინიოს საკუთარ შემადგენლობაში ხილვა ისეთ კლუბებს სდომებიათ, როგორებიც არიან მადრიდის "ატლეტიკო", ლისაბონის "ბენფიკა" და "ლოდნონის "ჩელსი".

კალათბურთი

# იმედის კალათბურთი

სანდრო ნავერიანი

გუშინ გაიმართა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის მორიგი სამი მატჩი. არც ერთი შეხვედრა არ იწვევდა დიდ ინტერესს, თუმცა, ამ სამიდან ერთზე მაინც შევჩერდები. ცენტრალური მატჩი გაიმართა ტორონტოში. ადგილობრივი "ტორონტო რეფტორზი" "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზს" დაუპირისპირდა.

საერთოდ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მატჩებს **ნრგ-**ზე ვუყურებ, მაგრამ ამჯერად იმედის არხი ჩავრთე - სანდრო ცნობილაძესა და ჯამლეტ ხუხაშვილს ვუსმენდი. ცნობილაძეზე აუგს ვერ ვიტყვი - ის ერთადერთია ქართველ კომენტატორებს შორის, ვინც კარგად იცის სპორტის ესა თუ ის სახეობა და ყოველთვის ნეიტრალური გულშემატკივრის პოზიცია უჭირავს. რაც შეეხება ხუხაშვილს, მას მე ვერ ვასწავლი კალათბურთს და, მით უმეტეს, კომენტატორობას, მაგრამ ფაქტია: როდესაც ვუსმენ რეპორტაჟს, რომელიც ბატონ ჯამლეტს მიყავს, საშინლად ვღიზიანდები, ყოველ შემთხვევაში, ტელევიზორის ყურების სურვილი ნამდვილად წამიხდება ხოლმე. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმედის არხს ვტყორცნე ჩემი მზერა და ჩავუჯექი "ტორონტო რეფტორზისა" და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" მატჩს.

კანადურმა კლუბმა წლევანდელი სეზონი სამი გამარჯვებით დაიწყო. ასეთ შედეგს, შეიძლება ითქვას, არავინ ელოდა. უკანასკნელი ორი წელი კანადური კლუბი პლეიოფში ვერ ხვდებოდა, რის შედეგადაც გუნდის ლიდერმა ვინს კარტერმა სხვა კლუბში გადასვლა მოისურვა, თუმცა, "ტორონტო რეფტორზის" ხელმძღვანელობამ შეინარჩუნა კარტერი, რომელიც კონკრეტულ მატჩში თავისი გუნდის წარმატების მთავარი შემოქმედი იყო. კარტერმა 25 ქულა, 4 შედეგიანი გადაცემა და 3 მოხსნა გააკეთა. 9 ქულა მოაგროვა უკანასკნელი ოთხი წუთის განმავლობაში, ერთ-ერთი ტყორცნა კი იყო სამქულიანი, რომელმაც კანადური კლუბი დააწინაურა (98:95) და საბოლოოდ გამარჯვების სამი ქულა ალმოჩნდა. ვინს კარტერმა, მართლაც, საუცხოო მატჩი ჩაატარა. "აი, ეს არის ვინს კარტერი, რომელსაც ვიცნობ. ეს არის კარტერი, რომელიც მახსოვს!" - განაცხადა მატჩის შემდეგ "ტორონტო რეფტორზის" ფორვარდმა მორის პიტერსონმა. კარტერთან ერთად თავი გამოიჩინეს რაფერ ალსტონმა, ჯალენ როზმა და დონიელ მარშალმა. მათ, სამივემ, 16-16 ქულა შესძინეს თავიანთ გუნდს. დონიელ მარსალმა და ჯელენ როზმა მოგროვებულ ქულებთან ერთად, შესაბამისად, 9 და 8 მოხსნა გააკეთეს, ხოლო რაფერ ალსტონმა რვა შედეგიანი გადაცემის გაკეთება შეძლო.

რაც შეეხება პორტლენდელებს, მოგეხსენებათ, ამ გუნდში ვლადიმერ სტეფანია თამაშობს, მაგრამ ვაი, ასეთ თამაშს. ჯერ იყო და, მწვრთნელი, მორის ჩიქსი არ სწყალობდა (ვფიქრობ, არც ახლა სწყალობს, მაგრამ გუშინწინდელი მატჩის შემყურემ უამრავი ახალი ინფორმაცია მივიღე. ერთ-ერთი ის იყო, რომ ბატონმა ჯამლეტ ხუხაშვილმა განაცხადა, მორის ჩიქსი ვლადიმერ სტეფანიას აუცილებლად მისცემს თამაშის საშუალებას. სასტარტო ხუთეულში თუ არა, შვიდეულში მაინც დააყენებს და ოქროს შეცვლა იქნებაო. არ ვიცი, საიდან გამოიტანეს ეს დასკვნა. ალბათ, იცის, გაიგო). ახლა არის და, ტრავმა აქვს. ღმერთმა ნუ ქნას, ტრავმის მოშუშების შემდეგ კარიერის დასრულება მოინდომოს, თორემ ისე გამოვა, რომ მისი თამაშის ნახვას ვერასოდეს ველირსები. მოკლედ, სტეფანიას არ უთამაშია. მეტიც, განაცხადშიც არ ყოფილა, რადგან ტრავმა აქვს. იმ კალათბურთელებმა კი, რომლებიც "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ღირსებას იცავდნენ "ეარ კანადა ცენტრის" პარკეტზე, ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ითამაშეს, თუმცა, ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ "ტორონტო რეფტორზს" საკუთარ მოედანზე მოუგო. ზაკ რენდოლფმა იმდენი ქნა, რომ 33 ქულა მოაგროვა, მაგრამ რად გინდა, დანარჩენებს, ფაქტობრივად, ეძინათ. ეძინათ-მეთქი, რომ ვამბობ, მაინცდამაინც პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ, რადგან დემონ სტაუდემაირმა 13 ქულა შესძინა საკუთარ გუნდს, ხოლო შარიფ აბდურ-რაჰიმმა - 16; მაგრამ ზაკ რენდოლფის გარდა, მაინც ყველას ეძინა. ასეა თუ ისე, ტორონტოელებმა სამი მატჩიდან სამი მოიგეს, ხოლო პორტლენდელებმა - სამიდან ორი.



*ვინს კარტერმა თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.*

| | |
|---|---|
| **"ტორონტო რეფტორზი" - "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი"** | **101:97** |
| **"ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" - "ატლანტა ჰოუქსი"** | **106:90** |
| **"სიეტლ სუპერსონიქსი" - "სან-ანტონიო სფურზი"** | **113:94** |

TV-სპორტი

## სამშაბათი. 9 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

08:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ვეს ანსელდი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკენდი
13:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "სპორტინგი"
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 ბრაზილიის ჩემპიონატი
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:00 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 განვლილი კვირის ჰიტ-ალლუმი
00:40 00:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "INDIANA PACERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:15, 15:45, 21:30 პრესცენტრი
10:20 "ქრონიკა"
10:25, 13:30 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:15 "რკინის ფაქტორი"
11:45 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK Trophy"
13:50 "ჰოკეი-პლუს"
14:05 ჰოკეი ბურთით. რუსეთის თასი
16:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "PITTSBURGH STEELERS" - "PHILADELPHIA EAGLES"
18:15 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK Trophy". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 "Trans World Sport" წარმოგიდგენთ "სპორტულ გლობუსს"
21:45 "ქრონიკა"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი პროფესიონალთა შორის. პირველი ნაწილი
00:15 ახალი ამბები
00:30 "ჰოკეი-პლუს"
00:45 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. საერთაშორისო შეჯიბრება "ბროლის უნაგირი". პირველი ნაწილი

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი
11:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
12:30 ფეხბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. აეკ - "ოლიმპიაკოსი"
14:00 ფეხბურთი - ევროგოლები
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
16:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 მულტისპორტი
19:30 ფეხბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. აეკ - "ოლიმპიაკოსი"
21:00 ფეხბურთი. ვარსკვლავური საათი
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 მულტისპორტი
01:30 ახალი ამბები
01:45 ნასკარის ავტორბოლები
02:45 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
03:15 ახალი ამბები

# მე - ხალხი - და მოტივაცია

მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება ასეთი უცნაური და გრამატიკულად გაუმართავი სათაურის წამძღვარება იმისთვის, რაც მინდა მოგახსენოთ. მართალია, ხალხი - კრებითი სახელია, მე მხოლობითი ნაცვალსახელი და ისიც პირველ პირში, მაგრამ ერთად ეს ორი სიტყვა ზუსტად გამოხატავს ჩემს აზრს. მე - ხალხი ვარ; ნაწილი, პატარა, მაგრამ - მისი ნაწილი. ხალხი ბევრი მე-სგან შედგება და როდესაც ხალხს ხშირად მიმართავენ - "ხალხო, თქვენთვის! ხალხო, იმიტომ, რომ თქვენ უკეთ იცხოვროთ!" - აქ მეც ვიგულისხმები, შენც იგულისხმები, ის, ჩვენ, თქვენ და ისინი.

და თუ მე ხალხის სახელით გავბედე დაწერა, ამას ჩემი ოჯახის, პროფესიისადმი ერთგულება, ქვეყნის თავგამეტებული (კარგი სიტყვაა - თავ-გამეტებული) სიყვარული, მოქალაქეობრივი პოზიცია, დედობა, ბებიობა, ბოლოს - დიდი ბებიობა და განვლილი ცხოვრება მაძლევს. ახლა კი წყენა და იმედის დაკარგვის შიში.

მე უპარტიო ვარ. არც ერთ პარტიაში, გარდა საქართველოს ერთგული პარტიისა, არ ვყოფილვარ. საზოგადოება "თბილისელის" წევრი ვიყავი წლების განმავლობაში და ვამაყობ ამით. ამ საზოგადოების თითოეული წევრი, მე თუ მკითხავთ, თვითონ არის ერის საგანძური და იმდენი სიკეთე გაუკეთა ხალხს და თავის ქვეყანას, ღმერთმა ქნას, შემდგომმა თაობებმა შეძლონ. ხმამაღლა პირველად ვამბობ, მე ჩემი შვილი ვაიძულე, აფხაზეთის ომში წასულიყო. მისგან უარი არგუმენტირებული იყო იმით, რომ მას კაცის მოკვლა არ შეუძლია. არ მივიღე ეს არგუმენტი, რადგანაც დახმარება და ქვეყნის სამსახური სხვა ხერხებითაც შეიძლება. სამწუხაროდ (იქნებ - არც), ომი მალე დამთავრდა და ჩემს შვილს ჭუბერზე გადმოსვლა მოუხდა. ყველა გაიგებს იმ დედის განცდას, რომელმაც აიძულა შვილი, ომში წასულიყო და 10 დღე მის შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონია. მაგრამ მე არ ვნანობ - ის გაჭირვება მაინც გაიზიარა, რაც დევნილების გოლგოთაზე, ჭუბერზე გადაიტანა.

ეს მაგალითისთვის მოგახსენეთ, თორემ ქართველ დედას მისი ქვეყნისთვის შვილის გაწირვა არ გაუკვირდება.

ამ წერილის დაწერა უპირველესად ქ-ნ რუსიკო ენუქიძის წერილმა გამაბედინა და მეორე, ყოფილი გენერალური პროკურორის, ბ-ნ ოქრუაშვილის გამოსვლამ მიბიძგა.

არ იფიქროთ, ახალგაზრდების საწინააღმდეგო მქონდეს რაიმე; პირიქით, ყოველი განათლებული, კეთილშობილი ახალგაზრდის გაცნობა ჩემთვის დიდი საჩუქარია, მაგრამ აქვე უნდა ვაღიარო, ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, რადიკალიზმის.

შეიძლება ითქვას, გენეტიკურად ფსიქიატრი ვარ. მამა - პროფესორი საშა (ალექსანდრე) მაკარიძე ფსიქიატრი იყო, ძმა ფსიქიატრია, მე 43 წელია ფსიქიატრი ვარ და ვერაფერს ვუზამ იმ თვალს, ყურს და კიდევ გულისყურს (ესეც კარგი სიტყვაა), რომლითაც ფსიქიატრი (ისიც ჩემი გამოცდილების) უყურებს ყველას გარშემო; განურჩევლად - ოჯახის წევრი იქნება ეს თუ, უბრალოდ, ქუჩაში გამვლელი.

სწორედ ჩემმა პროფესიულმა თავისებურებამ მაიძულა, ჩამეწერა ახალგაზრდა ლიდერების მიმართვებიდან განსაკუთრებით მძიმედ მოსასმენი სიტყვები - "ღორი, ნაბიჭვარი, დარჩით ასეთი გაბრაზებულები". ამით ხალხს კიდევ უფრო აბრაზებდნენ, ახელებდნენ. ეს ძალიან საშიში პოზიციაა. ხალხი ხომ მარტო ის არ არის, ვინც იქ "იდგა წვიმასა და ქარში" (როგორც ხშირად ითქმება). ჩვენც, ჩემი მეგობრები, ნაცნობები, ვინც არ იდგა "წვიმასა თუ ქარში", ესეც ხალხია. ამიტომ, როდესაც მთავრობა, ასეთი ახალგაზრდა, განათლებული, გულანთებული, ენერგიული (ზოგჯერ ზედმეტად) მოგვმართავს, გვაიმედებს, უკეთეს ცხოვრებას გვპირდება, ჩვენ ვიჯერებთ, იმედი გვიჩნდება. მე ვთვლი, რომ დაპირებები ძალიან გულწრფელი იყო. მაგრამ სიტყვას ხომ ფასი აქვს და მერე როგორი! დაპირება უნდა შესრულდეს; თუ არ შესრულდა, მაშინ ეს ტყუილად იქცევა, მთქმელი - მატყუარად და ა.შ.

ერთი-ორი სიტყვა მოტივაციის შესახებ (მოტივაცია ფრანგული სიტყვაა და რაიმე ქმედების დასაბუთებას ნიშნავს, მიზეზს განმარტავს).

ექსგენერალური პროკურორის ბ-ნ ოქრუაშვილის ერთ-ერთი გამოსვლა სწორედ მოტივაციას მიეძღვნა. ეს იმ პერიოდს ეხება, როცა მთავრობამ უკანონოდ მითვისებული დიდძალი თანხა ამოიღო (ეს პროცესი იმდენად გაუმჭვირვალე იყო, რომ შემდგომ გამჭვირვალე პოლიტიკის წარმართვაში ეჭვიც კი გაჩნდა). ბ-ნმა ოქრუაშვილმა ბრძანა, რომ სამართალდამცავებს უნდა მოემატოთ ხელფასი, რადგანაც ამისთვის განსაკუთრებული მოტივაცია არსებობს. მათ დიდ თანხებთან აქვთ საქმე და რომ არ წაწყმდნენ (გამოსვლის სიზუსტეს ვერ ვიცავ), ამიტომ თვითონ უნდა ჰქონდეთ დიდი შემოსავალი.

როგორია? ე.ი. მოსამართლე, თუ ის დიდი თანხის მიმთვისებელს ასამართლებს, აუცილებლად უნდა დიდ ხელფასს იღებდეს, რომ არ მოქრთამონ. მეგობარმა, რომლის შვილი საოლქო სასამართლოში მუშაობს, ძალიან მორიდებულად დაადასტურა მისი მოსამართლე შვილის ხელფასის მკვეთრი ზრდა და მობოდიშებით შემიცოდა, რომ მე არც მთავრობის დაპირება შემეხო და არც ბ-ნ ოქრუაშვილის მოტივაცია.

ახლა, ვთხოვ ჩემი ქვეყნის მთავრობას, ფრიად განსწავლულს, განათლებულს, რეფორმატორს (ნამდვილად), აქტიურს, ხალხისთვის და სამშობლოსთვის თავგადადებულს - ჩემი, ანუ ხალხის მოტივაცია მოისმინოს!

იყო დაპირება გაუცემელი ხელფასების გაცემის - არ შესრულდა. იყო დაპირება ივნისის თვის ხელფასების მინიმუმ 125 ლარამდე გაზრდის - არ შესრულდა. მე მაქვს თუ არა მოტივაცია, ეჭვი შევიტანო მათ შემდგომ დაპირებებშიც?

მე, ფსიქიატრს, რომელსაც 64 ლარი მაქვს ხელფასი და საიდანაც გადასახადს ვიხდი ბიუჯეტში, რითაც "ვინახავ" ჩემს მთავრობას, არავითარი მოტივაცია არ მაქვს? მე ხომ იმ ავადმყოფებს ვუვლი, ვმკურნალობ და ვპატრონობ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), რომლებსაც სახლში ვერ აჩერებს დედა, ცოლი, შვილი, მამა. მე ამ ავადმყოფებთან ვცხოვრობ, ნამდვილად ვცხოვრობ. მათი მშობლების დარდის გამზიარებელი ვარ, ჭირისუფალი და მოსამართლეც, რადგანაც უხშირესად ჩემ მიერ დასმული დიაგნოზი - განაჩენია. უმაღლესი კატეგორია გაუქმდა, მავნე სამუშაოსთვის დანამატიც. იცის თუ არა ჩემმა ახალგაზრდა მთავრობამ, როგორია 1 დღის გატარებაც კი 70 სულით ავადმყოფით სავსე განყოფილებაში, სადაც ხშირად წამალი არ არის და საკვებიც მწირი? არც ერთი მთავრობის წევრს აქ არ შემოუხედავს. ეს ხომ საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული ნაწილია - მათ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმმართავი - გონება აქვთ დაზიანებული. იცის თუ არა ჩვენზე, ხალხზე მზრუნველმა მთავრობამ, რომ იმ ორი კომპონენტიდან - "პური და სანახაობა", ამ საცოდავებს ორივე აკლიათ (რაც შეეხება სანახაობას, რატომღაც ეს ნაწილი რევოლუციის შემდეგ დიდი დოზით მიეწოდება ხალხს).

რკინის ბადეებს იქით წლობით გამომწყვდეული ადამიანების მოვლა კი არა, ყურება და მოსმენაც კი ძნელია. ესენი ხომ დამნაშავენი არ არიან. ავადმყოფობამ დასაჯა და დაჩაგრა, თანაც როგორ. გამოთიშა საზოგადოებას, ოჯახს, საყვარელ ადამიანებს. მოჰყავთ ახლობლებს ჩვენთან და იცით, რა საშიშროების წინაშე დგანან მომვლელები და, საერთოდ, განყოფილების მთელი პერსონალი? როგორ წარმოგიდგენიათ, ავადმყოფის საწოლზე ზეწრებით დაფიქსირება ნემსის გასაკეთებლად თუ იძულებით საკვებად?

ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ამ ხალხს, რომელიც ყოველდღე დიდი რისკისა და საშიშროების ქვეშ იმყოფება ავადმყოფებთან, ხელფასის მოსამატებლად მოტივაცია არ აქვთ?

რატომ ვაყენებთ შეურაცხყოფას იმ მოსამართლეს, რომლის პატიოსნებაში იმდენად გვეპარება ეჭვი, რომ ჩვენ თვითონ ვქრთამავთ, დიდი ოდენობით ვუზრდით ხელფასს? რატომ გგონიათ, რომ მას აუცილებლად 1200 დოლარი უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი გააჩინოს?

კი მაგრამ, ნაკლებად მძიმე სამუშაო გვაქვს? რატომ არ იმსახურებს ფსიქიატრიული სამსახური მეტ თუ არა, არანაკლებ პატივისცემას?

იცით, რა თქვა ავადმყოფის ნათესავმა, როდესაც ჩვენი ხელფასის ოდენობა გაიგო? გეტყვით: "64 ლარად მე ამ კიბეზეც კი არ ამოვალ". ალბათ, იგივე აზრი ექნება ბევრს თქვენს შორისაც, ვინც კი ერთჯერ მაინც შემოვა ჩვენთან.

დაბოლოს, ჩემი წიგნის შესავალში (პირველად საქართველოში დაიწერა არა სახელმძღვანელო, არამედ ფართო საზოგადოებისათვის გასაგები "ფსიქიატრის ჩანაწერები"), მკითხველს ვაფრთხილებ - "დავზოგოთ ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რადგანაც ჩვენ ადამიანები ვართ და არაფერი ადამიანური ჩვენთვის უცხო არ არის". ღმერთმა დაიფაროს, ვისაც გონება აქვს - შეიძლება დაუზიანდეს, ისევე როგორც გულიან კაცს - გული. ეს მზაკვრული ავადმყოფობაა და გარჩევა არ იცის.

ჩვენი ახალი მთავრობის წევრთა შესაშურად ხშირ გამოსვლებში არც ერთხელ არ იყო ნახსენები ექიმთა ბედი. ამას წინათ პრეზიდენტმა დმანისში საჩუქრები დაურიგა აზერბაიჯანულ ოჯახს, ქართული ოჯახის შემოსავლით დაინტერესდა, მოსალოდნელი მომატება ახარა. გამიხარდა, ღმერთმანი. ძლიერი ოჯახი ძლიერი ქეყანაა. რაც მეტი იქნება ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი, მით უფრო გაძლიერდება ჩემი ქვეყანა.

ჩემ გარშემო, ჩემი მეგობრების, ჩემი თანამშრომლების ოჯახებს ეს გაუმჯობესება არ შეხებია.

პირიქით. მე შეურაცხყოფილი ვარ. როდესაც მასწავლებლები გამოდიოდნენ ხელფასის მომატების მოთხოვნით, მათი წინამძღოლი და ფარიც მათი პროფკავშირის თავმჯდომარე, ქ-ნი მანანა კობახიძე იყო. მიაღწიეს კიდეც - მოემატათ ხელფასი. ექიმების გაფიცვა არ შეიძლებაო. მართალია, ავადმყოფების მიტოვების უფლება ექიმს არ აქვს, მაგრამ არც მასეა, ბატონებო! სკლიფასოვსკის ინსტიტუტი გაიფიცა და მაშინ მთავრობა მიხვდა, რომ ამ ინსტიტუტის ექიმები საჭირო ხალხია.

მე შევახსენებ ჩემს ახალგაზრდა მთავრობას ძველ, ძალიან ძველ ბერძნულ გამოთქმას: "ყველაზე იოლი სამკურნალო ავადმყოფობა - ახალგაზრდობაა. იგი სწრაფად იკურნება და გაივლის". ამიტომ, იქნება ვინმე ხანდაზმულმა, დაბრძენებულმა, გამოცდილმა და, მართლაც, პროფესიონალმა შეახსენოს მას, ვისაც ეკუთვნის:

- ფსიქიატრი ძალიან საჭიროა.
- ფსიქიატრობა დიდი ტვირთია.
- ფსიქიატრი მეტად დასაფასებელია.
- ფსიქიატრი მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფება.
- აბა, თუ შეგიძლია, მოისმინე გაუთავებლად ავადმყოფი ფსიქიკის პროდუქცია, გაითავისე, დაამშვიდე, უმკურნალე და მის გაწამებულ ახლობლებსაც ნუგეში ეცი.

და კიდევ, ხომ არსებობს ჯანდაცვის სამინისტრო და ჩვენზე მზრუნველი მინისტრი?

- ხომ არსებობს პარლამენტის კომისია, რომელიც მედიცინას კურირებს?
- ხომ არსებობს საკრებულო, სადაც, ალბათ, მედიცინა ვიღაცას აბარია?

ამდენ მზრუნველს რატომ ავიწყდება, რა ბრძანა ბ-ნმა ოქრუაშვილმა? მოტივაციაა მთავარი.

იმაზე მეტი მოტივაცია, რაც მე ზევით მოგახსენეთ, აღარ არსებობს.

მე - ხალხი ვარ. ის ხალხი, რომელსაც რევოლუციის დღეებში მომავალი მთავრობა მოგვმართავდა და გვპირდებოდა.

მე - ხალხი ვარ, მოტივაცია წარმოდგენილია. მოვითხოვ პასუხს და განმარტებას - გამოდგება თუ არა ჩემი ქვეყნის მმართველებო, ჩემი არგუმენტები მოტივაციად?

ის ნამდვილად ვიცი, რომ თქვენთვის მისაბაძი ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში (აფრიკაშიც კი) ფსიქიატრი ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი პროფესიაა.

ესეც - მოტივაცია.

*თამილა მაკარიძე*

# პრეზიდენტს რომ შევხვედროდი, ვეტყოდი...

ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს რომ შევხვედროდი, აუცილებლად ვეტყოდი:

რევოლუციის შემდგომ პერიოდში აჭარის მოსახლეობის მისამართით გამოხატული მადლიერება და პრეზიდენტის მიერ არაერთგზის გაცხადებული წამახალისებელი განცხადებები დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენი კუთხის მცხოვრებლებს და მისი დამფასებელი მომავალშიც იქნებიან.

მთავარი, რაც ახლა აჭარის მოსახლეობას გვაღელვებს, ეს უსაფუძვლო უნდობლობაა.

ჩემი ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილება და განვლილი გზა უფლებას მაძლევს, რამდენიმე სიტყვით ახლო წარსულიც გავიხსენო. რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ იყო, როცა ცეკას ბიუროზეც კი უთქვამთ - აჭარლები საზღვრის გაღმა იყურებითო. მაშინ პასუხის გაცემის არანაირი პირობა არ იყო. ჩვენ დღენიადაგ გვიხდებოდა გვემტკიცებინა, რომ აქაურები არავისზე ნაკლები ქართველები არ ვიყავით. ქვეყნის პირველი პრეზიდენტის პირიდან ისიც მოგვისმენია, აჭარლებო, თქვენც ქართველები ხართო. იძულებული ვიყავით, ესეც მოგვეთმინა. ვფიქრობდით, ყველაფერი მალე მოგვარდებოდა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა.

განვლილმა თოთხმეტმა წელმა ნუთუ არ გვაჩვენა, ვინ იყურება "გაღმა", ან როგორ იბრუნებს აქაური მოსახლეობა თავისი წინაპრების რელიგიას, რომ ეს ხდება ძალდაუტანებლად, ყოველგვარი აგიტაციის გარეშე.

"ვარდების რევოლუციამ" ისიც დაგვანახა, თუ როგორი თანადგომა, ერთგულება და ერთსულოვნება შეუძლიათ აქაურებს. ბათუმში "ვარდების რევოლუციას" საფუძველი აქაურებმა ჩაუყარეს და მისი ლოგიკური დაგვირგვინებაც მათ ეკუთვნით.

ჩვენი კუთხის მოსახლეობა არ იმსახურებს იმ უნდობლობას, რაც დღეს სახეზეა. შეცდომაა, როცა აჭარის მოსახლეობის დიდ ნაწილში ე.წ. "ბაბუინებს" ვხედავთ.

ხალხს სადღაც უნდა ემუშავა, მათ შორის ხელისუფლებაშიც. ეს მათი არსებობისთვის აუცილებელი იყო. ნამდვილი "ბაბუინები" განცხრომით ცხოვრობდნენ და ამაზე მათი სიმდიდრეც ლაპარაკობს. ასეთებს პასუხი უნდა მოეკითხოთ.

მოსახლეობამ კარგად გაიცნობიერა, რომ ყოფილი ხელისუფალის ზარ-ზეიმით გახმაურებული და მრავალ ენაზე გადაცემული ღონისძიებები მისი პირადი ამბიციების დაკმაყოფილებას, საკუთარი მეს განდიდებას ემსახურებოდა მხოლოდ. გაწეული ხარჯების ნაწილი რომ ჩაისა და ციტრუსის გადასარჩენად გაეღო და სოფლის მოსახლეობა სიდუხჭირიდან გამოეყვანა, ხომ შეიძლებოდა, მაგრამ მას მისი თანამდგომნიც და მოსახლეობაც სიდუხჭირეში მყოფი და დამონებული ერჩია. აკი, ეს დაამტკიცა კიდეც, როცა თავისი საყვარელი ძაღლი "ბასმაჩი" სპეცრეისით მოსკოვში გადაიყვანა, ხოლო უკან დატოვებულ და მის გამო ლაფში ამოსვრილ თავის ხალხზე არც უფიქრია.

რევოლუციის შემდეგ მოსახლეობა, გარდა იმისა, რომ სიტყვის თავისუფლება მიიღო, სხვა ბევრ სიკეთესაც ელოდა. მოხდა კი პირიქით, ამუშავდა უნდობლობის სინდრომი. ამან გამოიწვია სწორედ, რომ სრულიად გაუგებარი საკადრო პოლიტიკა ხორციელდება პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში. არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული ამ სამსახურებში ხელმძღვანელებისა და ზოგი მოადგილის და სხვა რანგის მოხელეების ცენტრიდან მოვლენა. შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის აჭარის უმაღლესი საბჭოსადმი აგდებული დამოკიდებულება არა გვგონია, გამართლებული იყოს. აჭარის მოსახლეობისათვის, რომელსაც საზღვრის დაცვის საუკეთესო სკოლა აქვს გავლილი, შეურაცხმყოფელია, როცა ბათუმის სასაზღვრო რაზმის უფროსი ვერ გამოინახა ადგილზე.

როცა პრეზიდენტი არ ეხება ავტონომიის ყოფნა-არყოფნის საკითხს, ცალკეული დეპუტატები, ისიც ცენტრიდან, თბილისში არჩეული მაჟორიტარი, ნუ შეეცდება ამ თემით სპეკულირებას. აჭარის ახლანდელი ავტონომია ისედაც ბუტაფორიულია. ამის შედეგია ხელმძღვანელთა მიერ სიამაყით წარმოთქმული სიტყვებიც, როცა განვლილ დროში გაკეთებულ საქმეთა შორის ჩამონათვალში ამბობენ: "დავიბრუნეთ აჭარა". თუ იმას გულისხმობთ, როგორც ექცევიან აჭარას საკადრო და საფინანსო პოლიტიკაში, რომელსაც უკვე "თბილისურ სეპარატიზმად" და "საკადრო და საფინანსო ოკუპაციად" ნათლავენ (გაზ. "აჭარა P.S." 01.10.2004 წ.), მაშინ, მართალია.

აჭარა 125 წელზე მეტია, რაც დაუბრუნდა საქართველოს. აქ იყო ერთი პირის, ხელისუფალის შეცვლის პრობლემა, რომელიც ისევ აქაურმა ხალხმა გადაწყვიტა, თქვენი მხარდაჭერით და მას ნურავინ მიიწერს.

ბატონო პრეზიდენტო!

გვჯერა, თქვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ აჭარის ყოფილი ხელისუფალის მიმართ დაპირისპირებულ და მისგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებზე "საინფორმაციო ბანკები" იქმნებოდა და მათთან ანგარიშსწორებისათვის საჭირო "დოსიეები" დგებოდა. ამ მასალების ლუსტრაციის თაობაზე თქვენ საჯაროდ მიეცით დავალება შესაბამის ორგანოებს. მასალების არათუ ლუსტრაცია არ მომხდარა, უბრალოდ, იმ ადამიანთა სიებიც არ გაცხადდა, ვინც იმ ხელისუფლების მიერ უკანონოდ იდევნებოდა. ვფიქრობთ, ეს იმიტომ არ გაკეთდა, რომ ამ სიბინძურის შემოქმედთა ნაწილი დღესაც აგრძელებს სპეცსამსახურებში მუშაობას. დარწმუნებული ვართ, ჩვენი პირდაპირობისათვის ახლაც შეეცდებიან ანგარიშსწორებას.

დიახ, პასუხი ყველას უნდა მოეთხოვოს, ვისაც ტყეების განადგურებაში ბრალი მიუძღვის, მაგრამ ჯერ რაიონის გამგებლების ბრალეულობა უნდა დაადგინონ.

პასუხი მათაც უნდა მოეთხოვოთ, ვინც რევოლუციის შემდგომ დღეებში ბათუმი ძარცვა და ამაში სწორედ ისინი იყვნენ ჩართული, ვისაც იმ დროს წესრიგის დაცვა ევალებოდათ. სადღაა ის დაპირება, ბატონო პრეზიდენტო, ასლან აბაშიძეზე ჩამორთმეული ავტომანქანები და სხვა ქონება აუქციონზე რომ უნდა გაყიდულიყო, ასობით კომპიუტერი სკოლებს უნდა გადასცემოდა. სად წავიდა მთელი ეს ქონება?

თქვენ მაშინ გაბედულ და მართებულ განცხადებებს აკეთებდით და ხალხი შედეგს მოელოდა. თქვენი ავტორიტეტისათვის თქვენგანვე ღირს ამ ფაქტების მოკითხვა. არა გვგონია, საზოგადოებამ სწორად გაგიგოთ, თუ არ მოიკითხავთ საქართველოს სანაოსნოს განიავებისა და ქვეყნის ძარცვის სხვა ფაქტებს.

იმედს არ ვკარგავთ, ამ და ბევრ სხვა საკითხზე ხმას აიმაღლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც, რატომღაც, ჯერ დუმილს არჩევს.

აჭარაში მცხოვრებ მოსახლეობას გაცნობიერებული აქვს, რომ აჭარლობა სადაურობის მანიშნებელია. ისიც კარგად ესმით, რომ საქართველოს კონსტიტუციამ ჩაწერის ინსტიტუტი გააუქმა და არა სადაურობისა, ასე რომ, საკითხები, რომლებზეც მოგახსენებთ, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობის საფიქრალია, სადაურობის მიუხედავად.

ბატონო პრეზიდენტო, დაგროვდა კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს. რიგით ადამიანებთან საუბარი, მათი სატკივარის მოსმენა, განსჯაა საჭირო.

*ექსპარლამენტარი*
***თამაზ ცინცაძე***

# კანონიერების უზრუნველყოფა სამხედრო მმართველობის ორგანოების მიერ

არმიისა და ფლოტის პირობებში, მეთაურის როლი კანონიერების უზრუნველყოფაში, სამხედრო ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. სამხედრო ძალებში ხორციელდება სრული ერთმმართველობა და, მაშასადამე, დადგენილია მეთაურის სრული პასუხისმგებლობა ჯარების მომზადების ყველა მხარეზე, ცხოვრებაში მკაცრად ტარდება ცენტრალიზაციისა და მტკიცე საბრძოლო დისციპლინის პრინციპი, დაწესებულია უფროსებისადმი ხელქვეითთა უსიტყვო მორჩილება.

ნაწილის (ქვედანაყოფის) მეთაური არის ერთმმართველი და აკისრია პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და მთავრობის წინაშე მისთვის ჩაბარებული ნაწილის (ქვედანაყოფის) მუდმივ საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნაზე. მეთაურს (უფროსს) აკისრია სრული პასუხისმგებლობა ნაწილში (ქვედანაყოფში) კანონიერების მდგომარეობაზე.

მეთაურები და უფროსები სრული სიმტკიცით აღკვეთენ ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ დაშვებულ კანონის დარღვევებს, ზეგავლენას ახდენენ ყველაზე, ვინც არღვევს ან ცდილობს დაარღვიოს კანონიერება და იღებენ ზომებს სამართალდარღვევათა მიზეზების სრულად აღმოფხვრისათვის.

მეთაური - კანონიერებისათვის ბრძოლის, ცხოვრებაში, ჯარებში მისი მკაცრად გატარების ორგანიზატორია. იგი უზრუნველყოფს კანონიერებას ყველა შემთხვევაში და მთელ თავის საქმიანობაში: სამეთაურო, ადმინისტრაციულ, საჯარისო მეურნეობის, საფინანსო კმაყოფის დარგში, აუცილებელ შემთხვევაში დამნაშავე პირთათვის დისციპლინარული და მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებით, განცხადებებისა და წერილების განხილვისას და ა.შ.

მეთაურები, უფროსები, აღმზრდელობითი მუშაკები ჯარებში კანონიერებას უზრუნველყოფენ უმთავრესად მეომრების აღზრდით, მათი დარწმუნებით, კანონების და მეომრის წესდების მოთხოვნათა განმარტებით. სამხედრო ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა მორალური აღზრდა გულისხმობს მათ სამართლებრივ აღზრდასაც, ქვეყნის კანონების მკაცრად დაცვის სულისკვეთებით.

კანონიერებისა და სამხედრო მართლწესრიგის განმტკიცებაში წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეთაურის (უფროსის) პირადი მაგალითი. სამხედრო წესდებები ხაზს უსვამენ ყველა მეთაურისა და უფროსის მიერ ქვეყნის კანონების მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობას. ასე მაგალითად, დისციპლინარული წესდების მე-5 მუხლსა და შინაგანი სამსახურის წესდების 54-ე მუხლში ნათქვამია, რომ უფროსი გამუდმებით უნდა აძლევდეს ხელქვეითებს კანონების, სამხედრო ფიცის, სამხედრო წესდებების, ბრძანებების, განკარგულებების და მორალის ნორმების მოთხოვნების მკაცრად და ზუსტად დაცვის მაგალითს. მეთაური მუდმივად, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად უნდა მოითხოვდეს ხელქვეითებისაგან კანონებისა და წესდებების განუხრელად შესრულებას, იჩენდეს შეუწყნარებლობას დადგენილი სამხედრო მართლწესრიგიდან უმცირესი გადახრების მიმართ, გაბედულად გამოდიოდეს მათ წინააღმდეგ, ვინც უშვებს დაუდევრობას, უდისციპლინობას, მით უმეტეს, ბოროტმოქმედებას. ამავე დროს, მეთაურის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრების კანონებით დადგენილი უფლებების, ინტერესებისა და შეღავათების დაცვა.

მეთაურებმა და უფროსებმა კარგად უნდა იცოდნენ სამხედრო კანონმდებლობა, კარგად უნდა ესმოდეთ, მკაცრად უნდა იცავდნენ თავიანთ საქმიანობაში და მოითხოვდნენ ხელქვეითებისაგან კანონიერების უსიტყვოდ და ზუსტად დაცვას.

შესრულების შემოწმება და კონტროლი - ქვეყნის კანონების, სამხედრო წესდებების, უფროსების ბრძანებების მკაცრად შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდთაგანია. შესრულების შემოწმება და კონტროლი ყველა მეთაურის (უფროსის) უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა და საშუალებას იძლევა, დროულად გამომჟღავნდეს და თავიდან იქნეს აცილებული კანონიერების დარღვევები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შესრულების შემოწმება და კონტროლი ტარდება არა მხოლოდ იმისათვის, რომ გამომჟღავნებულ იქნეს ნაკლოვანებანი და შეცდომები. ეს გვეხმარება ვიპოვოთ ახალი, მოწინავე, სასარგებლო ჯარების სწავლებისა და აღზრდის საქმეში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამიტომ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანათაგანია - შეძლო, იპოვო ეს ახალი, საჭირო, სასარგებლო, სწორად შეაფასო და შემდეგ გაავრცელო სხვა ქვედანაყოფებსა და ნაწილებში.

შიდასაუწყებო კონტროლისნაირსახეობას წარმოადგენს ჯარების ინსპექტირება. იგი ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს მთავარი ინსპექციის მიერ, არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სამხედრო ძალების სახეობების მთავარი შტაბების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების შტაბების მიერ.

ინსპექტირება - ეს კონტროლის ისეთი სახეობაა, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს სამხედრო ნაწილების საქმიანობის, ცხოვრებისა და ყოფის ყველა მხარეს. ინსპექტირება შეიძლება ეხებოდეს მათი საქმიანობის ცალკეულ მხარეებსაც (საბრძოლო მზადყოფნას, მორალურ მომზადებას, სამხედრო დისციპლინის მდგომარეობას და ა.შ.). ინსპექტირების გზით დგინდება საქმის ნამდვილი ვითარება შესამოწმებელ ნაწილებში, დადებითი და უარყოფითი მხარეები მათ საქმიანობაში. შემმოწმებლები აწარმოებენ პირადი შემადგენლობის გამოკითხვას, იღებენ საჩივრებს. ჯარების ინსპექტირება საშუალებას იძლევა არა მარტო გამომჟღავნდეს, აგრეთვე ადგილზევე იქნეს აღმოფხვრილი სხვადასხვა ნაკლოვანებანი, კანონიერების დარღვევები, მოეწყოს ნაწილებისა და დაწესებულებების საქმიანობის ყოველმხრივ შემოწმება, გაიხსნას მიზეზები და გარემოებანი, რომლებიც ხელს უწყობენ საგანგებო შემთხვევების, დისციპლინარული შეცდომებისა და სხვა სამართალდარღვევათა წარმოშობას.

ინსპექტირების შედეგების მიხედვით დგება აქტი, რომელშიც აისახება შესამოწმებელი ობიექტების საქმიანობაში არსებული მიღწევები და ნაკლოვანებები და ჩვეულებრივად გამოიცემა ბრძანება, დადებითი გამოცდილების გავრცელების მიზნით და ნაკლის აღმოსაფხვრელად.

*გადამდგარი პოლკოვნიკი*
***ოთარ თავბერიძე***
*შეიარაღებული ძალების*
*გენერალური შტაბის*
*უფროსის კონსულტანტი*

# ბონდი კვლავაც ირლანდიელი იქნება

პირს ბროსნანმა საბოლოოდ დაადასტურა წინა კვირას გავრცელებული ხმები და განაცხადა, რომ ჯეიმს ბონდის ფილმებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ახლა სავარაუდო კანდიდატებად კოლინ ფარელი და ევან მაქგრეგორი განიხილებიან, მაგრამ პოპულარულ სერიებში უფრო, ალბათ, ირლანდიელი ფარელი გამოჩნდება. ის ბროსნანის ფავორიტი კანდიდატიც არის.

პირს ბროსნანი ბონდიანაში 1995 წელს მივიდა. "ოქროს თვალი, "ხვალინდელი დღე არასოდეს კვდება", "სამყარო საკმარისი არ არის" და "მოკვდი სხვა დღეს" - ეს ის ფილმებია, რომლებშიც ბროსნანი ნამდვილ ჯეიმს ბონდად გარდაიქმნა.

ახლა მსახიობი ამბობს, რომ თავიდან ის ფილმზე კვლავ მიიწვიეს, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს, ბროსნანი გაბრაზდა და გადაღებებზე დაბრუნება თვითონაც აღარ მოუნდა. "როცა ყველაფერი გავარკვიე, საოცარი შვება ვიგრძენი. თითქოს, ამით დამეხმარნენ კიდეც - მე ხომ ზენიტში ვიყავი და ამ დროს წავედი. ეს კი ყოველთვის უფრო ეფექტურია", - აცხადებს ბროსნანი.

ასე რომ, ახლა ისიც ყოფილი ბონდების გრძელ ამალას შეუერთდება, ამალას, რომელსაც მსოფლიო კინოს ნამდვილი ჯენტლმენები აკომპლექტებენ - შონ კონერი, როჯერ მურის, ჯორჯ ლეიზენბისა და ტიმოთი დალტონის ჩათვლით.



*კოლინ ფარელი - პოტენციური ბონდი.*

რაც შეეხება მომავალ ბონდს, მისგანაც შეიძლება კარგი აგენტი გამოვიდეს. კოლინ ფარელს ამაში ირლანდიური ვაჟკაცური ხასიათიც უწყობს ხელს, რაც მის გარეგნობაშიც კარგად ვლინდება. თუმცა, სანამ ჯეიმს ბონდის რანგში იხილავდეთ, მისი გამოცდა ისეთ ჰოლივუდურ ბლოკბასტერებში შეგიძლიათ, როგორებიცაა "სატელეფონო ყუთი" და ოლივერ სტოუნის "ალექსანდრე".

# ჰიმნი სექსუალურ უმცირესობას

იოკო ონომ ჰომოსექსუალებს უძღვნა ჰიმნი, რომელიც უკვე მოექცა ამერიკის საცეკვაო ჰიტების სათავეში. 71 წლის ქვრივი ამჯერად გარდაცვლილი მეუღლის სიმღერის - Every Man Has A Woman Who Loves Him ორი რიმეიქით გამოჩნდა მუსიკალურ ორბიტაზე. სიმღერა ოცდახუთი წლის წინათ იქნა გამოშვებული. თითოეული რიმეიქი ეძღვნება გეებსა და ლესბოსელებს. პირველს, რომელიც ჰიტ-პარადების სათავეშია, ეწოდება - "ყოველ მამაკაცს ჰყავს საყვარელი მამაკაცი"; მეორე სიმღერის სახელწოდებაში კი უბრალოდ, მამაკაცის მაგივრად ქალი ფიგურირებს. ონოს მიაჩნია, რომ რიმეიქის წარმატება მხოლოდ ლამაზი მელოდიის დამსახურება არ არის. მუსიკოსის აზრით, სიმღერა სიმბოლური გამარჯვებაა იმ ამერიკელებზე, ვინც ჰომოსექსუალური ქორწინებების წინაღმდეგ გამოდის. შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომლის დროსაც ამერიკელები ხმას აძლევდნენ კანონთა მთელ წყებას, თერთმეტი შტატის მცხოვრებნი სწორედ ამგვარი ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ გამოვიდნენ. გამარჯვებულმა ჯორჯ ბუშმა კი განაცხადა, რომ აპირებს კონსტიტუციაში შეიტანოს ცალკე პუნქტი, რომელიც ქორწინებას მამაკაცისა და ქალის კავშირად განსაზღვრავს.

რაც შეეხება იოკო ონოს, ის პირველად არ გამოსულა სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად. შარშან მან პოლიტიკური აქცია გეებსა და ლესბოსელებს მიუძღვნა ნიუ იორკში.

# ემინემი წარმოადგენს თუფაქს

ემინემი ლეგენდარული თუფაქ შაქურის ალბომის პროდიუსერად მოგვევლინება. ალბომში, რომლის სახელწოდებაცაა Loyal to the Game, თუფაქის დაუმთავრებელი სიმღერები შევა. დისკი მუსიკალური მაღაზიების თაროებზე 14 დეკემბერს გამოჩნდება. სხვათა შორის, ეს დისკი რიგით მეშვიდე იქნება თუფაქის გარდაცვალების შემდეგ გამოსულ ალბომებს შორის.

ჯერჯერობით, არ არის შედგენილი იმ სიმღერების საბოლოო ნუსხა, რომელიც ამ ალბომში შევა. თუმცა, ცნობილია, რომ ამ სიმღერების დამუშავებაში მონაწილეობდნენ: 50 Cent, Jadakiss, Lloyd Banks, Nate Dogg, Obie Trice, Outlawz, Sleepy Brown, Young Buck და რონალდ ისლი. სულ აღებულია 16 კომპოზიცია, მათ შორის, თორმეტზე ემინემმა იმუშავა, დანარჩენზე კი სხვა პროდიუსერებმა. სხვათა შორის, ემინემს თუფაქის წინა ჩანაწერებზე მუშაობის გამოცდილებაც აქვს.






## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ა.ს.ა"
"ანტისულიერების ამფეთქებელი"
რეჟისორი: ნ. შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ჯონ პ. პრისტლი
"ვარდი და გვირგვინი"
რეჟისორი: მედეა კუჭუხიძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"სტუმარ-მასპინძელი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
ფასი: 3-5 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.

"ქალი კატა"
დას: 13:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

**TMS**
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ბაია გალერეა**
ნანა & ლალი
ნანა ჭურღულიას და ლალი ლომთაძის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დავით ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა
(ფერწერა, ქართული გობელენი, ბატიკა)

**ჰობი**
პლაკატი 2004
"კაიროდან საქართველომდე: მზერა მომავლისკენ"

## კლუბები

**ბერლინი**
(ელბაქიძის 4)
კარლ ჰოლმკვისტის პოეზია
დას: 15:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## TV პროგრამა

*9 ნოემბერი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ამერიკელი სამურაი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** ნ. ქაჯაიას რეპორტაჟი ირანიდან **00.00** მხ. ფილმი "აგვისტო" (15) (ენტონი ჰოპკინსი) **02.05** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ცხელი ზაფხული" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ლერერის შოუ **15.20** "ანშლაგი" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** ისტორიანი **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **17.25** დოკ. ფილმი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ცხელი ზაფხული" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ცეცხლთან თამაში" (გ)

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00** მხ. ფილმი "შავი მთვარის ქალბატონი" **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "კანონის მიღმა" (15) (კიფერ საზერლენდი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "კარიბის გული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** ლერერის შოუ **21.40** ანშლაგი **22.50** მხ. ფილმი "ხსოვნა" (გ) 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 04.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "პეწი" (გ) (ი. დანკუნაიტე) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-2 ს. **23.00** "პირველები" **23.40** მხ. ფილმი "მუსიკალური ზარდახშა" (12) (ჯ. ლანჟი) **01.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.40** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "საჰაერო ბურთი" **10.50** ისტორიული ფილმი "ანა და მეფე" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **11.45** ისტორიული ფილმი "ანა და მეფე" (გაგრძ.) **13.35** კომედია "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ" მე-2 ს. **14.45** მხ. ფილმი "საზიზღარი კოიოტი" **16.25** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.00** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.15** დრამა "ბასრი სამართებელი" **21.00** კომედია "არჩევანი თქვენზეა, მადამ" **22.25** დოკუმენტური ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** თრილერი "რიპლის თამაში"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Фильм Карена Шахназарова **"ВСАДНИК ПО ИМЕНИ СМЕРТЬ". 11.20** "Смехопанорама". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Александре Пахмутовой. С любовью...". **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** "Человек и закон" **23.50** Док. фильм "Формула стены". **00.30** "Фабрика звезд". **00.50** Сканер. "Капризы "звезд". **01.20** Дэвид Спейд в комедии **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ДЖО ГРЯЗНУЛИ" 02.40** Ричард Прайор в комедии **"ВТОРОЕ Я" 04.20** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ". 05.05** "Неизвестная планета". "Расшифрованные майя".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **10.20** Криминальная Россия. **10.55** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"СЫЩИКИ-3: ОПЕРАЦИЯ ПОД НАРКОЗОМ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Олег Штефанко в сериале **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 1**-я с. **20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2: ЭМБАРГО НА ЖЕНЩИН"**. Ч.1 **22.00** "Страна и мир". **22.40** "Короткие встречи". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.15** Особо опасен! **01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.40** Профессия - репортер. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание" **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი




## იაპონური ხატვა



# ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, ის შემთხვევაში კი თუ საქართველოს ყველაზე ჭკვიანი კითხვები სხვა ...

იმისათვის, რომ გაეცნო გადაცემის თამაში და კარგად ისწავლო გადაცემის წესებს, უყურე ყოველ ორშაბათს, 9 საათიანი კურიერის შემდეგ, რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემა ყველაზე ჭკვიანს.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
2 მისამართი
3 საიდენტიფიკაციო ბილეთის ნომერი
4 დაბადების თარიღი
5 სკოლა
6 კლასი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი



# ლონდონი ჰითროუ ბრუნდება

პირდაპირი რეისი კვირაში ორჯერ ლონდონის ჰითროუს აეროპორტში

2004 წლის 1 ნოემბრიდან აღდგება ბრიტანეთის ავიახაზების პირდაპირი რეისები ლონდონის მიმართულებით. თბილისიდან ფრენები იწარმოებს ორშაბათს და შაბათს, ბიზნეს და ეკონომ კლასების მომსახურებით. ბილეთების დაჯავშნისა და სხვა ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ინტერნეტსაიტს **ba.com**, დაგვირეკოთ 940719/20, ან მიმართოთ სამოგზაურო სააგენტოებს.

ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

BRITISH AIRWAYS


# რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდი აცხადებს

რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს თბილისის რესპუბლიკის მოედნის გენერალური გეგმის შექმნის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

იხილეთ კონკურსის პირობები **www.republicsquare.ge** - ზე და დაგვიკავშირდით 2004 წლის 21 ნოემბრამდე.


საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: **WWW.mziuri.ge**






თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24





Athen
Barcelona
Bari
Berlin
Bilbao
Bologna
Budapest
Dresden
Dublin
Edinburg
Faro
Hamburg
Helsinki
Ibiza
Lisbon
London
Manchester
Madrid
Marseille
Milan
Malaga
Mallorca
München
Nice
Palermo
Palma
Paris
Pisa
Prague
Rome
Sevilla
Stockholm
Thessaloniki
Vienna
Warsaw
Valencia
Venezia
Zurich

KÖLN/BONN — TBILISI

თბილისი - კიოლნი/ბონი

ყოველ ორშაბათს

ST 1140 CGN-TBS 21:30/03:40

ყოველ სამშაბათს

ST 1141 TBS-CGN 04:40/07:05

ერთი გზა 255 EURO

ორი გზა 390 EURO

www.gexx.de

Sheraton Metechi Palace
20, Telavi St.
0209 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 773171
Fax: +995 32 774171
sales@valley.ge

Flughafen Koeln/Bonn
51147 Koeln, Germany
Fax: +49-2203-54490
Georgien@GermaniaAirline.de

Callcenter: +49 1805 737100

Germania
Germania Fluggesellschaft mbH



# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.